

ივანე  
ჯავახიშვილის  
სახელობის  
თბილისის  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტის  
გაზეთი  
გამოდის  
1927 წლიდან



მე-9-12 გვ.

შალვა ნუცუბიძე:  
„როგორც გულს, ისე  
გაბარებთ უნივერსიტეტს“

ბიბლიის

# უნივერსიტეტი

30 დეკემბერი, სამშაბათი, 2008 წ. №15 (2082)



## ცუდი — ძველ წელს გავატანოთ, კარგი — მომავალს შევუნახოთ წარსულის დასაფასებლად

ახალი წლის მოხვლა ყველას, განურჩევლად ასაკისა, გვეჩქარება. ის, რაც წინ გველოდება, უფრო კარგი და მშვენიერი გვეგონია, ვიდრე აწმყო. ამიტომ ვემზადებით ჩვენს წარმოდგენაში უკეთესისთვის, ამიტომაც ვანიჭებთ მნიშვნელობას ყველას რჩევას — თუ როგორ შევხვდეთ ახალ წელს: რა ჩავიცვათ, რა დავიხუროთ, როგორი კერძი მოვამზადოთ? რა მივირთვათ? ნაძვის ხე როგორ მოვრთოთ? — მართალია კანონებს ზოგჯერ არ ვიცავთ, მაგრამ ახალი წლის შესახვედრად საგულდაგულოდ შეთხზულ წესებს მთელი პასუხისმგებლობით ვასრულებთ... წინ ახალ წელთან შეხვედრა გველის... „როგორც შეხვდები მას, ისე გაატარებ მთელ წელს“ — „ბედის ირონია“ ამას გვკარნახობს... და ჩვენც ვემორჩილებით ამ საახალწლო „სიტყვის კონას“ — თუ არ გველიძება, ღიმილსაც კი ვიყენებთ, თუ გვეტირება, ცრემლსაც კი ვიშრობთ — ოღონდ კი მხიარულნი შეხვდეთ ახალ წელს. ზოგჯერ ჩვენი უსუსურობა გვაშინებს მომავლის შეუცნობლობის გამო, ზოგჯერ საკუთარი ბედის განმსაზღვრელად წარმოგაჩენთ ხოლმე თავს და ცხოვრებაზე გამარჯვების სურვილით ავინთებთ — ეს ყოველივე ბრძოლას ნიშნავს უკეთესისთვის! სწორედ ამ იმპულსის მომცემია ახალი წელიც. „ცუდი — ძველ წელს გავატანოთ, კარგი — მომავალს შევუნახოთ წარსულის დასაფასებლად“ — წესია ასეთი: ამიტომ ვინცეხთ ცუდისა და კარგის გადარჩევას ჩვენს გონებაში.

ომს ვერ დავივინყებთ, რადგან ასე იოლად არ მოშუშდება უმაღლესი ცინიზმით რუსეთის მიერ მოყენებული ჭრილობები. ჩვენ ჩამოვხსენით ლოზუნგი „გავხსოვდეს აფხაზეთი!“ და არც გავიკრავს ახალი: „გავხსოვდეს სამხრეთი ოსეთი!“ — რადგან ნამდვილად არ გვსურს — ხსოვნის „მანტიამი“ გავხვიოთ საქართველოს ტერიტორიის ეს ორგანული ნაწილები. პროტესტი ჩვენში იმდენად მძლავრობს, რომ ზოგჯერ დიპლომატიის უნარსაც ვკარგავთ. ვერ დავივინყებთ ომში გმირულად დაღუპულ ჯარისკაცთა და საკუთარ კერას მონყვეტილ დევნილთა ტრაგიკულ ისტორიებს, რაც საერთო ტკივილის მიზეზი გახდა. და ოდნავ-

დაც არ დაუკარგავს არსებულ რეალობასთან ბრძოლის ჟინი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც ყველანაირად მზად არის — ისტორიული დასაბუთების ხერხებით ჩაებას პოლემიკაში — თუ როდიდან, როგორ და რატომ ცდილობს რუსეთი საქართველოში სეპარატიზმის წახალისებას? თუ რატომ არის სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი? რა წინადადებები არსებობს კონფლიქტის გადასაჭრელად? როგორ ვებრძოლოთ ეკონომიკურ კრიზისს? როგორ დავძლიოთ აგვისტოს ომის ფონზე ეკოლოგიური აგრესიის შედეგად მიყენებული ზარალი? და სხვა — აღნიშნულ საკითხებზე პარტ-

ნიორ უმაღლეს სასწავლებლებში მიწვეული თსუ-ის რექტორი, უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლები მოხსენებებს აკეთებენ და ფართო აუდიტორიას იმ რეალურ სურათს აცნობენ, რამაც ჩვენი ქვეყანა ომის ზღვარამდე მიიყვანა. სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით რუსული ვერსიების გაცნობის უფრო მეტი საშუალება აქვთ, ვიდრე ქართული წყაროების, ამდენად ჩვენი უნივერსიტეტის მეცნიერები იმ ქართულ საქმეს აკეთებენ, რაც ცივი ომის პირობებში გამარჯვების მომტანი შეიძლება იყოს. ამ პერიპეტეციებით შეხვდა უნივერსიტეტი 90 წლის იუბილეს, რაც სრულიად საქართველომ აღნიშნა — ამას უკვე ისტორია არ დავიწყებებს. იუბილეს კიდევ ერთხელ გაცხადდა ქართული საზოგადოების ის მოლოდინი, რასაც იგი უნივერსიტეტს უკავშირებს. განვითარების რა ეტაპზეა უნივერსიტეტი? მონოდების რა სიმაღლეზე დგას? რა პრობლემებით და ტკივილით ცხოვრობს? რა წარმატებები აქვს? რა გზით ცდილობს კონკურენტუნარიან გარემოში პირველი ადგილის დამკვიდრებას? როგორ ხდება ახალ 2009 წელს? ვის რა გეგმები აქვს? — ამ კითხვებზე ყველას თავისი პასუხი აქვს, რაც წლის მანძილზე განუვლი მუშაობის ერთგვარი ანალიზია. წინასწარაღწერილ განწყობისთვის კი თითოეული მათგანი უნივერსიტეტისთვის საუკეთესო მეკვლისა

თუ თოვლის ბაბუის ვინაობას ასახელებს. პასუხების თანახმად, ბიძინა ივანიშვილი — როგორც უნივერსიტეტის ფაქტობრივად მეორედ ამშენებელი, პირველ ადგილზეა. საუკუნის პროექტად ასახელებენ უნივერსიტეტის შენობის სარეაბილიტაციო გეგმას. წლის გზავნილად ჩაითვლება უნივერსიტეტის I კორპუსის ყოფილი ეკლესიის კედლებში ჩადებული ისტორიულ კაფსულაში მოთავსებული უნივერსიტეტის რექტორის ტექსტი — გზავნილი XXII საუკუნის უნივერსიტეტულთათვის, რომელთაც ამ კაფსულის გახსნა 2108 წლის 8 თებერვალს შეეძლება. უნივერსიტეტის I კორპუსში სარემონტო სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით წლის ფრაზად შეიძლება ჩაითვალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გულიკო გალდავას სიტყვები: „ზოგ ვერაფრით გავაგებინეთ, რომ უნივერსიტეტი კი არ ინგრევა, შენდება!“ — ამის აღსრულებით ბევრ მითქმა-მოთქმას მართლაც დაესმება ნერვული და უნივერსიტეტი იქნება ის უმაღლესი სასწავლებელი, რომლის „ხელმეორედ ამშენებელს“ ხელს ნამდვილად არ მოსჭირან, რადგან მის ნიაღში ბინას დაიდებს ნიჭიერება და არა შური. გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ ყველას ულოცავს დამდეგ ახალ წელს და წარმოგიდგინთ სურათს — წლის მანძილზე ვის რა უკეთებია, ვის როგორ უკეთებია და ვის რა უფიქრია უნივერსიტეტის წარმატებისთვის.

აქცენტები:  
წლის ანალიზი  
და იუმორი  
მე-2-8, 19

უნივერსიტეტი  
ცდილობს პროფესორის სამომხმარებლო კალათის ავსებას... და არა მხოლოდ საახალწლოდ  
მე-13 გვირგვამ

დავით ბაქრაძე:  
„დემოკრატიისკენ არ მივინწრაფვით უცხოელაზის წინაშე კეკლუცობის მიზნით“  
მე-14 გვირგვამ

CERN-სა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის ხელშეკრულება ხელახლა გაფორმდა  
მე-14 გვირგვამ

„ქართული გეგმა“  
ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად  
მე-16 გვირგვამ

დააკვირეთ რედაქციებიდან: როგორი არ უნდა იყოს უშრწაღისტი  
მე-17 გვირგვამ

ეკოლოგიური აბრეხის წინააღმდეგ ბრძოლაში უნივერსიტეტი ერთვება  
მე-18 გვირგვამ







მე-2 გვერდიდან

— ამით რეალური ავტონომია თუ მი-  
ილო უნივერსიტეტმა?

— რა თქმა უნდა. ნებსდების დამტკიცე-  
ბის შემდეგ, ბუნებრივია, იწყება სრულიად  
სხვა იურიდიული რეჟიმი, იზრდება ავ-  
ტონომიის ხარისხიც, რომელიც საუნივერ-  
სიტეტო ცხოვრების სტაბილურობას განა-  
პირობებს. ჩვენ გვაქვს ჯანსაღი ამბიცია,  
რომ თსუ დაუბრუნდეს იმ იდეალებს, რაც  
საფუძვლად დაედო მის დაარსებას. ევრო-  
პულ საგანმანათლებლო სივრცეში თავის  
დამკვიდრება უმნიშვნელოვანესი ფაქტო-  
რია და ამას, ზოგადად, სახელმწიფო პოლი-  
ტიკა განსაზღვრავს.



— როგორ ისტუმრებთ ძე-  
ელ ნელს და როგორ ხვდებით  
ახალ ნელს?

— ახალი ნელი მინც ოჯახ-  
ური დღესასწაულია და მას  
ოჯახის წევრებთან ერთად ვხვდები.

გასული წელი საქართველოსთვის ძა-  
ლიან მძიმე იყო. ფაქტობრივად, ჩვენ აღ-  
მოვჩნდით ჩართულნი იმ პროცესებში, რაც  
საქართველოს 1921 წელს დაატყდა თავს.  
რადაც თვალსაზრისით, ეს იყო მცდელობა  
საქართველოს ხელახალი ოკუპაციისა. სა-  
ბედნიეროდ, ქართველი ხალხის ძალ-  
ისხმევითა და მსოფლიო საზოგადოების მხ-  
არდაჭერით და, რაც მთავარია, ღვთის შენ-  
ევენით, ქართული სახელმწიფოებრიობა სე-  
რირიზული გამოწვევის მიუხედავად, მაინც  
გადარჩა. მინდა ოპტიმისტი ვიყო და გამ-  
ოვთქვა იმედი, რომ დამდეგ ახალ წელს  
საფუძველი ჩაეყრება ისეთ პროცესებს,  
რომელიც საქართველოს გაერთიანებას  
შეუწყობს ხელს.

— ჯადოსნური ჯოხი რომ გქონდეთ,  
რას ინატრებდით უნივერსიტეტის სასიკე-  
თოდ?

— ჯადოსნურ ჯოხზე უფრო მნიშ-  
ვნელოვანი გონებრივი სტრატეგია და გამ-  
ართლებული ტაქტიკაა, მაშინ ოცნება რე-  
ალობად იქცევა და საკუთარი ძალებით  
მოვახერხებთ მის რეალიზებას. ვისურვებ-  
დი საქართველოს გაერთიანებასა და გა-  
ძლიერებას, რომელიც უნივერსიტეტსაც  
სასიკეთოდ წაადგება!

**სასურველი იქნება,  
უნივერსიტეტი დიდი  
კედაბობიური და  
მეხნიერული  
გამოსილიაგის მქონე  
საესილისტები  
მოვიზილოთ**

მე-2 გვერდიდან, რექტორის მრჩეველ-  
თა საბჭოს თავმჯდომარე:

— თქვენ მრჩეველთა საბჭოს თავმჯ-  
დომარე ბრძანდებით... უნივერსიტეტმა  
მაინც შეძლო ღირსეული მეცნიერების,  
პატივსაცემი თაობის გარკვეული სახით  
რეაბილიტაცია. რადაც პერიოდის მან-  
ძილზე გულნატკენები იყავით. თქვენი ცხ-  
ოვრების დიდი ნაწილი ხომ უნივერ-  
სიტეტს შესწირეთ... დღეს რამდენად არის  
დადასტურებული თქვენი შრომა და ღვაწლი?

— უფროსი თაობის გარკვეული ნაწ-  
ილი მრჩეველთა საბჭოში შევედით. სხვები  
ფაკულტეტებზე, კათედრებზე მუშაობენ  
სრულიად ახალგაზრდა თაობის წარმომად-  
გენლებთან ერთად. სასურველი იქნება,  
უნივერსიტეტში დიდი პედაგოგიური და  
მეცნიერული გამოცდილების მქონე სპე-  
ციალისტები მოვიზილოთ. დროთა განმავ-  
ლობაში, ალბათ, ესეც მოხერხდება. ჯერ-  
ჯერობით უნივერსიტეტის ფინანსური შესა-  
ძლებლობა ამის საშუალებას ნაკლებად  
იძლევა. ესეც ანგარიშგასაწევია.

— ანუ, სიმართლეს არ შესაბამება

ის ფაქტი, რომ ძველი თაობის წარმომად-  
გენლები უნივერსიტეტიდან გააძევეს,  
რაც მხოლოდ გარკვეული ჯგუფის კამპა-  
ნია იყო უნივერსიტეტის დისკრედიტაცი-  
ის მიზნით?

— ვერ გეტყვით, რომ გააძევეს. ახლა  
ამაზე ლაპარაკი მიჭირს... არც ის ვიცი, ჩვე-  
ნი თაობიდან ყველა ღირსეული შემორჩა  
თუ არა უნივერსიტეტის კედლებს. ყველა,  
ალბათ, არა. თსუ-ში რეორგანიზაცია მოხ-  
და, რამაც, ბუნებრივია, კადრების შემცირე-  
ბა გამოიწვია. ასეთი სახის რეფორმა სხვა  
უმალლეს სასწავლებლებშიც გატარდა. თუ  
რამდენად გაამართლებს იგი, ამას დრო  
გვიჩვენებს. ვფიქრობ, ბევრი რამე გამო-  
სასწორებელიც იქნება. მიმართა, რომ ყვე-  
ლაფერი იდეალურად არ არის გაკეთებუ-  
ლი.

— მრჩეველთა საბჭოს რჩევებს თუ  
ითვისებენ?

— ძირითადად ითვისებენ.

— თქვენ, როგორც თსუ-ის ყოფილი  
რექტორი, ახალ წელს რა სიურპრიზს  
უმზადებდით ხოლმე თანამშრომლებს?

— ეს დიდი ხნის წინ იყო... ვანყობლით  
შეხვედრებს, მიღებებს, ისევე, როგორც  
დღეს.

— მაშინ უფრო სახალისო იყო ახალი  
წლის დადგომა თუ ახლა?

— ახალი წლის დადგომა ყოველთვის  
სახალისოა. ნუ დავაპირისპირებთ ასე - მა-  
შინ თუ ახლა. ნუ დავყოფთ წარმატებებს  
თაობების მიხედვით, თუმცა ახალმა  
თაობამ ბევრი უნდა ისწავლოს ჩვენი თაო-  
ბისგან.

— რამე განსაკუთრებუ-  
ლი ტრადიციით თუ ხვდებით  
ახალ წელს?

— ახალ წელს, ჩვეულებრი-  
ვად, ოჯახურ წრეში ვატარებ.  
ვიღებ სტუმრებს და ახალი წლის ღამეს სია-  
მოვნებით ვატარებ.

— თქვენი აზრით, უნივერ-  
სიტეტისთვის ყველაზე კარგი თოვლის  
ბაბუა ან მეკვლე ვინ იქნებოდა? რა ნიშ-  
ნით შეარჩევდით მას? ფინანსურად რომ  
იყოს წელში გამართული თუ უფრო უკე-  
თისა — იყოს ღირსეული ინტელიგენტი?

— ღირსეულ და ფინანსურადაც წელში  
გამართულ თოვლის ბაბუას რა სჯობია.



— რას უსურვებდით ახალ წელს უნი-  
ვერსიტეტს?

— მიუხედავად ბევრი სასიკეთო მოვ-  
ლენისა, ჩემი აზრით, რაც ძალიან სჭირდე-  
ბა უნივერსიტეტს, ეს სამეცნიერო დონის  
კიდევ უფრო მეტად ამაღლებაა. ეს არ არის  
მარტო უნივერსიტეტის ბრალი, ეს  
გამოწვეულია ქვეყნის საერთო მდგომარ-  
ეობითაც. ვისურვებდი, უნივერსიტეტს  
არასდროს ელაღატოს დიდი ტრადიციები-  
სთვის და, ამავე დროს, მსოფლიოს წამყვან  
უნივერსიტეტებს არ ჩამორჩეს.

**საახალწლო ნატვრა —  
„გვინდა გვიქონდეს  
ჩვენი ბიბლიოთეკა“**

ნოდარ ბელქანიძე, სოციალურ და  
პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
დეკანის მოვალეობის შემსრულებელი:

— რით იყო ყველაზე მნიშვნელოვანი  
ეს წელი თქვენი ფაკულტეტისთვის?

— ამ პერიოდში ჩვენ შევეძლიეთ სამაგ-  
ისტრო პროგრამების მოდიფიკაცია, მუშაო-  
ბა მიმდინარეობს, ასევე, საბაკალავრო  
პროგრამების დახვეწის კუთხითაც.

რეფორმის მონაპოვრად შეიძლება ჩაი-  
თვალოს ის ფაქტი, რომ ფაკულტეტის რამ-  
დენიმე მიმართულებაზე სასწავლო პრო-  
გრამების შექმნისა და მათი მოდერნიზაცი-  
ის პროცესში კონსულტაციებით გვეხმარე-  
ბიან უცხოელი ექსპერტები.

ფაკულტეტმა აქტიური მონაწილეობა მი-



ილო უნივერსიტეტის 90 წლის იუბილეს აღნიშ-  
ვნაში და ამასთან დაკავშირებით არაერთი  
ღონისძიება მოაწყო.

2008 წლის ზაფხულში გაფორმდა ხე-  
ლშეკრულებები ბურგასის თავისუფალ  
უნივერსიტეტთან (ბულგარეთი) და ერო-  
ცლავის უნივერსიტეტთან (პოლონეთი),  
რომლებიც სტუდენტებისა და მეცნიერე-  
ბის გაცვლას, ერთობლივი საერთაშორისო  
კონფერენციებისა და საზაფხულო სკო-  
ლების მოწყობას ითვალისწინებს. საზაფხ-  
ულო სკოლები ხელს შეუწყობს სხვადასხ-  
ვა ქვეყნის სტუდენტთა დამეგობრებასაც.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში გან-  
ვითარებული ავჯისტის მოვლენების დროს  
განსაკუთრებული აქტიურობით გამოირ-  
ჩეოდნენ ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტე-  
ბი. დევენილთა დასახმარებლად თანამ-  
შრომლებმა შეაგროვეს გარკვეული თანხა,  
შეიქმნა ფსიქოლოგიური სამსახური. ჩვენი  
სტუდენტების მონაწილეობით გაიმართა  
არაერთი საპროტესტო აქცია, მოეწყო დის-  
კუსია დღეს შექმნილ ვითარებაზე.  
ვფიქრობ, უნივერსიტეტი მომავალშიც  
უნდა დარჩეს ასეთ ღია ფორუმად.

— რას გეგმავთ ახალი სასწავლო წლ-  
ისთვის?

— ჩვენი გეგმა, სურვილიც და ნატვრაც  
არის ის, რომ გვექონდეს ჩვენი ბიბლიოთე-  
კა — ამას ნატვრობს ყველა პროფესორი და  
სტუდენტი ჩვენს ფაკულტეტზე.

— ამ ნატვრის ასრულებას თოვლის  
ბაბუას შეუკვეთავდით?

— იმდენად გაჭიანურდა ეს პროცესი,  
რომ თოვლის ბაბუის დახმარება ნამდ-  
ვილად არ გვანყენდა...

— რამე განსაკუთრებული ტრადიცია  
თუ გაქვთ ახალი წლის შესახებ?

— მე ოჯახთან ერთად  
წლების მანძილზე შევიცარია-  
ში და გერმანიაში ვცხოვრობ-  
დი. ჩემი ქალიშვილი დაბადებუ-  
ლია 24 დეკემბერს. 25 დე-  
კემბერს ევროპაში ხომ შობას  
აღნიშნავენ... ამიტომ ჩვენ 24 რიცხვიდან  
ვიღებთ სტარტს საახალწლო ზეიმისთვის და  
დიდი მარათონი გვაქვს ხოლმე: ბავშვები  
ფუსფუსებენ, რადაცას საქმიანობენ, მღე-  
რიან ან მუსიკას უკრავენ, მათი კონცერ-  
ტის მოსმენა ჩემთვის ყველაზე დიდი საჩუ-  
ქარია.

ბავშვობიდანვე მიხარია შობა-ახალი  
წლის მოსვლა. ჩვენთან პარადოქსი ისაა,  
რომ ჯერ ახალ წელს ვზეიმობთ და მერე  
შობას. სინამდვილეში თანმიმდევრობა სა-  
პირისპიროა.

დეკემბრის ბოლო დღეები საერთოდ  
ყოველთვის ძალზე დატვირთულია და ეს  
გასაგებია, რადგან ხდება მიმავალი წლის  
შეჯამება, ანგარიშის ჩაბარება, ახალი წლის  
დაგეგმვა და სხვ. არსებითად ოჯახშიც იგივეა:  
ხდება მთელი წლის რეტროსპექტული მიმოხ-  
ილვა, დაშვებული შეცდომების თუ სასიხარუ-  
ლო დღეების ანალიზი, მომავლისთვის პროს-  
პექტულად თვალის შევლება. ახალი წლის  
მოსვლა იმდენად მიხარია, რომ რამდენიმე  
დღე დასვენება, ირგვლივ სიმშვიდე ისა-  
დგურებს. რასაც მინდა, იმას ვაკეთებ და  
რასაც მინდა, იმას წავიკითხავ, რადგან სამ-  
უშაო დღეებში ეს შეუძლებელია.

**2009 წელს სამაგისტრო  
და სადოქტორო  
პროგრამებზე მუშაობა  
დამთავრდება**

ჯამლიტ ჯანაჯღაძე, ეკონომიკისა და  
ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის  
შემსრულებელი:

— რით იყო მიმდინარე წელი თქვენი  
ფაკულტეტისთვის მნიშვნელოვანი?

— ვთვლი, რომ მიმდინარე წელი ჩვენი  
ფაკულტეტისთვის საკმაოდ წარმატებული  
იყო. იმ სიახლეებიდან, რაც ჩვენს  
ფაკულტეტზე დაინერგა, უპირველეს ყოვ-

ლისა, უნდა აღინიშნოს შუალედური შეფასე-  
ბების ახალ სისტემაზე გადასვლა: I და II  
კურსები ორი შუალედური კოლოქვიუმის მა-  
გივრად ჩააბარებენ ერთ შუალედურ გამოც-  
დას. მეტად მნიშვნელოვნად მიმართა, ასევე,  
ის ფაქტი, რომ ამა წლის 2 თებერვალს ფაკულ-  
ტეტის შენობაში საპატრიარქოს ხელშეწყო-  
ბით იკურთხა წმინდა გიორგის სახელობის  
სამლოცველო, სადაც ყოველ სამშაბათს მამა  
მიქაელი იხდის წმიდა გიორგის პარაკლისს.

ჩვენთვის ერთერთ ძირითად საზრუნავს  
წარმოადგენს იმ გარემოს გაუმჯობესება,  
რომელიც სტუდენტებს განათლების მიღე-  
ბა უწევთ. ამ მიზნით გარემონტდა და უახ-  
ლესი ტექნიკური საშუალებებით აღიჭურვა  
3 ლაბორატორია.

მიმდინარე წელი, ასევე, გამორჩეული  
იყო კონფერენციების ჩატარების მასშტა-  
ბურობით: გაიმართა სამი საერთაშორისო  
სამეცნიერო კონფერენცია, ორი გასვლითი  
კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“  
ბოლნისსა და მესტიისში, ჩატარდა სტუდენ-  
ტური კონფერენცია, რომელიც მონაწი-  
ლეობა მიიღო ფაკულტეტის 150-მდე სტუ-  
დენტმა, მათგან საუკეთესოებმა მიიღეს  
ფულადი ჯილდოები — სულ 8 500 ლარის  
ოდელობით.

2008 წელი წარმატებული იყო სტუდენტ-  
ებისთვისაც. ჩვენი ფაკულტეტის გუნდმა I  
ადგილი დაიკავა „ელიტ-ელიტრონიკის“  
თაოსნობით ჩატარებულ ბიზნეს ოლიმპიადა-  
ში, რომელშიც საქართველოს 24 უნივერ-  
სიტეტის გუნდი იღებდა მონაწილეობას.  
ასევე, წარმატებული აღმოჩნდა სტუდენტ-  
თა მონაწილეობა სხვადასხვა გაცვლით პრო-  
გრამებში, შემდეგ წელს ათამდე გამარჯვე-  
ბული ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში  
გაემგზავრება სასწავლებლად.

გარდა ამისა, შემოდგომის სემესტრში  
ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა ეკონომიკური  
დებატ-კლუბი, რომლის მიზანია ხელი შეუწ-  
ყოს სტუდენტებში ეკონომიკური აზრო-  
ვნებისა და ანალიზის უნარის შემუშავებას,  
დააინტერესოს ისინი საქართველოსა და  
მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური და  
ბიზნეს-პროცესებით და მისცეს მათ ამ პრო-  
ცესების რეალმენტირებულ დებატებში  
განხილვის სტიმული.

ჩვენ დაინტერესებულნი ვართ ურთიერ-  
ობების გაღრმავებით ქართულ საბანკო სე-  
ქტორთან და ბიზნესის სხვა წარმომადგენ-  
ლებთან. წელს ამ მხრივაც გადაიდგა  
გარკვეული ნაბიჯები, კერძოდ TBC ბანკმა  
ჩაატარა სტუდენტური კონფერენცია —  
„სტუდენტური სესხი“ და ასევე მასტერკლას-  
ის, სადაც გამარჯვებულ სტუდენტებს გადა-  
ეცათ სიგელები და ფულადი ჯილდოები.

— რას გეგმავთ ახალი წლიდან?

— მომავალი წლის გეგმებიდან, უპირვე-  
ლეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ფაკულტე-  
ტის ახალ სახელფასო სისტემაზე გადასვლა,  
რომელიც საშუალებას მოგვცემს, რომ  
ფაკულტეტის 80-მდე პროფესორს მნიშ-  
ვნელოვნად გაეზარდოს ხელფასი. 2009 წელს  
დამთავრდება მუშაობა სამაგისტრო და სა-  
დოქტორო პროგრამებზე, მოხდება მათი გამ-  
სხვილება და სრულყოფა, რის შედეგადაც  
ჩვენ მივიღებთ ევროპული დონის სასწავლო  
პროგრამებს.

მომავალ წელს, ასევე, დაგეგმილია სამი  
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია  
და ერთი კონფერენცია საქართველოს უნი-  
ვერსიტეტების ფარგლებში. წლებადელი  
წლის მსგავსად ჩატარდება გასვლითი კონ-  
ფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“  
ბათუმის, სილნალისა და ჭყონდიდის ეპარ-  
ქიებში. ასევე, დაგეგმილია რამდენიმე კონ-



ფერენცია ბიზნესის საკითხებთან დაკავ-  
შირებით. იმედი მაქვს, მომავალი წელი მნიშ-  
ვნელოვანი სახსრებისა და ნისხვის წელი  
იქნება.

— რა ტრადიცია გაქვთ ახ-  
ალი წლის შესახებ?

— როგორც ქართველების  
უმრავლესობა, ახალ წელს,  
ტრადიციულად, სახლში ვხვდე-  
ბი ოჯახთან ერთად.



### მე-3 გვირგვინი

— ვინ იქნება, თქვენი აზრით, ყველაზე კარგი თოვლის ბაბუა უნივერსიტეტისთვის?

— თოვლის ბაბუად ვისურვებდი ჩვენი ფაკულტეტის რესურსების სამსახურის უფროსს ევტიხი, იგივე კახა ქუთათელაძეს — მჭერმეტყველ ადამიანს.

### კუმანიტარები კუმანორობით გამოვიჩქვით

დარეკან მთაბრძოლი, კუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი:

— რით იყო მნიშვნელოვანი მიმდინარე წელი თქვენი ფაკულტეტისთვის?

— 2008 წელი, როგორც უნივერსიტეტის საიუბილეო წელი, მნიშვნელოვანი იყო ყველა უნივერსიტეტისთვის და ჩვენთვის კი, ალბათ, განსაკუთრებით, რადგან კუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უნივერსიტეტის იუბილეს აღიქვამდა, როგორც ფაკულტეტის იუბილესაც. მოგეხსენებათ, რომ სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტი იყო პირველი, რომელიც უნივერსიტეტის დაარსებისთანავე გაიხსნა. ამ იუბილეს მივუძღვენით არაერთი საინტერესო ღონისძიება: სამეცნიერო კონფერენციები, კრებულებები, გამოყენებითი, დავარსეთ კურსდამთავრებულთა კლუბი.

ფაკულტეტის ცხოვრებაში სერიოზულ მოვლენად მიმაჩნია ის, რომ წელს პირველად მივიღეთ საბაკალავრო პროგრამაზე დანყები-



თი განათლების სპეციალობის სტუდენტები. ეს პროგრამა მოამზადებს სკოლის მასწავლებლებს I-დან VI კლასის ჩათვლით, რაც ჩვენი ფაკულტეტისთვის მნიშვნელოვანი სიახლეა. ვფიქრობ, კარგ პედაგოგებს აღვზრდით.

გვაქვს რამდენიმე ახალი სამაგისტრო პროგრამა, მიღება გვეკონია სადოქტორო პროგრამებზე. მეამაყება, რომ გვყავს რამდენიმე ისეთი ახალგაზრდა მკვლევარი, რომლებიც აუცილებლად გამოიჩინებენ თავს მომავალში. არიან შარშან ჩარიცხული დოქტორანტებიც, რომლებიც წარმატებით აგრძელებენ მუშაობას. იმედია, მომავალში მათგან კარგ სპეციალისტებს მივიღებთ. ჩვენი 3 დოქტორანტი წელს დაიცავს სადოქტორო დისერტაციას ახალი წესების თანახმად. ფაკულტეტი განსაკუთრებულად ელოდება ამ პირველ დაცვებს.

1 კორპუსში დანყებული სარემონტო სამუშაოების გამო ფაკულტეტის დეკანატი და ადმინისტრაცია თსუ-ის მე-5 კორპუსში გადავიდა, რაც ბევრ პრობლემასთან იყო დაკავშირებული. განსაკუთრებით რთული იყო სასწავლო პროცესის გადატანა I-დან სხვა კორპუსებში. რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, შევეცადეთ, ორგანიზებულად და უმტკივნეულოდ გადავსულიყავით. ჩვენი პროფესორა და სტუდენტები გაგებით მოეკიდნენ დროებით სირთულეებს. ისინი იმედით არიან აღსავსენი, რადგან იციან, რომ უახლოეს პერიოდში განახლებულ და მოდერნიზებულ I კორპუსში დაბრუნდებიან.

— ახალი წლიდან რას გეგმავთ?

— მომავალ წელს უმნიშვნელოვანესი იქნება სასწავლო პროცესის ორგანიზებულად გაგრძელება ახალ კორპუსში, რადგან ჩვენ სწავლას დროებით ვკლავ მე-5, მე-2 და მე-8 კორპუსების აუდიტორიებში გავაგრძელებთ. მნიშვნელოვანი იქნება ის სამეცნიერო მუშაობა, რომელიც ჩვენი ფაკულტეტზე, ტრადიციულად, რიდი ინტენსივობით მიმდინარეობს. გეგმავთ ზაფხულში მესამე საფაკულტეტო კონფერენციის მოწყობას, რომელიც, სავარაუდოდ, სულხან-საბა ორბელიანის საიუბილეო თარიღს მიეძღვნება. დავარსეთ ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალი „წელიწადული“, მომზადდა და მალე გამოიცემა კრებული, რომელშიც თავმოყრილია ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო და სასწავლო ექსპედიციებისა და პრაქტიკის

ამსახველი მასალა. მარტში, აპრილსა და მაისში დაგეგმილია სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების გამართვა და სხვა.

— როგორ ფიქრობთ, კუმანიტარები კუმანური ხალხია?

— რასაკვირველია. ხშირად ამის გამო „არაპუმანიტარები“ ხუმრობით გვსაყვედურობენ ხოლმე, ძალიან გულჩვილები ხართო. ასე რომ, კუმანიტარები კუმანურობით ნამდვილად გამოვიჩქვით.

— უნივერსიტეტი თუ გეპყრობათ კუმანურად?

— ყველა გრძნობს და გაგებით ეკიდება, ზოგადად, ჩვენი პროფესორები, განსაკუთრებით კი ქართველოლოგიური დარგების სიფაქიზეს. ჩვენ სხვებისგან განსხვავდებით ისევე, როგორც სხვები განსხვავდებიან ჩვენგან. ყველას ვულოცავ 2009 წელს.

— რას უნდა ველოდოთ ხარისწელში?

— ასტროლოგიურ ლიტერატურას, სამწუხაროდ, ცუდად ვიცნობ. ვიცი ის, რომ ჩემი შვილიც და რძალიც ხარისწელში არიან დაბადებული და შეიძლება იყოს ხარისწელში ველოდები. ვიცი, რომ ხარი მიზანდასახულია და გარკვეული ძალაც აქვს. იმედია, ეს წელი არ იქნება ნარუმატებელი.

— ვინ იქნებოდა ყველაზე კარგი თოვლის ბაბუა უნივერსიტეტისთვის?

— თოვლის ბაბუა კეთილი და გულუხვია. ვიცი, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილს არ უყვარს თავისი სიკეთისა და გულისხმიერების აფიშირება, მაგრამ თავს ნებას მივცემ ვთქვა, რომ, რაც მან უნივერსიტეტისათვის გააკეთა, ამაზე მეტს ვერც ვინაზრდებდით. სწორედ, ბატონი ბიძინა ივანიშვილი იქნებოდა ყველაზე კარგი თოვლის ბაბუა უნივერსიტეტისთვის.

### ჩვენ თანდათან გადავდივართ ე.წ. ინტეგრირებულ კურიკულუმზე

ალექსანდრე ცინკარძე, მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი:

— რას ელოდებით ახალი წლისგან, რა გეგმები დაისახეთ?

— პირველ რიგში, ველოდებით ჩვენი ქვეყნის ღირსეულად გამოსვლას სხვადასხვა კრიზისიდან, მათ შორის ეკონომიკური კრიზისიდან, რომელიც მსოფლიო მასშტაბისაა. ვიმედოვნებ, ახალ წელს საინტერესო წინსვლა გვექნება.

გარდა ამისა, ჩვენი ფაკულტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვაგრძელებთ რეფორმების კურსს, რაც უკავშირდება სასწავლო პროგრამების მოდერნიზაციას, სრულად გადასვლას ე.წ. ინტეგრირებულ სწავლებაზე, რაც სამედიცინო განათლების თანამედროვე კურიკულუმის საფუძველია.

ინტეგრირებულ კურიკულუმზე გადასვლა მეტად რთული და ხანგრძლივი პროცესია და სასწავლო პროგრამის კონცეპტუალურ გარდაქმნას მოითხოვს. თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტს კურიკულუმის რეფორმამ პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა ეხმარება, რომელთა შორის გამოვიყოფ ლუნდის (შვედეთი) უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტს. ჩვენ უკვე მე-2 სემესტრში სტუდენტებისთვის ვგეგმავთ ე.წ. პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლების ამოქმედებას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია, რომ გაზაფხულზე გვეწვევა ლუნდის უნივერსიტეტის სასწავლო-აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელიც ლუნდის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლების ინიციატორ და განმხორციელებელი იყო. აღსანიშნავია, რომ იგი გამოცდილების გაზიარებას დაგვთანხმდა. ამ-



დენად, მისი მონაწილეობით ჩავატარებთ ერთ-ერთიან სემინარებსა და ვორკ-შოპების სერიას, რომელიც საინტერესო იქნება არა მხოლოდ ჩვენი ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის, არამედ სხვა ფაკულტეტებისთვისაც, მათ შორის, პირველ რიგში, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის, რაც, ბუნებრივია, სწავლების კურიკულუმის ხარისხის გაუმ-

ჯობესების გზაზე მნიშვნელოვანი წინსვლის საშუალებას მოგვცემს.

გარდა ამისა, გაგრძელდება ლუნდის უნივერსიტეტში მოღვაწე ჩვენი უნივერსიტეტის მონაწილე პროფესორის ზაალ კოკიას ვიზიტების სერია. იგი პერმანენტულად მუშაობს იმ საკითხებზე, რაზეც ჩვენ საუბარი გვექონდა. მან მოგვანოდა ლუნდის უნივერსიტეტის კურიკულუმის ადაპტირებული ქართული ვერსია, რასაც ძალიან აქტიურად ვიყენებთ. შემდეგ ჩამოსვლაზე, რომელიც ზამთრის პერიოდშია დაგეგმილი, პროფესორი ზაალ კოკია ჩაატარებს მასტერ კლასს კვლევის მეთოდებსა და აკადემიურ წერაში. ჩვენი პროფესორისთვის, უფრო მეტად კი უნივერსიტეტის დოქტორანტებისთვის, ამგვარი სემინარი ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება.

— თქვენი აზრით, უნივერსიტეტისთვის ვინ იქნება ყველაზე კარგი თოვლის ბაბუა?

— რთული შეკითხვაა, ასე ექსპრომტად ვერ გიპასუხებთ, რა მოეთხოვება უნივერსიტეტისთვის თოვლის ბაბუას? რა ნიშნით უნდა შევარჩიოთ? გამოცდილებით, კეთილგანწყობით, განათლებით თუ რით?

— დღეს ყველაზე მეტად რაც სჭირდება უნივერსიტეტს, იქიდან გამომდინარე...

— უნივერსიტეტს ყველაზე მეტად სჭირდება მეტი კონცენტრირება კვლევაზე, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე და, შესაბამისად, ის ადამიანი, ვინც თავისი კალიბრიდან დაგვყავს ამ საკითხებთან დაკავშირებით გამზადებულ პასუხებს, ალბათ, ყველაზე კარგი თოვლის ბაბუაც ის იქნება. ეს, ალბათ, კრებითი პერსონაჟი უნდა იყოს და არა კონკრეტულად ერთი პიროვნება.

— რამე განსაკუთრებული ტრადიცია თუ გაქვთ ახალი წლის შესახებ?

— ახალი წელი ყველაზე საყვარელი დღესასწაულია. როგორც ყველა ქართველი, მეც ახალ წელს ვხვდები ოჯახურ გარემოში — მეუღლესთან, შვილებთან, მშობლებთან, ნათესავებთან ერთად...

— რას უსურვებდით უნივერსიტეტს?

— პირველ რიგში წინსვლას, რაც შესაძლებელია ბოლო წლების განმავლობაში. ვუსურვებ კიდევ უფრო მეტ გამარჯვებებს და უპირობო ლიდერობას.

### ფაკულტეტი გაიყოფა ან მოიკაზნება ნარკოტიკული დარბაზის მშვიდობიანი თანარსებადობის ფორმა

რამაზ ბოჭორიშვილი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი:

— რით იყო მნიშვნელოვანი ეს წელი თქვენი ფაკულტეტისთვის?

— 2008 წელს უნივერსიტეტმა ფაკულტეტის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისთვის მილიონ ორასი ათასი ლარი გამოყო, რაც უნივერსიტეტის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს. ეს თანხა მთლიანად მოხმარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ინფრასტრუქტურის განვითარებას: სასწავლო ლაბორატორიების მოდერნიზაციას და ძვირადღირებულ ხელსაწყოებს მეცნიერული კვლევებისათვის.

კომპიუტერული ტექნიკის შევსების და განახლების თვალსაზრისით 2008 წელი გამორჩეული იყო. შედეგად დღეისთვის გვაქვს 7 კომპიუტერული კლასი. გარდა ამისა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებით არჩევნულ ყოველ ორ აკადემიურ პერსონალზე გაიცა ერთი კომპიუტერი, რაც უნივერსიტეტის არსებობის ისტორიაში ასევე უპრეცედენტო შემთხვევაა. აგრეთვე, თითო კომპიუტერი გაიცა ინფორმატიკის მიმართულების ყოველ მეოთხე და მათემატიკის მიმართულების ყოველ მეხუთე პროფესორზე.

ფაკულტეტზე წარმოდგენილი თითქმის ყველა მიმართულებით დაიდო განახლებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. განსაკუთრებით მინდა გამოვიყოს სამი ახალი საბაკალავრო პროგრამა: ეკოლოგია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგიები.

წელს, უნივერსიტეტის ისტორიაში პირველად, ფაკულტეტზე ფუნქციონირება დაიწყო ფრანგულენოვანმა საბაკალავრო პროგრამამ ინფორმატიკაში. სასწავლო პროცესში ჩართული არიან ფრანგი (პარიზი 8, ვერსალი) და ქართველი პროფესორები. სწავლის დასრულების შემდეგ სტუდენტები თსუ-ის დიპლომით ერთად მიიღებენ ვერსალის უნივერსიტეტის დიპლომს. ამ პროგრამის ამოქმედება მნიშვნელოვანია, ის თვისობრივად განსხვავებულ შესაძლებლობას აძლევს ქართველ სტუდენტებს — მიიღონ ევროპული სტანდარტების შესაბამისი განათლება და ამ განათლების დამადასტურებელი დიპლომი თსუ-ში სწავლის შედეგად.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი უნივერსიტეტის მასშტაბით უდავო ლიდერია მეცნიერული პუბლიკაციებ-

ის რაოდენობით, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, კვლევითი გრანტების მოპოვების თვალსაზრისით. არასრული მო-



ნაცემებით, ფაკულტეტზე სრულდება 65 კვლევითი პროექტი და მათი ჯამური ღირებულება დაახლოებით 10 მილიონი ლარია.

ფაკულტეტზე გაჩნდა პირველი სახელობითი სტიპენდია — ესტატე ხალაძის სახელობის სტიპენდია, რომლის პირველი მფლობელი კონკურსის საფუძველზე გამოვლინდა მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის ალექსანდრე ელბაქიძის სახით.

ერთი წელია ფაკულტეტზე ელექტრონული/დისტანციური სწავლების სისტემის გამოყენება დაიწყო. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ სისტემამ გაამართლა, რადგან მას ყოველდღიურად თითქმის ხუთასამდე მომხმარებელი ჰყავს.

— რას გეგმავთ მომავალში?

— 1. შენარჩუნდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მნიშვნელოვანი მონაპოვარი: სტუდენტს კვლავაც ექნება საშუალება აირჩიოს სპეციალობა მხოლოდ საკუთარი სურვილისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების შესაბამისად; 2. გაიხსნება კიდევ ერთი ახალი სამაგისტრო პროგრამა, რომელიც ორმაგ ხარისხს მიანიჭებს; 3. მნიშვნელოვანდ დაიხვეწება დისტანციური სწავლების სისტემის თვისობრივად ახალი შესაძლებლობების გამოყენება და გაიზრდება მომხმარებელთა რაოდენობა; 4. სწავლის შედეგებზე, კომპეტენციებზე ორიენტირებული სწავლება მიიღებს უფრო რეალურ სახეს: დაიწყება სტუდენტისათვის გამოსამუშავებელი კომპეტენციებისა და შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების მიზნად უღებზე; 5. ჩატარდება რამდენიმე საერთაშორისო კონფერენცია, გაიზრდება უნივერსიტეტის სახელი გამოქვეყნებულ შრომათა რაოდენობა, ტრადიციულად მომზადდება წარმატებული საგრანტო განაცხადები; 6. დაიღება ხელშეკრულება რამდენიმე უნივერსიტეტთან, რომელიც ორი უნივერსიტეტის პროფესორების თანახმდღევანდობით სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციების შესრულებას დაუდებს სათავეს; 7. ჩამოყალიბდება ფაკულტეტის ახალი სტრუქტურა და ფუნქციონირების მექანიზმი; 8. ვიმედოვნებ, რომ შეიქმნება ახალი/მოდერნიზირებული საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამები, რომლებიც დღევანდელთან შედარებით უფრო მეტ სტუდენტს დაინტერესებს. 9. ვიმედოვნებ, რომ ფაკულტეტი გაიყოფა ან მოიკაზნება წარმოდგენილი დარგების მშვიდობიანი თანარსებადობის ფორმა, რომელიც ურთიერთპატივისცემისა და სამართლიანობის პრინციპზე იქნება დამყარებული.

— რამე განსაკუთრებული ტრადიცია თუ გაქვთ ახალი წლის შესახებ?

— განსაკუთრებული ტრადიცია არ მაქვს. როგორც ქართველების უმეტესობა, მეც ახალ წელს ოჯახურ გარემოში ვხვდები.

### პრაქტიკული საქმიანობით დაკავებული იურისტების უმეტესი ნაწილი ველარ ხეჩუბას ხალხი ნაშრომების შექმნას

ირაკლი ბურღული, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი:

— რით იყო ეს წელი მნიშვნელოვანი თქვენი ფაკულტეტისთვის?

— 18-19 ოქტომბერს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი ინტერესების სამართლის ინსტიტუტის“ (Public Interest Law Institute – PILI) ორგანიზებით ბაზალეთში ჩატარდა კონფერენცია სასწავლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდებზე. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა.



მე-4 გვირგვინი

კონფერენციაზე დიდი დრო დაეთმო საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემდგომი სრულყოფის საკითხს. ამ კონტექსტში დეტალურად იქნა განხილული ის შესაძლებლობები, რასაც თიუნინგის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასწავლო პროგრამების დანერგვის კუთხით.

14-20 ნოემბერს ამერიკის იურისტთა ასოციაციის — „კანონის უზენაესობის ინიციატივა“ ორგანიზებით თბილისში იმყოფებოდა პროფესორი ჯიმ მოლიტერო. მისი ვიზიტი მიზნად ისახავდა ფაკულტეტზე იურიდიული ეტიკის კურსის ჩამოყალიბებისათვის ხელის შეწყობას. იურიდიული ეტიკის კურსის მიზანია, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს შეასწავლოს ის ეთიკური ჩარჩოები, რომლებშიც უნდა წარმართოს იურისტის პროფესიული საქმიანობა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა ვილემ ს. ვის სახელობის იმპირიულ პროცესში საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში მნიშვნელოვან შედეგს მიაღწია 2008 წლის გაზაფხულზე ვენაში გამართულ ზეპირ შეჯიბრში. მასში მონაწილე ორასზე



მეტ გუნდს შორის მხოლოდ საუკეთესო 30% ლაბავს ზოგად რაუნდს და გადის შემდგომ გამორიცხვით ეტაპზე. სწორედ ამ 30%-ში მოხვდა თსუ-ის გუნდი, რომელმაც ეს ბარიერი გადალახა და ღირსეული ადგილი დაიკავა მსოფლიოს მონინავე უნივერსიტეტების გუნდებს შორის.

რას გვეგმავთ ახალი წლიდან?

ახალი სასწავლო წლიდან ფაკულტეტზე მრავალი საინტერესო სახეობა იგეგმება — ეს შეეხება როგორც სამაგისტრო, ისე საბაკალავრო პროგრამებს. იქნება ისეთი ექსკლუზიური პროგრამებიც, როგორც საქართველოში ჯერ არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში არ არის.

თქვენს ფაკულტეტზე პროფესორებს ხელფასები სოლიდურად გაეზარდათ. ამ რეფორმამ თუ გაზარდა სწავლებისა და კვლევის ხარისხი?

იურიდიული ფაკულტეტის პროფესორებს მართლაც განსხვავებული ხელფასები აქვთ, რადგან რეფორმა პირველად ჩვენს ფაკულტეტზე განხორციელდა. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ხელფასის გაზრდამ სწავლებისა და კვლევის ხარისხი მკვეთრად შეცვალა. ხელფასის მომატებამ გაზარდა სტუდენტთა ინტერესი მეცნიერული კვლევების წარმოების თვალსაზრისით. ალბათ, დამეთანხმებით, რომ პროფესორისთვის კარგი სამუშაო პირობების შექმნა, პირველ რიგში, ნიშნავს იმას, რომ მას საშუალება მიეცეს მეცნიერულ შრომას უფრო მეტი დრო დაუთმოს, იმუშაოს ახალ სახელმძღვანელოებზე, რისი ნაკლებობაც ქართულ სამართალმცოდნეობაში გვაქვს. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ პრაქტიკული საქმიანობით დაკავებული იურისტების უმეტესი ნაწილი ვეღარ ახერხებს ახალი ნაშრომების შექმნას.

რაიმე განსაკუთრებული ტრადიცია თუ გაქვთ ახალი წლის შესახებ?

როგორც წესი, ფაკულტეტი ყოველ ახალ წელს აღნიშნავს ხოლმე და ეს ტრადიცია არც 2009 წლისთვის დაირღვევა.

თქვენი აზრით, ვინ იქნება ყველაზე კარგი თოვლის ბაბუა უნივერსიტეტისთვის?

ალბათ, უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის უფროსი, ბატონი რომან ხარბეღია ყველაათვის სასურველი თოვლის ბაბუა იქნებოდა.

მინდა, პროგრამების აკრედიტაციის დაბეჯადოს დამდა ნაღვალს

ირინე ღარჩია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

უნივერსიტეტმა დაიწყო პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. კონკრეტულად

რომელი პროგრამები ამუშავდა და რა პრიორიტეტები ენიჭება მათ?

ჯერჯერობით ორი პროგრამა გვაქვს — ტანსაცმლისა და დეკორატიული ქსოვილების დიზაინი და კინო-ტელერეჟისურა. მომავალი წლიდან ამუშავდება სახვითი ხელოვნების პროგრამაც. ეს პროგრამები შარშან მომზადდა და განათლების აკრედიტაციის ეროვნულმა ცენტრმა მოგვანიჭა ინსტიტუციური აკრედიტაციის პროფესიული უმაღლესი პროგრამების ნაწილი. ამ პროგრამებზე უკვე მივიღეთ დაახლოებით 86 სტუდენტი.

უნდა ითქვას, რომ ეს პროგრამები შეესაბამება ჩვენს საბაკალავრო პროგრამებს და იმ სტუდენტებს, რომლებიც ვერ მოხდნენ ბაკალავრიატში და რომელთაც საშუალება ეძლევათ, პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამებზე შემოვიდნენ და გარკვეული რაოდენობის კრედიტები დააგროვონ. თუ ამის შემდეგ თავიდან ჩააბარებენ ეროვნულ გამოცდებს და საბაკალავრო პროგრამებზე მოხვდებიან, პროფესიული პროგრამის სწავლის დროს დაგროვებული კრედიტების აღიარება მოხდება აკადემიურ პროგრამაში და პირიქით. ეს არის მოქნილი სისტემა და ახალგაზრდას საშუალებას აძლევს, თუ ის ვერ ჩაირიცხა აკადემიურ პროგრამაზე, დრო არ დაკარგოს. უმაღლესი პროფესიული განათლების მიღების შემდეგ სტუდენტმა, შესაძლოა, აღარც კი ისურვოს ბაკალავრიატის პროგრამაზე სწავლის გაგრძელება. მათ, მართალია, არ ექნებათ ბაკალავრის ხარისხი, მაგრამ, ექნებათ გარკვეული პროფესია და იქნებიან დიპლომირებული სპეციალისტები.

უნივერსიტეტში წელს კიდევ ერთი სახელა — ამოქმედდა ახალი საბაკალავრო პროგრამები. რა კრიტერიუმით შერჩა ისინი და რის სპეციალსებს მოამზადებს?

წელს ამუშავდა რამდენიმე ახალი საბაკალავრო პროგრამა. მათ შორისაა ელექტრონიკა, რომელიც ძალიან აქტუალური და თანამედროვე მიმართულებაა. ამ სპეციალობაში აქამდე გვქონდა მაგისტრატურა, რომელიც დიდი მონონებით სარგებლობდა. ეს პროგრამა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ გვაქვს დამსაქმე-



ბელთან აქტიური კონტაქტები, პროგრამა მათთან სერიოზული თანამშრომლობით გაკეთდა და სტუდენტებს დასაქმების რეალურ შანსს აძლევს.

სახელა, ასევე, დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამა. მოგეხსენებათ, რომ რეფორმების და ზოგადი განათლების შესახებ ახალი კანონის შედეგად, ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს აღარ ენიჭება მასწავლებლის კვალიფიკაცია. იმისათვის, რომ საბაზო და საშუალო სკოლაში ასწავლო, მაგისტრატურა უნდა გქონდეს დამთავრებული. ბაკალავრიატი მხოლოდ დაწყებითი, ანუ I-VI კლასების მასწავლებლების მომზადების შესაძლებლობას გვაძლევს. მაგისტრატურაში სწავლას, მოგეხსენებათ, ყველა ვერ აკრძალავს. აქედან გამომდინარე, სერიოზული პრობლემის წინაშე ვიდგებით. 20-30 კაცის მომზადება მაგისტრატურაში არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მასწავლებლები მოვაზადოთ. ამიტომ ჩვენ გავაკეთეთ განაცხადი განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში, რომელმაც მოგვაცა უფლება, გამოვაცხადოთ მიღება დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამაზე. შემდეგი სემესტრიდან უკვე გვეყოლება სტუდენტები. ეს იმის ნიშნავს, რომ თსუ-ის უმნიშვნელო მეცნიერებათა ფაკულტეტის დაწყებითი განათლების პროგრამის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულები, რომლებიც დააგროვებენ 240 კრედიტს და შემდეგ ჩააბარებენ სასერტიფიკატო გამოცდებს, იმუშავენ მასწავლებლად დაწყებით სკოლაში I-დან მე-6 კლასის ჩათვლით. ანუ ის ვაკეუმი, რაც 2 წლის განმავლობაში გვქონდა, ამოვაცხეთ და წლებიდან წლიდან უკვე ვამზადებთ პედაგოგებს ყველა საგანში, რაც დაწყებით სკოლაში ისწავლება.

რაც შეეხება გამოყენებითი ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამას, ეს პროგრამა უცხოელ კოლეგებთან ერთად არის შექმნილი. ის აბსოლუტურად აკმაყოფილებს დასავლურ სტანდარტებს და შემოაქვს როგორც სწავლების, ასევე პროგრამის მართვის ინოვაციური მოდელები. ამ საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი შემუშავებულია TEMPUS — ის პროექტის ფარგლებში. მის შემუშავებაში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ასევე დასავლეთ ინგლისის და ბრისტოლის უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორები. ამ საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმზე და სილაბუსებზე მუშაობა პრაქტიკულად დასრულებულია და მიღებას გაისად სექტემბერში გამოვაცხადებთ, თუმცა მისი პილოტირება იანვრიდან დაიწყო. ამ დროიდან ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის მიმართულების სტუდენტებს საშუალება ექნებათ, აირჩიონ არჩევითი სასპეციალიზაციო მოდული, რომელსაც ერქმევა გამოყენებითი ბიოლოგია.

როგორც ცნობილია, უნივერსიტეტი ასევე ამოქმედდა თუნინგის პროგრამა. რას ითვალისწინებს ის?

თუნინგის პროგრამა TEMPUS — ის პროექტია და ითვალისწინებს მთელი საქართველოს მასშტაბით უნივერსიტეტების პროფესორის დახმარებას ბოლონის პროცესის შესაბამისი კურიკულუმების შემუშავებაში. უნივერსიტეტების მთავარი ამოცანაა სწავლის შედეგებზე ორიენტირებული პროგრამები და თუნინგის სწორედ ამ მეთოდოლოგიას ვყავს სწავლის — როგორ ავსაოთ კურიკულუმის ისე, რომ ორიენტირებული იყოს სწავლის შედეგებზე, დასაქმებაზე, როგორ ჩავართოთ ამ პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეები — პროფესორი, სტუდენტი, დამსაქმებელი და საზოგადოების წარმომადგენელი. ამ პროგრამების შემუშავებაზე 9 დარგობრივი ჯგუფი მუშაობს და აქედან 6 დარგობრივი ჯგუფის ხელმძღვანელი თსუ-ის წარმომადგენელია. მათ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მივლინებთ აქვთ საზღვარგარეთ.

უნივერსიტეტში ფუნქციონირება დაიწყო ქართულ-ფრანგულმა ინსტიტუტმა, რომელიც ერთობლივ დიპლომებს გასცემს...

დახს, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაიხსნა კომპიუტერული ტექნოლოგიების ქართულ-ფრანგული ინსტიტუტი, სადაც სტუდენტებს ვთავაზობთ ფრანგულენოვან საბაკალავრო პროგრამას. მის შემუშავებაში ქართველ პროფესორებთან ერთად მონაწილეობდნენ პარი 8-ის (სორბონის ერთ-ერთი უნივერსიტეტი) და ვერსალ სენ კანტენის უნივერსიტეტის პროფესორები. ისინი წელიწადში რამდენჯერმე ჩამოდიან, ატარებენ ინტენსიურ სალექციო კურსებს ქართველ კოლეგებთან ერთად და ამ პროგრამების დასრულების შემდეგ გაიცემა კომპიუტერული ტექნოლოგიების ბაკალავრის ერთობლივი ხარისხი. ეს ძალიან დიდი მიღწევაა და მთელს საქართველოში სულ 2-3 ასეთი პროგრამაა, რომელიც ორმაგ ხარისხს გასცემს. მათ შორისაა ჩვენი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა კიოლის უნივერსიტეტთან ერთად.

ცნობილია, რომ თქვენმა სამსახურმა სერიოზული მუშაობა ჩაატარა თვითშეფასების კითხვარების შევსებისა და განალიზებისთვის. რა შედეგები გაქვთ აკრედიტაციის საბჭოს მხრიდან?

აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით და დასკვნით, ჩვენ ვაკმაყოფილებთ ყველა მოთხოვნას. რამდენიმე საგულისხმო ციფრს მოგვანდით: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სამაგისტრო პროგრამებზე ფინანსდება სტუდენტების საერთო რაოდენობის 27 პროცენტი, ანუ 579 მაგისტრანტი.

გვაქვს გააქტიურებული ერთობლივი გაცვლითი პროგრამები ევროპული უნივერსიტეტებიდან — ესტონეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან და საბერძნეთიდან.

გვაქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება 33 ქვეყნის 79 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან.

ბოლო ორ წელიწადში შექმნილია 1200 კომპიუტერული მეტი; გვაქვს 26 კომპიუტერული ლაბორატორია და რესურს-ცენტრი; გარდა საფაკულტეტო და ცენტრალური ბიბლიოთეკებისა, ძალიან გაგვამდიდრა ბრიტანეთის საბჭოს ბიბლიოთეკამ, რომელმაც 2500 უახლესი წიგნი შემოგვამატა; ასევე დიდი შენაძინა ევროპული კვლევების ინტერსაფაკულტეტო ბიბლიოთეკის საჩუქარი, რომელმაც მარტო ერთი სამაგისტრო პროგრამისთვის 962 წიგნი შემოიტანა; ამასთან ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში შემოიტანა 2 379 უახლესი გამოცემა პრიორიტეტული და სტრატეგიული დარგებისთვის. გვაქვს უნივერსიტეტის გაზეთი.

ბოლო ორი წლის მანძილზე 323-მა პრო-

ფესორმა მიიღო მონაწილეობა საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადებისა და პროფესიული განვითარების 425 პროგრამაში. 517-მა პროფესორმა მიიღო მონაწილეობა 1207 საერთაშორისო კონფერენციაში, ხოლო 508 პროფესორმა — 1000-ზე მეტ ბოლოკალურ კონფერენციაში. ამავე დროს, ბოლო ორი წლის მანძილზე თსუ-ის ექვსი ფაკულტეტის 304-მა პროფესორმა მიიღო მონაწილეობა 673 სამეცნიერო გრანტის მოპოვებაში. აქ იგულისხმება როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური სამეცნიერო გრანტები.

და რაც, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია — ორი წლის განმავლობაში უნივერსიტეტი ქართველი სტუდენტებისთვის 161 უცხოელი პროფესორი კითხულობდა ლექციებს.

დამეთანხმებით, რომ ძალიან მაღალი და შთამბეჭდავი მაჩვენებლებია. ამ ციფრების გაცნობის შემდეგ სრულიად თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მართლაც, პირველია თავისი სამეცნიერო და სასწავლო პოტენციალით.

ახალი წლის შესახებ რაიმე განსაკუთრებული ტრადიცია თუ გაქვთ?

ოჯახში ვხვდები ყოველთვის. 31 დეკემბერს გვიან საღამომდე ვმუშაობ, რადგან წლის ბოლოს დასამთავრებელი სამუშაოს დასრულება მიყვარს. გოზინაყს ბებია და დედა აკეთებენ.

რამდენიმე წლის წინ, სტუდენტები 31 დეკემბერს დილის 10 საათზე ჩათვლაზე დავიბარე. ძველ ბერძნულს ვუკითხავდი... საგამოცდო ჩათვლა დიდხანს გაგრძელდა, რადგან წერაც იყო და ზეპირიც. ეს ყველაფერი სულამის 8 საათისთვის დამთავრდა. შემდეგ, შედეგების გამოცხადებასაც გარკვეული დრო დასჭირდა. იმ დღეს სტუდენტები სახლში ბედნიერები წავიდნენ, რადგან ახალი წლის შეხვედრა მე-8 კორპუსში არ მოუწიათ. მათ მიერ მოწყობილ სახალწლო კარნავალზე კი გავიმარჯვე რომინა ციაში „გამოცდებზე დილაა თუ ბინდია“. რაც ადმინისტრაციაში ვმუშაობ, მას შემდეგ 31 დეკემბერს გამოცდებს აღარ ვნიშნავ. ორი წელია ჩემმა სტუდენტებმა დაისვენეს.

თქვენი აზრით, ვინ იქნებოდა უნივერსიტეტისთვის ყველაზე კარგი მეკვლევი?

ნინო ჩუბინიძე, აკრედიტაციის ცენტრის დირექტორი, რათა პროგრამების აკრედიტაცია დაგვეხმაროს დამდეგ წელიწადს.

მსდლობთ, სტუდენტებს კომფორტული სასწავლო პირობები შევუქმნათ

რუსუდანი ჩიქოვანი, სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი:



რა აკლია დღეს უნივერსიტეტს თქვენი გამოსახედიდან?

თსუ-ში დღეს ძალიან ბევრი სასიკეთო რამ კეთდება. საგანმანათლებლო რეფორმამ ბევრი საკითხი უკეთესობისკენ შეცვალა. იმეღია, თსუ პირველობას არავის დაუთმობს!

დასაქმებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამები თუ გვაქვს?

რა თქმა უნდა, ჩვენ ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ. მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მოზიდვასა და დაინტერესებაზეც ვზრუნავთ.

თქვენს შვილს თუ ასწავლით ამ უნივერსიტეტში?

მე-6 გვირგვინი



მე-5 გვირგვინი

— დიდი სიამოვნებით. იურიდიულ და ეკონომიკურ ფაქტორებზე საკმაოდ მაღალი რეიტინგის მქონე სტრუქტურები სწავლობენ, რომლებმაც 100 პროცენტის განხორციელება... საერთოდ, ამ ფაქტორებზე სტრუქტურის მოთხოვნა ძალიან დიდია.

— ვიცით, რომ ამ წელს დაგანიშნა, კიდევ რით იყო ეს სასწავლო წელი თქვენთვის მნიშვნელოვანი?

— ვცდილობთ მოგაგვაროთ ყველა ის პრობლემა, რომელიც სასწავლო პროცესთან არის დაკავშირებული და სტრუქტურებს კომფორტული სასწავლო პირობები შევუქმნათ. რეაგირება გარეზე არ ვტოვებთ მათ განცხადებებსა და წინადადებებს.

— სტრუქტურის მხრიდან არის პრეტენზია, რომ ზოგჯერ მათ სათანადოდ არ ემსახურება?

— ეს პრეტენზია, ალბათ, უმისამართოა, რადგან მაქსიმალურად ვცდილობთ სტრუქტურის ინფორმირებას.

— რას უსურვებთ უნივერსიტეტს ახალი წლისთვის?

— პირველ რიგში, ვისურვებდი სასწავლო პროცესის სრულად მონერგვასა და დარეგულირებას. სადოქტორო პროგრამების დახვეწას, რაც ერთი-ორად ზრდის უნივერსიტეტის პრესტიჟსა და კონკურენტუნარიანობას.

— უნივერსიტეტის მეკვლევ ვის ისურვებდით?

— უნივერსიტეტის მეკვლევ განათლებულ, ერუდირებულ და კულტურულ ადამიანს ვისურვებდი.

ინოვაციური სოღის გამოყენებასა და ბიზნისის დინამიკის ხელშეწყობის ნებას სჭირდება

ივანე კალანდიაძე, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი:



— თქვენი დეპარტამენტი საუნივერსიტეტო სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან უნივერსიტეტს აკვლევთ დაწესებულებაცაა. რით იყო განსაკუთრებული ეს წელი თქვენი დეპარტამენტისთვის? რა გაკეთდა და რას გეგმავთ?

— სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი მუშაობს იმ მიზნის შესასრულებლად, რა მიზნითაც 2007 წელს სამეცნიერო დეპარტამენტი ჩამოყალიბდა. მხოლოდ ერთი ცვლილება განხორციელდა — იმისათვის, რომ სახელწოდებაშიც სრულყოფილად ყოფილიყო წარმოდგენილი ამ სტრუქტურული ერთეულის მიზნები და ფუნქცია, რაც განვითარებას და პოზიტიურ დინამიკას თავისთავად უკავშირდება, 2008 წლიდან დეპარტამენტს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი ეწოდა.

კანონმდებლობიდან და საუნივერსიტეტო რეალობიდან გამომდინარე, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი რამოდენიმე ძირითადი მიმართულებით მუშაობს: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მონვეული პედაგოგებისთვის სამეცნიერო ფონდების მოძიებასა და სამეცნიერო კვლევების სათანადო სტანდარტებით წარმართვაში ხელის შეწყობა; უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო საქმიანობის შეფასება-ანალიზი, გარკვეული რეკომენდაციები (თუ რა არის შესაძლებელი, რაზე უნდა გაკეთდეს მეტი აქცენტი) შემუშავება და მართვის ორგანოებისთვის წარდგენა; სამეცნიერო ფონდებთან და სხვა დონორ ორგანიზაციებთან ადგილი ვალდებულებების მონიტორინგი; მეცნიერების კომერციალიზაცია, ინოვაციური ცოდნის და ამ ცოდნით დაინტერესებული პირების დაკავშირება.

რა კონკრეტული სამუშაოები ჩატარდა ამ მიმართულებებით გასული წლის განმავლობაში? საბოლოო კონტურებს იღებს სამეცნიერო კვლევების წარმოების ხელშეწყობის და შეფასების (მეცნიერების აუდიტი) ერთიანი სისტემა. რას გულისხმობს ეს? როდესაც საუბარია მეცნიერების ხელშეწყობაზე, მასში ჩვენ მოვიხივებთ ახალი ფონდების მოძიებას, საჭირო ინფორმაციის მკვლევარისთვის მიწოდებას და საგრანტო პროექტის მომზადებაში მეცნიერ-მკვლევარისთვის ტექნიკურ ასისტენციას. ამის გაგრძელებაა სხვადასხვა დონორის პოვნა, სხვადასხვა ინსტიტუციასთან ურთიერთობის დამყარება და უკვე მოგებული გრანტის პირობების აღსრულებაში ხელის შეწყობა.

თუმცა კვლევები მართკონტროლად დაფინანსების პრინციპით არ ხორციელდება. ჩვენ ვაკეთებთ შეფასებას, თუ სად არის საჭირო უნივერსიტეტის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ან სხვა სამთავრობო დაწესებულების კონტრიბუცია და შესაბამის რეკომენდაციას შევიშუშავებთ — როგორ უნდა ამუშავდეს ხელშეწყობის მექანიზმი კვლევების სწორად წარმართვისთვის და რა მიმართულებას სჭირდება გაძლიერება.

ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი პარტნიორი არის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი და რუსთაველის ფონდი. ქართველოლოგიურ, საზოგადოებრივ და სოციალურ მიმართულებებს გრანტების სახით რუსთაველის ფონდი აფინანსებს, ხოლო საბუნებისმეტყველო, სოციალური შემსწავლელ და ზუსტ მეცნიერებებს, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიებს და ინჟინერიას — ეროვნული სამეცნიერო ფონდი. ამ ფონდებთან ურთიერთობა ჩვენ მხოლოდ კონკურსის პერიოდში არ გვაქვს. სამეცნიერო გრანტების გაცემის სისტემის დახვეწის შესახებ ჩვენი დეპარტამენტიდან რეკომენდაციებიც და წინადადებების მთელი პაკეტი მიდის ამ ფონდებში და მათ ხშირ შემთხვევაში ითვალისწინებენ კიდევ. მაგალითად, ძალიან ბევრი შენიშვნა გამოითქვა შარშანდელ საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით (გულისხმობს სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გამოყოფას). წლის დასაწყისში ჩვენმა დეპარტამენტმა კონკურსის შედეგები გააანალიზა. შედეგები გაეცნო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, მკვლევარებს, გამარჯვებული და მონაწილე პროექტების ავტორებს. მათთან შეხვედრის შემდეგ ჩამოყალიბდა ჩვენი რეკომენდაციები, სადაც მოცემული იყო მოსაზრებები შეფასების სისტემასთან და რეცენზენტების ასიმეტრიულობასთან, მიმართულებების დაჯგუფებასთან დაკავშირებით და სხვა. წინადადებების დიდი ნაწილი მიმდინარე კონკურსში იქნება გათვალისწინებული. მაგალითად, მედიცინა და საინფორმაციო ტექნოლოგიები საკონკურსო პროექტებისთვის ცალკე კალაშია იქნა გამოყოფილი, დაიხვეწა შეფასების სისტემა.

ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა ჩვენთან კონსულტაციების შემდეგ შეიმუშავა ძალიან კარგი პროექტი — ეს გახლავთ მეცნიერების პოპულარიზაციის პროგრამა, რომელიც ზოგადად განხორციელდება სკოლებში საჯარო ლექციების ნაკითხვის ფორმით ხორციელდება. წელს გამოცხადდა კონკურსი 6 სამეცნიერო მიმართულებით. აქედან 5 მიმართულებაზე ლექციებს ჩვენი უნივერსიტეტის წარმომადგენლები კითხულობენ საქართველოს სამ ქალაქში — ქუთაისში, გორსა და თბილისში. ორი დღის წინ უკვე 9 ქალაქში გამოცხადდა ახალი კონკურსი საჯარო ლექციების ნაკითხვაზე და იმედი მაქვს, რომ ამ კონკურსში უნივერსიტეტელები აქტიურად ჩაებნებიან.

დეპარტამენტი ცდილობს, ხელი შეუწყოს არასაუნივერსიტეტო-სამეცნიერო ცენტრებისა და წარმატებული მეცნიერების უნივერსიტეტში სხვადასხვა სახით მოზიდვას. მჭიდრო ურთიერთობები გვაქვს ყოფილ მეცნიერებთან აკადემიის დაქვემდებარებაში არსებულ სამეცნიერო ცენტრებთან, ასევე, არასამთავრობო გაერთიანებებთან. ჩვენი მიზანია, ერთგვარი კოლბორაცია შევქმნათ და მათ საუნივერსიტეტო სასწავლო და სამეცნიერო პროცესში სწორი ფორმით ინტეგრირებას მივალნიოთ.

წელს დაინერგა ცოდნის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან და საკონსულტაციო ჯგუფი „ივინ-ბალტიკ“ — თანაწარმოებლობა, რომელიც ითვალისწინებს მეცნიერების კომერციალიზაციის კუთხით ცენტრის გამოცდილების გაზიარებას და ამ გამოცდილების ქართულ გარემოში იმპლემენტაციას. პროექტი 4 ფაზას მოიცავს. ამთავან ორი სერიოზული შესვენება-კონსულტაცია უკვე გაიმართა თბილისში. გამოისახა ამ პროექტის გაგრძელების კონტურები, შეიქმნა გარკვეული ცოდნა, თუ როგორ მოვიძიოთ, შევაფასოთ, შევუფიქროთ და გავავცეთ ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები ბიზნეს-გარემოს. ეს არის სრულიად კონკრეტული პროექტი კონკრეტული შედეგებით. მაგალითად, უკვე დაგეგმილია შეხვედრა ერთ-ერთ ნამყვან ბიზნეს-ჯგუფთან. განსაზღვრულია ერთობლივი საწარმოს ჩამოყალიბება, რომელიც ინვესტიციას ჩადებს უნივერსიტეტის მე-

ნიერთა მიერ შემუშავებული ტექნოლოგიების დანერგვაში. მუშაობას ვინყებთ კონკრეტული პროექტით, რომელიც ჰელიოენერგეტიკას შეეხება.

მეცნიერების კომერციალიზაციისთვის ხელშეწყობის მიზნით ჩვენს მიერ მისი უნივერსიტეტში ორგანიზება გაენია ინოვაციური პროექტების გამოფენა-დათვალიერებას. მასზე წარმოდგენილი იყო არა მხოლოდ უნივერსიტეტის, არამედ სხვა კვლევითი ინსტიტუტების მიერ შემუშავებული პროექტები. მართალია, ბიზნესმენები ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი, მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია. ამგვარი რამ საქართველოსთვის და მისი ბიზნეს-გარემოსთვის უცხოა. ინოვაციური ცოდნის გამოყენებას და ბიზნესის დაინტერესებას საფუძვლიანი მუშაობა და დრო სჭირდება. ასევე, საჭიროა ხელისუფლების ნება. მაგალითად, ესტონეთის 2008 წლის ბიუჯეტში 40 მილიონი ევროა გათვალისწინებული ამგვარი პროექტების განხორციელებისთვის და საერთოდ, ამ ტიპის საქმიანობისთვის. მთავარია, რომ საქართველოშიც დაიწყეთ ამაზე ფიქრი და ზრუნვა.

ჩვენ მჭიდრო კონტაქტები გვაქვს უცხოეთში მოღვაწე წარმატებულ ქართველ მეცნიერებთან. უნივერსიტეტის საიუბილეო დღეებში უნივერსიტეტს სტუმრობდნენ ჩვენი თანამემამულეები უცხოეთის უნივერსიტეტებიდან. ეს არ იყო სპონტანური და საიუბილეო აქცია. მათ უნივერსიტეტის სტრუქტურისთვის ფიზიკაში, მათემატიკაში, ბიოლოგიაში, ჰუმანიტარულ მიმართულებებზე საინტერესო ლექციები ჩაატარეს. ამ თანამშრომლობას სისტემური ხასიათი აქვს. ვცდილობთ, მომავალში არსებული ბაზით — 30-40 პროფესორით არ შემოვიფარგლოთ და უნივერსიტეტში სხვა წარმატებული ქართველი მეცნიერებიც მოვიზილოთ.

ასევე მნიშვნელოვანი პროექტია „საბავშვო უნივერსიტეტი“, რომელიც შარშან ალდგა. წელს ამ მიმართულებით ამუშავდა უნივერსიტეტის ექსპერტული კავშირი და მყარდა საჯარო სკოლებთან, რომლის მოსწავლეებიც ისმენენ ლექციებს პროფესორებისაგან და იღებენ პასუხებს მათთვის საინტერესო კითხვებზე. „საბავშვო უნივერსიტეტი“ ფარგლებში ისინი ჩართულნი არიან პრაქტიკულ მეცადინეობებში და ასრულებენ ამოცანებს, რომლის გაკეთებაც მათთვის დასაშვებია. ეს კარგი პრაქტიკაა, რადგან ქმნის უწყვეტ კავშირს სკოლას, უნივერსიტეტსა და დამსაქმებელს შორის. საბავშვო უნივერსიტეტი მოტივირებულ აბიტურიენტს ზრდის — ის სკოლის ასაკიდანვე იღებს ორიენტაციას — რომელ სპეციალობას დაეუფლოს მომავალში, რომ სწორად შეარჩიოს მიმავალი განათლების სფერო...

ამჯერად ჩვენი ზრუნვის საგანია უნივერსიტეტის მფარველობაში მოვაქციოთ 199-ე საჯარო სკოლა (ყოფილი კომაროვის სკოლა-ინტერნატი). ეს სკოლა 20 წელი უნივერსიტეტის ქოლგის ქვეშ იყო, სადაც ფიზიკა, მათემატიკა, სხვა საბუნებისმეტყველო დისციპლინები განსაკუთრებული პროგრამით ისწავლებოდა. ჩვენ ახლაც ვუნვეთ მათ დახმარებას სასწავლო პროგრამების შედგენაში. მათ კავშირი აქვთ უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან ფაქტობრივად და პროფესორ-მასწავლებლებთან.

მთავარია, ვეცადოთ, სისტემური ხასიათით და სახე მიეცეს სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისა და შეფასების სისტემას. უახლოეს მომავალში დასრულებული იქნება სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის 2008 წლის ანალიზი, რომელზე დაყრდნობითაც შევიშუშავებთ რეკომენდაციებს და მივანოდებთ უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს.

არ შემიძლია გვერდი აუაროთ და ჩვენი გაზეთის საშუალებით მსურს, მივულოცო წარმატება უნივერსიტეტულ ახალგაზრდა მეცნიერებს, რომლებმაც მოიპოვეს 2008 წლის საეროზიდენტო სამეცნიერო გრანტები, ვეკუასა და ბერიტაშვილის სახელობის სტიპენდიები. სიამაყით გაუწყებთ, მათ შორის სამი ჩვენი დეპარტამენტის წარმომადგენელია: გიორგი ლევანოვი, თამარ გოგვა და ლევა კვიციანი. გიორგი, ამასთან ერთად, გახლავთ ვეკუას სტიპენდიანტი, მისი ხელმძღვანელობით გამარჯვებული NATO-ს საგრანტო პროექტის ეგიდით უნივერსიტეტში გაიხსნა ინტერდისციპლინური სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი.

— საზღვარგარეთ მოღვაწე რომელ ქართველ მეცნიერს დასახლებულ, რომელმაც ქვეყნის საზღვრებს გარეთ ჩვენს უნივერსიტეტს პოპულარობა მოუტანა?

— უნივერსიტეტის დიდი გულშემატკივარი და ხშირი სტუმარია ბატონი ვია დვალი. იგი წელს გერმანიის მთავრობის მიერ დაწესებული ჰუმბოლდტის საპროფესორო პრემიის პირველი ლაურეატი გახდა. ეს კონკურსი წელს პირველად ჩატარდა და მისი საბრძოლო ფონდი 5 მილიონი ევროა განისაზღვრება. ამ პრემიას გერმანიის მთავრობა ანიჭებს იმ უცხოელ მეცნიერებს, რომლებიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ასოცირებული არიან რომელიმე გერმანულ უნივერსიტეტ-

თან. ბატონი ვია ამ პრემიაზე მიუხედავად მაქსიმალური უნივერსიტეტმა წარადგინა და როგორც გიონარტი, გაიმარჯვა. ეს, არა მარტო ბატონი ვიას, არამედ თსუ-ის დიდი გამარჯვებაა...

ბატონი ვია მზად არის, სათავეში ჩაუდგეს თსუ-ის კულტურულ-საინოვაციო ასოციაციას. მისი ჩამოსვლის შემდეგ ამ ასოციაციას ოფიციალურად გავაფორმებთ.

ურიბო არ იქნება, რომ მაქსიმალური განათლების მინისტრი იყოს და უნივერსიტეტს დაუინანსება გაუზარდოს

გიორგი შამატაძე, სტრუქტურული თვითმმართველობის პრეზიდენტი:



— რით იყო სტრუქტურული თვითმმართველობისთვის გამორჩეული ეს წელი?

— შეიცვალა ძველი თვითმმართველობა და ჩვენს რიგებს მრავალი სტრუქტურული შეემატა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველი არჩევნების გზით მოსული თვითმმართველობის საქმიანობა მაინც ექსპერიმენტული იყო. როდესაც საქმეს თავიდან იწყებ, იქ შეცდომებისაა უმეტეს. ჩვენი უპირატესობა კი ის არის, რომ შეგვიძლია წინამორბედის გამოცდილება გავითვალისწინოთ და, აქედან გამომდინარე, უფრო ეფექტურად ვიმუშაოთ. ჩვენი მიზანია, თვითმმართველობის საქმიანობაში რაც შეიძლება მეტი სტრუქტურული ჩაერთოს და ყველამ ერთად შევქმნათ ისეთი საუნივერსიტეტო გარემო, სადაც ჩვენი ახალგაზრდობა უფრო კარგად იგრძნობს თავს. წელს ჩვენთან, ძირითადად, პირველი და მეორე კურსის სტრუქტურული მოვიდნენ, რაც გარკვეულ სიახლედაც კი შეიძლება ჩაითვალოს. უფროსკურსელებს ნაკლები დრო რჩებათ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად: მათგან ბევრი მუშაობს, ზოგიც პრაქტიკაზე და ასე შემდეგ. პირველკურსელები უფრო აქტიურები არიან, ახალი იდეებთანაც მოდიან.

— რა გეგმები გაქვთ ახალი წლიდან?

— საახალწლო ღონისძიებების გარდა, რომელიც ამ დღეებში გაიმართება, თვითმმართველობა გეგმავს საკვლევო-მეცნიერო ღონისძიებებს დევნილთა დახმარების მიზნით. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად გორში ჩასვლასაც ვაპირებთ. ახალი წლის შემდეგ, სასწავლო პროცესის განახლებისთანავე, ჩვენს მიერ დაგეგმილი უამრავი პროექტი თუ ღონისძიება განხორციელდება, რომელზეც თვითმმართველობის თითოეული დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს.

თებერვლიდან განახლდება ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის?“ დაგეგმილია სტრუქტურული სამეცნიერო კონფერენციები, რომელშიც ყველა ფაქტორის სტრუქტურული მიიღებენ მონაწილეობას. გარდა ამისა, იურიდიულ ფაქტორებზე ორი მიმართული პროცესი გაიმართება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მათი კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. კულტურის დეპარტამენტის ინიციატივით აღდგება „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი“, შეიქმნება უნივერსიტეტის ფოლკლორული ანსამბლი, რომლის წევრები კონკურსის წესით შეირჩევიან. ამის გარდა, იგეგმება შეხვედრები საინტერესო პიროვნებებთან, ჩატარდება საჯარო ლექციები, მოეწყობა გამოფენები...

აქტიურად იმუშავებს სპორტის დეპარტამენტი. შეჯიბრებები გაიმართება სპორტის სხვადასხვა სახეობებში. დაგეგმილი გვაქვს უფასო ექსკურსიების მოწყობა. შეგეგმვის თვალსაზრისით მოეწყობა ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რომელსაც ტურისტების დეპარტამენტი გაუწევს ორგანიზებას.



მე-6 ბპერდიდას

დაასახელეთ წლის საუკეთესო სტუდენტი!

ასეთი ბევრია, ამიტომ მათგან რომელიმე გამოირჩევა გამჭვირვებულად. აგვისტოს მოვლენების დროს ჩვენმა სტუდენტებმა საოცარი თანადგომა გამოხატეს იძულებით გადაადგილებულთა მიმართ. ჩვენი ინიციატივით იგოეთში გაიმართა საპროტესტო აქციები, ჩასულები ვიყავით გორშიც.

რაიმე განსაკუთრებული ტრადიცია თუ გაქვთ ახალი წლის შესახებ?

ჩვეულებრივ, ახალ წელს ოჯახში ვხვდებით, თორმეტი საათის შემდეგ კი მეგობრებთან მივდივარ. მგონი, ტრადიციას არც წელს დავარდევ...

თქვენი აზრით, ვინ იქნება ყველაზე სასურველი მეკვლე უნივერსიტეტისთვის?

ალბათ, ურიგო არ იქნება, რომ მეკვლე განათლების მინისტრი იყოს და უნივერსიტეტს დაფინანსება გაუზარდოს.

ამ წელს უნივერსიტეტს ყველაზე დიდი პოპულარობა საიუბილეო ღონისძიებებმა მოუტანა

მაპა სენიანაშვილი, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი:



რით იყო მნიშვნელოვანი ეს წელი უნივერსიტეტისთვის?

ამ წელს უნივერსიტეტს 90 წელი შეუსრულდა, რაც უნივერსიტეტისთვის, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა. უნივერსიტეტის 90 წლის იუბილეს აღსანიშნავ ღონისძიებებში ვინც იყო ჩართული, მათთვის არის ეს წელი განსაკუთრებული.

ყველაზე მეტად რომელმა ღონისძიებამ მოუტანა პოპულარობა უნივერსიტეტს?

ამ წელს უნივერსიტეტს ყველაზე დიდი პოპულარობა მოუტანა საიუბილეო ღონისძიებებმა, რომლის ფარგლებშიც უამრავი სასარგებლო რამ გაკეთდა.

რას გეგმავთ ახალი წლიდან?

ახალი წლიდან ახალი პიარ-სტრატეგიის განხორციელებას დაიწყებთ. ეს სტრატეგია ჩამოყალიბების პროცესშია და საკმაოდ გრძელვადიანი იქნება.

რაიმე ტრადიცია თუ გაქვთ ახალი წლის შესახებ?

ახალი წლის შესახებ რაიმე სულ ვცდილობ, რომ რამე ახალი ნივთი შევიძინო ან, თუნდაც, საახალწლო ნაძვის ხე ახალი სათამაშოებით მოვრთო. ეს არის ჩემი საახალწლო ტრადიცია და ჩემთვის ძალიან სასიამოვნო პროცესია.

ვინ იქნებოდა უნივერსიტეტისთვის ყველაზე კარგი მეკვლე?

კარგი მეკვლე უნივერსიტეტისთვის შეიძლება იყოს ყველა ის სტუდენტი, პროფესორი თუ გარეშე ადამიანი, რომელიც უნივერსიტეტში შემოვა დადებითი განწყობილებით და კარგი ემოციებით. ამისათვის ძალიან ცოტა რამ არის საჭირო, მთავარია, ეს ადამიანი პატივს სცემდეს უნივერსიტეტს და უყვარდეს იგი.

საფინანსო უფროსი რომ ვარ, ზოგს ჰგონია, რომ დიდი ფული მიღავს ჯიბაში

რომან ხარბაძე, საფინანსო დეპარტამენტის უფროსი:

რით იყო განსაკუთრებული მიმდინარე სასწავლო წელი უნივერსიტეტისთვის ფინანსური თვალსაზრისით...

მიუხედავად ქვეყანაში ფინანსური სიძნელეებისა, უნივერსიტეტისთვის ეს სასწავლო წელი წარმატებული და ნაყოფიერი გამოდგა. მართალია, მსოფლიო ახლა ფინანსურ კრიზისს განიცდის, მაგრამ ამ მოვლენას ჩვენთვის ფინანსური პრობლემები არ შეუქმნია და ეს წელი, ფინანსური თვალსაზრისით, წარმატებული იყო.

ანუ უნივერსიტეტი არ „ჩამოიშალა“...

წარმატებად ასეა. ჩვენს დეპარტამენტებსა და ფაკულტეტებს რაიმე ფინანსური შეფერხება არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, უნდა ვეცადოთ, რომ დამატებითი ფინანსური წყაროები მოვიზიდოთ...

ფინანსისტის თემაზე იცით რა არის? ნაკლები გასცეს და მეტი დაიტოვოს, თუმცა ძალიან მინდა, რომ სიურპრიზების კეთების საშუალება გვქონდეს. ახლა წლის ბოლოა და ვფრთხილობთ, რომ ეკონომიკური კრიზისის ფონზე გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდეს...

ისე უნდა გითხრათ, რომ საფინანსოს უფროსი რომ ვარ, ზოგს ჰგონია, რომ დიდი ფული მიღებს ჯიბეში (იცინის...).



დამდეგი წლის უნივერსიტეტის ბიუჯეტი რაზე ორიენტირებული?

უნივერსიტეტის კომუნალური ხარჯებისთვის ყოველწლიურად 2 მილიონი ლარი იხარჯება. სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება თითქმის სიმბოლურია. ჩვენ, ძირითადად, საკუთარი შემოსავლებით ვარსებობთ. მომავალში ვაპირებთ თანამშრომელთა ხელფასის გაზრდას, რისთვისაც 2 მილიონი ლარი გამოიყო. რეფორმების წარმატებულად განხორციელების შემდეგ იურიდიული ფაკულტეტის სრულ პროფესორებს ხელფასის სახით 3 000 ლარი ეძლევათ. ამ რეფორმას სხვა ფაკულტეტებზეც ვგეგმავთ.

რა ტრადიცია გაქვთ ახალი წლის შესახებ?

განსაკუთრებული ტრადიცია არ მაქვს, მაგრამ როგორც ცუდი განწყობაც არ უნდა მქონდეს, თავს ძალას ვატან, რომ ახალი წლის შემობრძანებას სადღესასწაულო განწყობით შევხვდე. ამ წლის ბოლოს ქუროდებმა სიურპრიზი გამოიკეთეს. ალბათ იმთავითვეა, რომ საფინანსოს უფროსი ვარ, ეგონათ ფული მედო სახლში და გვარიანად გამეჭურდეს. მოკლედ, ახალი წლიდან ახალი ცხოვრება უნდა დავიწყო - ყველაფერი თავიდან მაქვს შესაძენი.

თქვენი აზრით, ვინ იქნება უნივერსიტეტისთვის ყველაზე კარგი თოვლის ბაბუა?

დიდი პატრიოტი და ქველმოქმედი ბიძინა ივანიშვილი.

ზოგიერთი თოვლის ბაბუად თქვენ გასახელებთ...

საჩუქრებისთვის ფული აღარ დამრჩა (იცინის)..

შერავლესობა I კორპუსში 2010 წლისთვის დაბრუნდება

დათო ჩარქაძე, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი:

რა ევალება თქვენ სამსახურს ძირითადად?

ჩვენი დეპარტამენტი საკმაოდ მრავალრიცხოვანი დეპარტამენტი და ყველა განყოფილება დღეს დიდი დატვირთვით მუშაობს. თსუ-ის I კორპუსის სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის კორპუსის დაცვას ჩვენი დეპარტამენტი უზრუნველყოფს. ვცდილობთ, სხვადასხვა კორპუსებში გადანიშნულ თანამშრომლებს ნორმალური სამუშაო პირობები შევუქმნათ. უნივერსიტეტში დღეს ძალიან დიდი საქმე კეთდება... გარდა იმისა, რომ ეს არის ჩვენი პირდაპირი სამსახურეობრივი მოვალეობა, არც მორალური უფლება გვაქვს, ხელი არ შევუწყნოთ აქ განაღებულ სამუშაო ფონტს. მართალია, საქმე მოგვემატა, მაგრამ ვაცნობიერებთ რა ამ სამუშაოების მნიშვნელობას, ამას თითოეული ჩვენგანი დიდი სიამოვნებითა და ენთუზიაზმით აკეთებს. სულ მალე თსუ მიიღებს ისეთ სახეს, რაზეც ყველა ჭეშმარიტ ქართველ პატრიოტს უოცნებია.

ყველაზე მეტად ვინ ჭირვეულობს I კორპუსიდან გადასვლის პროცესში?



ამ შენობის დატოვება ყველას უჭირს, მაგრამ თითოეულს ერთნაირად უხარია მისი საფუძვლიანი რემონტი. ყველაზე მეტად კორპუსიდან წასვლა ჰუმანიტარებმა განიცადეს.

2010 წლისთვის თუ მოხერხდება I კორპუსში თანამშრომელთა დაბრუნება?

ვფიქრობთ, რომ ამ დროისთვის უმრავლესობის დიდი ნაწილი ახლადგარემონტებულ ოთახებში აუცილებლად დაბრუნდება.

რაიმე განსაკუთრებული ტრადიცია თუ გაქვთ ახალი წლის შესახებ?

განსაკუთრებული წამვილად არ მაქვს. ძირითადად, ვცდილობ, რომ ახალ წელს ოჯახში შევხვდე, რადგან ასე მსიამოვნებს. შემდეგ მეგობრებთან მივდივარ მისალოცად.

ვინ იქნებოდა უნივერსიტეტისთვის ყველაზე კარგი თოვლის ბაბუა?

თოვლის ბაბუა უკვე გვყავს. ვინაიდან კეთილ ფერიას, რომელიც ყველა ჩვენგანს ბედნიერებას მოუტანდა.

ვინ ფლობს ადამიანებთან ურთიერთობის რეპერტუარს?

ნათილა ლაცაბიძე, პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსი:

რით იყო განსაკუთრებული გასული წელი?

ეს წელი ჩვენი ქვეყნისთვის არ იყო სიკეთის მომტანი, რაც აგვისტოს ცნობილმა მოვლენებმა განაპირობა. რა თქმა უნდა, ამ პროცესებმა გავლენა იქონია უნივერსიტეტის ცხოვრებაზეც. იგი, ფაქტობრივად, ერთ დიდ შტაბად გადაიქცა. რიგითი თანამშრომლიდან დაწყებული ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით დამთავრებული, ყველანი ერთად ვიდექით და ერთმანეთს ვამხნევებდით. ბევრმა თანამშრომელმა საზაფხულო შევებულე-



ბაზე უარი თქვა, ბევრიც უკან დაბრუნდა და ჩვენს გვერდით დადგა, რათა ლტოლვილებისთვის ეს მძიმე დღეები, შეძლებისდაგვარად, შეგვემსუბუქებინა.

მაგრამ იყო კარგი მომენტებიც... თსუ-ის რეკონსტრუქციის გეგმა გრანდიოზულია და მას შეიძლება საუკუნის პროექტიც კი ეწოდოს.

თქვენ პერსონალის მართვის სამსახურეობრივი და პიროვნული გადმოსახედიდან ხომ არ გვეტყობოდა, ვინ აკლია დღეს უნივერსიტეტს?

ეს ერთი სტუდენტი, რომელიც აგვისტოს მოვლენების დროს დაგველუპა, მთელი უნივერსიტეტის დანაკლისია, რაზედაც ძალიან ვწუხვართ. თსუ-ის წამდელი დანაკლისია, აგრეთვე, ყველა ის გარდაცვლილი პროფესორი და მეცნიერი, ვინც მრავალი წლის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა მომავალი თაობების ღირსეულად აღზრდას.

ჯადოსნური ჯოხი რომ გქონდეთ, რას ჩაიფიქრებდით თსუ-ის სასიცოცხლოდ?

მინდა, თსუ-ის რეკონსტრუქციის პროექტი ჯოხის ერთი მოქნევით სწრაფად დასრულდეს... ისეთ უნივერსიტეტს ვისურვებდი, სადაც ყველას საუკეთესო პირობები ექნება მეცნიერული და შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის. უნივერსიტეტს დღეს წამდელია ჰყავს ღირსეული პროფესორი და მაღალრეიტინგული სტუდენტები, რომლის დიდი ნაწილიც ასპროცენტია დაფინანსებით მოვიდა აქ ცოდნის გასაღრმავებლად.

თქვენ თსუ-ის მომსახურე პერსონალი მომბიერ ადამიანად გასახელებთ...

ლმობიერების რა მოგახსენოთ... შეიძლება კონკრეტული საკითხი ადამიანის სასიკეთოდ ვერ გადაწყვიტო ობიექტური მიზეზების გამო, მაგრამ მისი პრობლემა უნდა გაითავისო და მისი პიროვნული ღირსეუბი არ უნდა შელახო. ჩემი დეპარტამენტის „გოგონებს“ ზოგჯერ შედმეტადაც ვსაყვედურობ, თუმცა მათი მუშაობითა და პიროვნული თვისებებით წამდელია კმაყოფილი ვარ. საერთოდ, საზოგადოებრივი საქმიანობა პარტნიორობის, ურთიერთდობის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების პრინციპებზე უნდა იყოს დაფუძნებული. ადამიანებთან ურთიერთობის მზა რეცეპტი არ არსებობს. ურთიერთობის ხელოვნებაში თავად უნდა გაინაწყო - ამისთვის, პირველ რიგში, შენი ადამიანობა, სულგრძელობა და სამართლიანობა საჭირო.

რაიმე განსაკუთრებული საახალწლო ტრადიცია თუ გაქვთ?

ყველა ქართულ ოჯახს, ალბათ, ერთი ტრადიცია აქვს... ოჯახის წევრები ცდილობენ ერთ დიდ, ძირითად ოჯახში შეიკრიბონ, რასაც ქართველები ფუძე ოჯახს ვეძახით. ჩემი ოჯახის წევრებიც ახალ წელს ერთად ვიკრიბებით.

ვის დასახელებდით უნივერსიტეტის მეკვლედ?

მე კიდევ ერთ ქველმოქმედს ვინატრებდი, რომელიც საჭირო ფინანსებს ხურჯინით მოგვიტანს უნივერსიტეტის სხვა კორპუსების რეკონსტრუქციის სწრაფად და ხარისხიანად დასრულებისათვის.

საუკეთესო მეკვლე ჩვენი სტუდენტობა იქნება

ნუნუ ოხინიანიძე, კანცელარიის უფროსი:

როგორ ხვდებით დამდეგ ახალ წელს? რაიმე განსაკუთრებული ტრადიცია თუ გაქვთ ახალი წლის შესახებ?

უკვე მეექვსე წელია ახალ წელს ერევანში ვხვდები, ჩემი ძმის ოჯახში. პატარა ძმისშვილისთვის ახალი წელი მხოლოდ ჩემი სტუმრობის შემდეგ დგება, რადგან დღემდე გონია, რომ სანტაკლაუსი სწორედ მე ჩამყავს აქედან...

ჩემი რძალი ერევანში საქართველოს საელჩოში მუშაობს... იქ, საქართველოს საელჩო ქართული სულიერების პატარა ოაზისივითა და ახალი წელიც ქართული ტრადიციების გათვალისწინებით აღინიშნება, სტუმრებს ქართული კერძებითა და ნუგებართ უმასპინძლებდებიან...

თქვენი აზრით, ვინ იქნება უნივერსიტეტისთვის ყველაზე კარგი თოვლის ბაბუა ან მეკვლე?

თოვლის ბაბუა არ ვიცი, მაგრამ საუკეთესო მეკვლე ჩვენი სტუდენტობა იქნება.

რით იყო განსაკუთრებული ეს სასწავლო წელი?

პროგრესი წამდელია სახეზეა, ის რაც უნივერსიტეტის რეალობაში ხდება, მართლაც საამაყო და მისასალმებელია. ვისურვებდი, რომ მომავალი წელიც ასეთი ნაყოფიერი და შემოქმედებითი იყოს.



უნივერსიტეტში კანონებს უხეზად არაკინც არღვევს

ლალა ბენიძე, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი:

უნივერსიტეტის სივრცეში ყველაზე ხშირად ვინ არღვევს კანონს?



მე-7 გვირგვინი

— უხეშ კანონდარდვებს ადგილი არ აქვს. ამ ფაქტს ისიც განაპირობებს, რომ თსუ ცოდნის ტაძარია. აქ პატივს სცემენ კანონებს, რადგან იციან, რომ კანონმორჩილება მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გამოვლინებაა.

— ვინ აკლია დღეს უნივერსიტეტს?

— აკლია ის სახელოვანი მოღვაწეები, რომლებმაც პირველი ქართული უნივერსიტეტის სახელი საზღვრებს გარეთ გაიტანა. ხშირად, უნივერსიტეტის კედლებში ისეთ საპატივცემულო სახეებს ვხვდავ, რომ მეამაყება... ბევრი მათ შორის მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების მიერაა აღიარებული და დაფასებული.

— რაიმე განსაკუთრებული ტრადიცია თუ გაქვთ ახალი წლის შესახებ?

— განსაკუთრებული ტრადიცია არ მაქვს. როგორც ყველა ქართველი, მეც ოჯახთან ერთად ვხვდები ახალ წელს. სახლს ლამაზი გირლანდებით ვრთავთ, ახალი წლის განწყობის შესაფერისად. სახლში რომ მესტუმროთ, აუცილებლად იგრძნობთ საახალწლო ატმოსფეროს.

— თქვენი აზრით, ვინ შეიძლება იყოს



უნივერსიტეტისთვის საუკეთესო მეკვლე?

— უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა.

— რაიმე საახალწლო კურორს თუ გაიხსენებდით?

— ეს ამბავი ჩემი ნათლულის სახლში მოხდა. ულამაზესი სათამაშოებით მოვრთეთ დიდი ნაძვის ხე, რომლის ტოტებზეც თოვლის მაგივრად თეთრი ბამბები დავაფინეთ. როცა 12 საათი შესრულდა, მაშალალები ვისროლეთ. ნაძვის ხეზე უცბად ცვიცხლი აბრიალდა. ძლივს მოვახერხეთ მისი ლოკალიზება. ეს ამბავი ახლა ღიმილს მგვრის, მაშინ კი სულ არ იყო სასაცილო...

— ყველაზე მეტად რას ინატრებთ?

— სოხუმიდან დევნილი ვარ და ამ ახალ წელს საკუთარ სახლში დაბრუნებას ვისურვებდი.

— უნივერსიტეტს მიატოვებდით?

— ჩემს მშობლიურ სოხუმის უნივერსიტეტში ვიმუშავდი და მოვახმარდი აქ მიღებულ გამოცდილებას...

სტუდენტებისთვის ყველაზე დიდი საჩუქარი ევროკულ საგანმანათლებლო სივრცეში მოხილვის რეალური ხელშეწყობა იქნება

მაია მინთაშაშვილი, საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი:

— რამდენად ნაყოფიერად იმუშავა წელს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტმა, რა იყო თქვენი პრიორიტეტი?

— საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი, თავისი სპეციფიკით, ინტერნაციონალიზაციაზე, გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამებზეა ორიენტირებული. ამ მხრივ, გასული წელი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. გაიზარდა გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა. 2008 წელს მათი რიცხვი თითქმის გაორმაგდა — დეპარტამენტისთვის, გაცვლით პროგრამების მოზიდვის თვალსაზრისით, ეს დიდი გამოწვევაა. საჭიროა, გავართოდეს პარტნიორი უნივერსიტეტების რიცხვიც. თსუ ტრადიციულად თანამშრომლობს ტარტუს, ვილინიუსის, ლიტვის, ლატვიის, გისენის, იენის, ზარლანდის, ვარშავის, კა ფოსკარის უნივერსიტეტებთან, სადაც ქართველ სტუდენტებს საუკეთესო სასწავლო პირობებს სთავა-



ზობენ ინტელექტუალური თუ შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოსავლენად.

ვფიქრობ, რომ მომავალ წელს, ჩვენს პარტნიორ უნივერსიტეტებში ქართველი სტუდენტების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდება. შესაბამისად თბილისის უნივერსიტეტშიც მოიმატებს უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა. მინდა, ასევე, საგანგებოდ გამოვყო ვეროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი: „ერასმუს-მუნდუსი“ — გარე თანამშრომლობის ფანჯარა.

— რომელი უცხოელი სტუმრის ვიზიტი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი?

— წლებადღეი წელი იმითიც იყო გამორჩეული, რომ უნივერსიტეტმა დაარსების 90 წლის იუბილე აღნიშნა. საომარი მდგომარეობის მიუხედავად, ამ თარიღთან დაკავშირებით მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან 50-მდე სტუმარი ჩამოვიდა. ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს თსუ-ის საერთაშორისო ავტორიტეტზე.

— რა არის ყველაზე კარგი საჩუქარი უნივერსიტეტისთვის პარტნიორი უნივერსიტეტების მხრიდან?

— თსუ-ის სტუდენტებისთვის ყველაზე დიდი საჩუქარი ევროკულ საგანმანათლებლო სივრცეში მოხილვის რეალური ხელშეწყობა იქნება!

— რაიმე ტრადიცია თუ გაქვთ ახალი წლის შესახებ?

— ახალი წლის ღამეს დიდი ინტერესით ველოდები პატრიარქის გამოსვლას და ქადაგებას. მიმაჩნია, რომ მისი ქადაგება მთელი წლის სამოქმედო პროგრამაა, რომელიც გვიჩვენებს გზას, თუ როგორ უნდა გადავლახოთ სირთულეები... ეს ქადაგება მომავლის იმედით ავსებს მთელ ერს. სწორედ ეს არის ჩემი უშუალო დამოკიდებულება ახალ წელთან... რაც შეეხება ტრადიციას, ის უფრო შობის დღესასწაულს უკავშირდება. საშობაო სამზადისის შემდეგ საშობაო წირვას ვესწრები, „ალილო“-ს მსვლელობაშიც ვიღებ მონაწილეობას და მოსახლეობას მაცხოვრის შობას ვულოცავთ.

— თქვენი აზრით, ვინ იქნება უნივერსიტეტისთვის ყველაზე კარგი თოვლის ბაბუა?

— ჩემი აზრით, თოვლის ბაბუას რაღაც კონკრეტულიც არ უხდება. მგონია, რომ რამდენადაც უფრო განზოგადებული და აბსტრაქტულია, მით უფრო საინტერესოა.

კომპოზიტორის უსწარი ახირება ახალი წლის შესახებ

ლილიკო ნემსაძე, კულტურისა და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელი:

— როგორ მუშაობდა თქვენი დეპარტამენტი მიმდინარე წელს? ბევრი სტუდენტი არის თუ არა დაინტერესებული სპორტითა და კულტურით?

— წარმატებები ბევრია. მოცეკვავეთა ანსამბლი დაგვიბრუნდა თურქეთის ფესტივალ-დან, სადაც მან პირველი ადგილი მოიპოვა. უნივერსიტეტის კალათბურთულ ვაჭთა გუნდი მესამე ადგილზე გავიდა 2008 წლის სუპერლიგაში, დამეთანხმებით, ესეც დიდი წარმატებაა. ახალგაზრდა კალათბურთელთა გუნდი უნივერსიტეტებს შორის ჩემპიონი გახდა. ლაშა ბულაძის პიესის მიხედვით გიორგი გომურაშვილმა დადგა სპექტაკლი „ჭრილობა“, რომელმაც დიდი მონონება დაიმსახურა. ჩვენი ხალხური ანსამბლიც ნაყოფიერად მუშაობს. ჩემს გაცვლას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც რეპეტიციავ ავდი და ბიჭებმა 5-6 სიმღერის ნაცვლად, საათნახევრიანი რეპერტუარი შემომთავაზეს. ეს ყველაფერი დიდი წარმატებაა, რაშიც სტუდენტური თვითმ-

მართველობაც ძალიან გვეხმარება. თუმცა სტუდენტებს ისე მაინც ვერ ვეხმარებით, როგორც საჭიროა.

— რაიმე ტრადიცია თუ გაქვთ ახალი წლის შესახებ?

— ძალიან ცუდი, არც ჩემს ცხოვრებას შეეფერება და არც პროფესიას. ერთი ადგილი მაქვს, სადაც 12 საათს რომ 2 წუთი დააკლდება მაშინ შევდევარ და პირველი საათის რაღაც წუთებზე უკან გამოვიდევარ. ეს ადგილია - აბაზანა.

— რატომ?

— არ ვიცი, 10 წელია ასე ვიმაღლები აბაზანაში და ყველამ იცის, რომ იქ ვარ. ამას ჩემს ერთ-ერთ უცნაურ ახირებად თვლიან.

— და ეს კარგად გაქვთ დაცდილი?

— დიახ. შვილები ეზოში ჩადიან, სახლს წრეს უვლიან და უკან მეკვლეებად ამოდიან. დედა კი ამ დროს აბაზანაშია შეყუყუული...

— თქვენი აზრით, უნივერსიტეტისთვის ყველაზე კარგი თოვლის ბაბუა ვინ იქნება?

— თოვლის ბაბუები უნდა ვიყოთ ჩვენ ყველა — ვისაც შეგვიძლია, რომ სტუდენტის ყოველი დღე უფრო საინტერესო და ნაყოფიერი გახადდეს, რომ მეტი ყურადღება მივაქციოთ მათ და მათი ტკივილი თუ გასაჭირი საკუთარივეთი გავითავისოთ.

— სიმღერით არ ხვდებით ახალ წელს?

— არა, სიმღერით არა. 12 საათის შემდეგ ლოცვას ვინყებ და შემდეგ სუფრასთან მივდივარ. მერე უკვე ერთი სული მაქვს, სახლიდან გავიდე და ჩემს მეგობრებთან ერთად გავატარო ახალი წლის ღამე.



ხელშეწყობა სჭირდება ნიჭიარს, თორემ უნიჭო იხადება ბაძვრება

თსუ-ის კულტურისა და სპორტის ცენტრის უფროსის მოადგილე, სახელოვანი მოჭადრაკე მაია ლომინიშვილი ქ. დრეზდენში გამართული საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული გახდა.

— გვიამბეთ თქვენი წარმატების შესახებ...

— როგორც მოგეხსენებათ, ჭადრაკი ოლიმპიური სახეობა არ არის. ასეთი ტიპის ოლიმპიადები ორ წელიწადში ერთხელ იმართება. წელს ის გერმანიის ქ. დრეზდენში ჩატარდა, სადაც საქართველოდან ხუთი წარმომადგენელი ვმონაწილეობდით: მე, მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, სოფო ხუხაშვილი და გუნდის კაპიტანი ნინო გურიელი. ოლიმპიადაზე პირველი მეორე საპრიზო ადგილები გავიყავით, მაგრამ კოეფიციენტის მიხედვით, ჩვენ პირველი ადგილი დავიკავეთ თორმეტწლიანი პაუზის შემდეგ.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ როდესაც უნივერსიტეტში მუშაობას ვინწყებდი, ქალბატონმა ნათელა ლაცაბიძემ მკითხა — სპორტულ საქმიანობას საზოგადოებრივს როგორ შეუთავსებო. ამ დროს სპორტიდან წასვლა უკვე გადაწყვეტილი მქონდა, თანაც ბოლოს წარმუშაებლადაც ვითამაშე. მაგრამ მოხდა ისე, რომ ევროპის საჭადრაკო ჩემპიონატზე მე და თსუ-ის სტუდენტმა ნანა ძაგნიძემ წარმატებით ვიასპარეშეთ. ამ გამარჯვებას სხვა ტურნირებში წარმატებებიც მოჰყვა. ჩემმა რეიტინგმა ძალიან აიწია... საქართველოს ნაკრებშიც მიმიწვიეს და დღეს დრეზდენის საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული ვარ. ჩემი წარმატებები თსუ-ის დამსახურებაა. მისი კედლებიდან ისეთი დადებითი მუსიკის მოდის, რომ გამარჯვებისთვის განაწყობს ადამიანს. ის ფსიქოლოგიური სტრესი და დაძაბულობა, რაც აქამდე ხელს მიმიღია, სრულიად მომეხსნა აქ მომუშავე არაჩვეულებრივი ადამიანების კეთილგანწყობითა და თანადგომით, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდით.

— მეფეს და პაიკს ერთ ყუთში ყრით ხომ?

— რა თქმა უნდა, ყველაფერს ერთ ყუთ-

ში ვყრი და ისიც კარგად მესმის, რომ ჭადრაკის თამაში ცხოვრებას ჰგავს. ჭადრაკში ასეა: ერთ კონკრეტულ პარტიამი ნაკლებად ღირებულმა პაიკმა შეიძლება უფრო დიდი როლი ითამაშოს, ვიდრე მეტად ღირებულმა ლაზიერმა. ყოველთვის მიმაჩნია, რომ ვინაიდან ჩვენ ყველას მაინც ერთი ბოლო გვაქვს, უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ თავმდაბლობა სიკეთეს თუ არა, ზიანს არასდროს მოგვიტანს. ძალიან მომწონს ეს გამოთქმა: ხელშეწყობა სჭირდება ნიჭიერს, თორემ უნიჭო ისედაც გაძვრება... როდესაც სპორტსმენების ფინანსურ მხარდაჭერაზე საუბარი, კარგი იქნება, თუ სახელმწიფო ამ პრინციპით იხელმძღვანელებს.



— ახალი წლის შესახებ რაიმე განსაკუთრებული ტრადიცია თუ გაქვთ?

— ახალ წელს, როგორც წესი, ოჯახში ვხვდები ხოლმე. ერთავ ნაძვის ხეს, თუმცა წელს სამი ნაძვის ხე უნივერსიტეტში მოვრთე და ღამის ფერიობაც შემომთავაზეს (იცინის).

მუზეუმი თსუ-ის საუკუნოვანი სხოვრების მემკვიდრე

მაია ბურაბანიძე, თსუ-ის მუზეუმის დირექტორი:

— უნივერსიტეტის მუზეუმში ბევრი უნიკალური, საინტერესო ექსპონატი ინახება. მაინც რა სიმდიდრის მფლობელია დღეს უნივერსიტეტი?

— მუზეუმი თსუ-ის საუკუნოვანი ცხოვრების მემკვიდრეა. ჩვენ ამ მემკვიდრეობის, ღირებულებების, სულიერი თუ ნივთიერი ფასეულობების სადარაჯოზე ვდგავართ. სამუზეუმო კოლექცია უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ აქ თსუ-ის დამფუძნებლების პირადი ნივთები, ძალიან საინტერესო არქივი და ფასეული ფერწერული კოლექცია ინახება.

— განსაკუთრებული ტრადიცია თუ გაქვთ ახალი წლის შესახებ?

— მთელი ოჯახის წევრები ერთად ვიკრიბებით საახალწლო სუფრასთან, რამე განსაკუთრებული რიტუალი არ გვაქვს.

— ვინ იქნება ყველაზე კარგი მეკვლე ან თოვლის ბაბუა უნივერსიტეტისთვის?

— თუ გავითვალისწინებთ იმ პროცესებს, რაც დღეს უნივერსიტეტში ხდება, სასურვე-



— რას უსურვებთ უნივერსიტეტს ახალ წელს?

— მომავლის იმედს, დიდ პერსპექტივებსა და გაძლიერებას ვუსურვებ და, რაც მთავარია, სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმატებით დასრულებას, რომლის შემდეგ თსუ-ის პირვანდელი სახე აღდგება.



# შალვა ნუცუბიძე: „როგორც გულს, ისე გაბარებთ უნივერსიტეტს“

თსუ-ში შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 120 წლისთავი აღინიშნა

დიდი აღამიანები უზრალთაში იკარგებიან... ისინი საკუთარ თავზე აღმან ყოველთვის... თანამდებობა, წოდება, დამსახურებული ეპითეტი თუ სახელი ერთ სიტყვასა თუ ფრაზაში გამოითქმის – მის უკან კი გოგოძროს „საბიჭვიკური აღამიანურისგან“ განთავისუფლებული სული, რომელიც წვდობა იმ სივრცეს, რასაც ჭეშმარიტება ჰქვია... სწორედ ასეთ მაღალ ცას მისწვდა შალვა ნუცუბიძე თავისი ინტელექტით, რომელმაც თურმე უნივერსიტეტის დაარსებისთვის ბრძოლის იდეას ის კონცეფციაც დაურთო, რაც მისი ტაძრად და ქართველთა მომრიგებელ კერად ქცევას უკავშირდება. შალვა ნუცუბიძემ დიდ რუს მწერლებსაც კი მოაქაზინა რუსული სალიტერატურო ენის ღრმა თავისებურებანი „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნით... მან ფილოსოფიური ძიებანის ის ვიწრო გზა განვლო, რის დაქვემდებარებასაც დიდ მოაზროვნეთა შორისაც კი ცოტა მოახერხებდა ალბათ... ამიტომაც არაერთხელ შეუძრავს სიცოცხლეში – დავნა და გარიყვა არ აცდა სიბერის გზაზე ნიჭიერად მავალს. საბჭოთა იმპერიის კლანჭი მსოფლივ ფიციკურად შეიხო, გონება და სული კი ვერ დაუთრგუნა ჭეშმარიტი აღამიანობის გზაზე „ნახეტილებულ“ მგზავრს. მეცნიერული კვლევა-ძიებანით ირჩინა სახელი, რომელიც მუდამ ამოტივტივდება, როგორც კი პირველი ქართული უნივერსიტეტის ხსენების მიზეზი გაჩნდება.

სიცოცხლეში ის არ დააფასეს, უნივერსიტეტიდან დავნილ ორატორს, რომელზეც ლეგენდებიც კი დადიოდა, სიტყვასაც კი აღარ აქლევდნენ თავად უნივერსიტეტი, რუსთველოვს რუსთაველის იუბილეზე დასწრების გზასაც უჭრიდნენ... სწორედ ამიტომ მართებს მისი ვალი დღევანდელ თაობას, რომელიც ვალდებულია კია გავიკრიკითოს შალვა ნუცუბიძის ცნობებისა და მოღვაწეობის დეტალებს.

## ნიშნობილი

უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, ფილოსოფოსი, ქართული ფილოსოფიური აზროვნების მკვლევარი და ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, კულტუროლოგი, მთარგმნელი, უნივერსიტეტის პრორექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე დაიბადა 1888 წლის 14 დეკემბერს სოფელ ფარცხანაყანებში. 1910 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი. 1911-1914 წლებში ლაიფციგის უნივერსიტეტის სტუდენტია. 1916-1918 წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტის ლექტორია. 1918 წელს იყო ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა. 1918-1953 და 1960-1969 წლებში ამავე უნივერსიტეტის პროფესორია. 1920-1929 წლებში იყო თსუ-ის პრორექტორი. 1925-1926 წლებში იყო ლაიფციგის უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი. 1927 წელს მიენიჭა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1944 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

აღსანიშნავია, რომ 1919-1921 წლებში შალვა ნუცუბიძე იყო საქართველოს დემო-

კრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) წევრი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ იგი მუდმივად განიცდიდა დევნას საბჭოთა რეჟიმის მხრიდან: დაპატიმრებული იყო 1938-1940 წლებში, 1953-1960 წლებში გაძევებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და ჩამორთმეული ჰქონდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობა.

დიდი მეცნიერი 1969 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში. წლების შემდეგ რეაბილიტირებული შალვა ნუცუბიძის სახელი მიენიჭა საბურთალოს რაიონის დასახლებას, რომელსაც დღესაც ეს სახელი ჰქვია.

შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 120 წლისთავს წელს უნივერსიტეტმა არაერთი ღონისძიება მიუძღვნა. 18 მაისს უნივერსიტეტისა და ქ. თბილისის მერიის ინიციატივით, საბურთალოს რაიონის ნუცუბიძის III მიკრორაიონში მდებარე განახლებულ სკვერში აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის ბიუსტი გაიხსნა. ცერემონიალს დედაქალაქის ხელისუფლებისა და ქართული სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლები დაესწრნენ.



შალვა ნუცუბიძის 120 წლისთავს მიეძღვნა, ასევე, 10 ივნისს გამართული თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა II საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. ღონისძიების მონაწილეებმა უნივერსიტეტის ეზოში შალვა ნუცუბიძის ძეგლი ყვავილებით შეამკეს, შემდეგ კი მისი სახელობის კაბინეტი გახსნეს.

15 დეკემბერს ამ თარიღის აღსანიშნავად თსუ-ის I კორპუსის ფოიეში გაიხსნა შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა, დამაგვირგვინებელი საიუბილეო ღონისძიება გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში. საიუბილეო სხდომას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრები, შალვა ნუცუბიძის შთამომავლები, უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლები და სტუდენტები ესწრებოდნენ. სხდომა გახსნა თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ, რომელმაც აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის გამომცემლობაში იბეჭდება შალვა ნუცუბიძის ფილოსოფიის შესავალის ახალი გამოცემა, რომელიც, სავარაუდოდ, მომავალი წლის დასაწყისში იხილავს დღის სინათლეს. სხდომაზე გამომხვლებები შალვა ნუცუბიძეზე მხოლოდ მოგონებებით როდი შემოიფარგლნენ, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები იმ მიღწევებზე საუბრობდნენ, რამაც შალვა ნუცუბიძე მსოფლიო დონის მეცნიერად წარმოაჩინა.

## ივანე ჯავახიშვილმა შემთხვევით არ დაუთმო პირველი სიტყვა შალვა ნუცუბიძეს

გიორგი ხუბუა, თსუ-ის რექტორი, პროფესორი:

— მოხარული ვარ, რომ დღეს უნივერსიტეტი აღინიშნავს პირველი ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, ბატონი შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 120 წლისთავს. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ იმ პერიოდში, როდესაც ქართული უნივერსიტეტის დაარსების იდეის მიმართ ქართული საზოგადოებრივი აზრი არ იყო ერთიანი, აზრთა სხვადასხვაობის გამო სერიოზული დაპირისპირებაც კი უძღვდა წინ უნივერსიტეტის გახსნას და იყო მოსაზრება, რომ ქართული ტექნიკური უნივერსიტეტი დაარსებულიყო, შეხვედრავს ბატონმა ივანე ჯავახიშვილმა შემთხვევით არ დაუთმო პირველი სიტყვა ბატონ შალვა ნუცუბიძეს შემდეგი სიტყვებით: მიდი, შალვა, აბა შენ იცი, დასცხე შენებურადო! ანუ, როდესაც ბატონმა ივანემ შეატყო, რომ უნივერსიტეტის გახსნის საკითხი საკმაოდ დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, მან შალვა ნუცუბიძეს იმ იმედით მიმართა, რომ შალვა ნუცუბიძე თავისი ბრწყინვალე ორატორული შესაძლებლობებიდან გამომდინარე ნამდვილად მოახერხებდა აუდიტორიისა და მთელი ქართული საზოგადოების დარწმუნებას იმაში, რომ აქ უნივერსიტეტი უნდა გახსნილიყო და არა რომელიმე სხვა ტიპის უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის, ტექნიკური უნივერსიტეტი.

80-10 გვირდვა





მე-9 გვირგვინი

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ შალვა ნუცუბიძეს ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების მიზნით რუსეთშივე დაეწყო აქტიური კავშირების დამყარება იქ მოღვაწე ქართველ მეცნიერებთან, რათა შეექმნა ის ბირთვი, რომელიც საფუძველს ჩაუყარდა თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. თუ გავითვალისწინებთ მაშინდელი კომუნისტებისა და ურთიერთობების პრობლემას, ადვილი წარმოსადგენია, რამდენად რთული ამოცანა გახლდათ ასეთი კავშირების დამყარება და მეცნიერთა თვითმოყვარეობა.

ბატონი შალვა ნუცუბიძე 9 წლის განმავლობაში იყო უნივერსიტეტის პრორექტორი, კათედრის გამგე... მისი უშუალო მონაწილეობით უნივერსიტეტში არაერთ სპეციალობასა და ახალ მიმართულებას ჩაეყარა საფუძველი. ცნობილია მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება ივანე ჯავახიშვილის მიმართ. როგორც პრორექტორი, იგი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ მზად იყო თავის თავზე აეღო ბევრი ადმინისტრაციული და მიმდინარე ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა, რათა ივანე ჯავახიშვილს, როგორც დიდ მეცნიერს, ჰქონოდა შესაძლებლობა — მეტი დრო დაეთმო მეცნიერული კვლევისათვის.

აუცილებლად უნდა ვთქვათ ისიც, რომ ბატონი შალვა ნუცუბიძე გულდაწყვეტილი წავიდა ამ ქვეყნიდან, პირველ რიგში, იმ უმადურობისა და უსამართლობის გამო, რაც მის მიმართ გამოამჟღავნეს. ამიტომ დღეს უნივერსიტეტელთა ყველა თაობის წარმომადგენლის ვალია, პატივი მივავით მის ხსოვნას და აღვნიშნოთ მისი ღვაწლი არა მარტო როგორც პირველი უნივერსიტეტის დამაარსებლისა, არამედ როგორც დიდი ქართველი მეცნიერისაც — ეს იქნება ჩვენი მხრიდან ერთგვარი პასუხი იმ უმადურობაზე, რაც შალვა ნუცუბიძის მიმართ მის სიცოცხლეში გამოიჩინეს.

მინდა, თქვენი სახელით მივსალამო თამარ ნუცუბიძეს და დიდი მადლობა მოვასხენო მას სახელოვანი მამის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულებისთვის. რომ არა მისი აქტიურობა, დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი შალვა ნუცუბიძის სახელის უკვდავსაყოფად გამართულ ღონისძიებებს თავისი ხიბლი დაეკარგებოდა. საგულისხმოა ისიც, რომ შალვა ნუცუბიძის 120 წლისთავი პირველი ქართული უნივერსიტეტის 90 წლის იუბილეს დაემთხვა და დღევანდელი სხდომაზე გაგრძელდება იმ საიუბილეო ღონისძიებებისა, რომელიც უნივერსიტეტის დაარსების 90 წლისთავს მიეძღვნა. ღრმად მწამს, რომ შალვა ნუცუბიძის სამეცნიერო მემკვიდრეობის კვლევის თვალსაზრისით მუშაობა კიდევ უფრო გააქტიურდება და ჩვენი დოქტორანტები თუ ახალგაზრდა მეცნიერები მისი გზის ღირსეული გამგრძელებლები იქნებიან.

მისი ინიციატივითაა დაარსებული იურიდიული, ეკონომიკური და დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტები

წოდარ სურბულაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე:

ჩემთვის დიდი პატივია, მსოფლიო რანგის ფილოსოფოსის, ლიტერატურათმცოდნის, მთარგმნელის, აკადემიკოსის და, ამავე დროს, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრის, დამოუკიდებლობის აქტზე ხელისმომწერის, ბოლშევიკური საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საბჭოთა რეჟიმისგან დევნილის, ჩვენი ქვეყნის დიდი პატრიოტის, ბატონი შალვა ნუცუბიძის იუბილეზე მოვსალამოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელით.

ის, რომ დღეს ვამაყობთ სხვადასხვა თაობის ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლებით, რომლებმაც თავიანთი საქმიანობით ჩვენს ქვეყანას სახელი გაუთქვეს, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის შალვა ნუცუბიძეს: იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, მისი ინიციატივითაა დაარსებული იურიდიული, ეკონომიკური და დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტები. იგი 15 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მსოფლიო ლიტერატურის კათედრას. შალვა ნუცუბიძე მისი ძირითადი საგნების — ფილოსოფიისა და ლოგიკის გარდა პარალელურად კითხულობდა ლექციების კურსს საგნებში: დასავლეთ ევროპული ლიტერატურა, სოციალურ და

პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, სამეცნიერო მუშაობის მეთოდიკა, მტკიცებითი სამართალი და სხვ. საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ როცა იგი ლექციას კითხულობდა, სალექციო აუდიტორიაში ტევა არ იყო, მის მოსასმენად მიდიოდნენ ისინიც, რომელთაც მის ლექციაზე დასწრება სულაც არ ევალებოდათ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია შალვა ნუცუბიძის ფუნდამენტური შრომები ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებასა და აღმოსავლურ რენესანსზე. მრავალი უცხოური ენების მცოდნე მრუსულად თარგმნა „აბდულ მესიანი“, „თამარიანი“, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც, მისივე აზრით, მონივრულად აღმოსავლეთის ქვეყნების საერთო კულტურული ცხოვრების პოლიტიკურ აღწერილობასა და ქართული რენესანსის მწვერვალს წარმოადგენს. მისი ფილოსოფიური წყაროა ქართული ნეოპლატონიზმი, რომლის



ძირითადი იდეა — სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვება მხატვრულად არის განსახიერებული. სამწუხაროდ, სიცოცხლის მანძილზე, ბატონ შალვას არ აცდა, რბილად რომ ვთქვათ, უსამართლო მოპყრობა. რად ღირს მხოლოდ იმის გახსენება, რომ მას არ აცდა ციხე, აკადემიიდან და მშობლიური უნივერსიტეტიდან გაქეზება და სხვაგვარი დამცირება... მიუხედავად ამისა, მტკიცე ხასიათისა და უდრეკი სულის გამო მან გაუძლო ყოველგვარ შემოტევას. ბოლოს ბოროტებას სძლია სიკეთე და მას მაინც მიეცა იმის საშუალება, რომ საკუთარი ნიჭი და ენერჯია სამშობლოსათვის მოეხმარა. შალვა ნუცუბიძე დამსახურებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა ქართულ საზოგადოებაში, იგი ხალხმა სიცოცხლეშივე აღიარა გამორჩეულ მოღვაწედ და ქვეყნის წინაშე ღვაწლმოსილი მეცნიერი უნივერსიტეტის პანთეონში დაიკრძალა.

შალვა ნუცუბიძის მიერ დასმული ფილოსოფიური პრობლემები დღესაც აქტუალურია. უნდა აღინიშნოს, რომ ახალ თაობაში ჩვენ გვყავს მისი საქმიანობის ღირსეული გამგრძელებლები, ბატონი შალვას სახელი კი ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისტორიაში.

დასავლეთისა დიმიტრი

ინტელექტუალურ დამონებას ბოლო უნდა მოეღოს

დამურ ჯალაღონი, ფილოსოფიის დოქტორი:

— დღეს ძალიან დიდი დღეა, ბატონი შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 120 წლისთავი შესრულდა. მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან შალვა ნუცუბიძემ გააკეთა ასეთი განაცხადი: დასავლეთისადმი ინტელექტუალურ დამონებას ბოლო უნდა მოეღოს. ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შიგნიდან დაველევთ დასავლეთის აზროვნებას; უნდა დამტკიცდეს, რომ საამისოდ არა მარტო ისტორიული, არამედ ფაქტური საბუთებიც არსებობს. მთელი მისი შემოქმედება ემსახურებოდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ თეზისის „გახსნას“. მან რთული მისია დაისახა მიზნად. ეს მიზანი დღევანდელი გადასახედიდან ერთი დიდი პროექტია, და ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ამ პროექტიდან თუნდაც ერთ-ერთი პუნქტის შესრულებას შეძლებდა, ძალიან დიდ პიროვნებად წარმოიჩინებოდა.

ბატონი შალვა მე-20 საუკუნის 10-იანი წლებიდან 70 წლამდე ამშვენებდა ქართულ საზოგადოებას. იგი იყო გამოჩენილი ფილოსოფოსი, ქართული ფილოსოფიური სკოლის ფუძემდებელი, აღმოსავლური რენესანსის თეორიის შემქმნელი, დიდი მთარგმნელი, რუსთველოლოგი, მჭერმეტყველი და

დიდი ორატორი. მისი მახვილგონიერება და მოსწრებული სიტყვა საქვეყნოდ ცნობილი გახლდათ. მასზე ლეგენდებს ჰყვებოდნენ...

შალვა ნუცუბიძემ პეტერბურგის უნივერსიტეტი 1910 წელს დაამთავრა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ 1911 წელს ლაიფციგში მან წაიკითხა ალეთოლოგიაზე მოხსენებები. 1921 წელს მივლინებაში მყოფი შალვა ნუცუბიძე გერმანიაში აქვეყნებს ცნობილ ნიგნს „ჭეშმარიტება და შექმენების სტრუქტურა“ — ეს იყო პირველი შესავალი ალეთოლოგიაში, ხოლო 1931 წელს გერმანულად გამოდის მეორე ნიგნი სახელწოდებით „ფილოსოფია და სიბრძნე“.

შალვა ნუცუბიძის სამეცნიერო მოღვაწეობა შეიძლება დაიყოს ორ პერიოდად. პირველ პერიოდს ვუნოდებ მეტაფიზიკურ პერიოდს — ეს არის ორიგინალური აზროვნების პერიოდი, ხოლო მეორე პერიოდი — ეს არის ქართული ფილოსოფიის ის-

ტორიის შექმნისა და ქართულ კლასიკურ სააზროვნო სივრცეში აღმოსავლური რენესანსის იდეის წამოჭრის პერიოდი. მეტაფიზიკური პრობლემატიკის ორიგინალურ პერიოდზე სპეციალურად შევჩერდები. რას ეძებდა შალვა ნუცუბიძე ალეთოლოგიურ რეალიზმში? იგი იკვლევდა, თუ რა არის ჭეშმარიტება. შესავალში ამბობს, რომ ზედა საფეხურზე ფილოსოფია არ არის საჭირო, ხოლო ქვედა საფეხურზე არ საჭიროებთ ფილოსოფიას, ანუ ღმერთისთვის ფილოსოფია არ არის საჭირო, ცხოველთა სამყაროსთვის კი ფილოსოფიის გაცემა მიზანშეწონილი არ არის. ე.ი. ფილოსოფიისადმი ადამიანის უპირატესი უნარია. იმისათვის, რომ ადამიანმა მიაღწიოს ჭეშმარიტებას, საჭიროა იგი გათავისუფლდეს სპეციფიკური ადამიანურისაგან. თუ ადამიანი ამისგან არ გათავისუფლდება, ისე იგი ჭეშმარიტებას, ანუ ღმერთის ვერ ჩაწვდება. შალვა ნუცუბიძის მთელი ნაშრომი სწორედ იმის გარკვევას მიეძღვნა, თუ როგორ შეიძლება ადამიანი გათავისუფლდეს სპეციფიკური ადამიანურისგან და თუ მისგან გათავისუფლდება, მაშინ, როგორ შეიძლება იგი, ამავე დროს, დარჩეს ადამიანად. ანუ, მისი აზრით, ადამიანში არის უფრო მეტი და ეს მეტი არის ის ირაციონალური, რომლითაც ადამიანი წვდება იმ საიდუმლოებას, რომელიც მასზე მეტია.

რატომ შეაჩერა შალვა ნუცუბიძემ კვლევა ამ მიმართულებით? ტოტალიტარული რეჟიმის დროს ფილოსოფია იქცა იდეოლოგიის მსახურად და იგი იძულებული იყო მოექცენა მეორე გზა, რომელიც ფილოსოფიას ზიანს არ მიაყენებდა. მან სცადა ქართული ფილოსოფიური ნიაღვრე მიბრუნება და, თქვენი წარმოდგენით, რომ აქაც დიდ წარმატებებს მიაღწია. შექმნა ქართული ფილოსოფიური ისტორიის ორტომეული. რაც ივანე ჯავახიშვილმა გააკეთა საქართველოს ისტორიისთვის, იგივე ღვაწლი დასდო შალვა ნუცუბიძემ ქართული ფილოსოფიის ისტორიას ამ ორტომეულით.

შალვა ნუცუბიძემ დიმიტრი უზნაძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შექმნას. დიმიტრი უზნაძე ამ დროს გახლდათ ფილოსოფოსი და თვითადადარჩენისთვის მასაც უნდა ეძებნა მეორე გზა. ეს გზა ფსიქოლოგიაში წასვლა იყო, რაც დაავიკრავინა განწყობის თეორიის შექმნით. ასე რომ, შალვა ნუცუბიძემ ჩამოაყალიბა ქართული ფილოსოფიური სკოლა, ხოლო დიმიტრი უზნაძემ ქართული ფსიქოლოგიური სკოლა.

შალვა ნუცუბიძე გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. ამ დროს ერთმანეთს ორი იდეა ებრძოდა: ნიკო ნიკოლაძე ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსებას ცდილობდა, შალვა ნუცუბიძე კი ჰუმანიტარული უნივერ-

სიტეტის გახსნის იდეას ემსახურებოდა. ქართულ ფილოსოფიურ ტრადიციებზე დაყრდნობით მან შექმნა ასეთი მოდელი: გელათური პრინციპის აღორძინება. ანუ უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო სიბრძნისა და ჩვენი მორიგების ტაძარი, ისევე, როგორც გელათი არის მეორე იერუსალიმი და ათინა. სწორედ ამ იდეით დაფუძნდა უნივერსიტეტი და შალვა ნუცუბიძე გახლდათ ამ იდეის გამტარებელი და ხორცმცემსმელო.

შალვა ნუცუბიძის სახელი ორ დიდ უმნიშვნელოვანეს აღმოჩენას უკავშირდება. მან დაამტკიცა, რომ ცნობილი არეოპაგიტული ნიგნების ავტორია მე-5 საუკუნის ქართველი მოღვაწე პეტრე იბერი. აღმოსავლური რენესანსის თეორიის შექმნით კი მან საკაცობრიო აზროვნებასა და კულტურულ-მეცნიერულ კვლევა-ძიებაში სრულიად ახალი სიტყვა თქვა. აღმოსავლური რენესანსი საუკუნეებით უსწრებს დასავლეთისას. დასავლეთის კულტურის ძირები აღმოსავლეთშია... როგორც შალვა ნუცუბიძე იტყვოდა, ფსევდო დონისე არეოპაგელის საიდუმლოება მე-5 საუკუნის სიმფონიაა. ბატონი შალვას შემოქმედება მიძღვნილი იყო აღმოსავლური რენესანსის თეორიის შესაქმნელად, სწორედ ამიტომ ბრძანა: ბოლო მოეღოს დასავლეთისადმი ინტელექტუალურ დამონებასო. ამ სიტყვებში არ გულისხმობდა დასავლეთ ევროპას. ამით იგი ამბობდა, რომ ჩვენ საუკუნეებით წინ ვუსწრებთ დასავლეთის რენესანსს, რაც მან აღმოსავლური რენესანსის თეორიის შექმნით დაამტკიცა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შალვა ნუცუბიძე იყო რუსთველოლოგი. მისი მონოგრაფია „რუსთველის მსოფლმხედველობისათვის“ იყო ახალი სიტყვა რუსთველზე. იგი აღნიშნავდა, რომ რუსთველის მსოფლმხედველობრივი კვლევა ქართული კულტურის პრობლემა არ არის. იგი კაცობრიობის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა ურთიერთობის პრობლემათა საკითხია. შალვა ნუცუბიძე იყო მთარგმნელი, რომელმაც „ვეფხისტყაოსანს“ რუსულ ენაზე ახალი სული შთაბერა. ალექსეი ტოლსტოი იტყვის: — როდესაც გავეცანი შალვასეულ თარგმნულ „ვეფხისტყაოსანს“, ვხანებ, თუ რა საიდუმლოებები იმალება რუსულ სალიტერატურო ენაში. ერთულ, დიმიტრი უზნაძეს შალვასთვის უთქვამს — ხომ არ შეცდი გზის არჩევაში, ეგებ, პოეტის დიდი გზა უფრო დაამშვენებდა შენს მომავალ ცხოვრებასო. ის იყო „ამირანის მითის“ ლექსად აღმდგენელი. თამაზ ჩხენკელი ამაზე იტყვის: — შალვა ნუცუბიძემ იცოდა, სად მთავრდებოდა ფილოსოფია და სად იწყებოდა პოეზია.

შალვა ნუცუბიძე იყო დიდი მასშტაბის მოაზროვნე, ტლანტი. რამდენად მართალია, არ ვიცი, მაგრამ ერთ ასეთ ამბავს ჰყვებიან: ცნობილი მეცნიერი და მათემატიკოსი ანდრია რაზმაძე ავად გამხდარა, ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში ვერ იპოვეს ადამიანი, რომელიც მათემატიკაში მის ნაცვლად ლექციებს წაიკითხავდა. შალვა ნუცუბიძეს უთქვამს: — მომეცი ერთი კვირა და უმადლეს მათემატიკაში მე წავიკითხავ ლექციებსო. მჯერა, რომ იგი ღირსეულად გაართმევდა ამას თავს.

შალვა ნუცუბიძე ფილოსოფიის შესავლის წინასიტყვაობას ასე ასრულებს: „მშობლიურ ნიადგზე მეცნიერების აღორძინებამ ფრთები შეასხა არაერთ ოცნებას. წინამდებარე ნიგნი ნაწილია ამ ოცნებათა განხორციელების რეჟურისა. მასში ბევრი ნაკლია, მაგრამ ჩვენზე ბედნიერი თაობა, რომელიც სამშობლოს აღორძინების დღეს მოესწრება, გვაპატიებს იმ ბურუსს, რომელიც განთიადის თანმხლებია“. შალვა ნუცუბიძემ ყველაფერი გააკეთა ამ ბურუსის გასაფანტად. მისი უდიდესი დამსახურებაა ის, რომ ქართული მათემატიკური და ქართული ფსიქოლოგიური სკოლების გვერდით ქართული ფილოსოფიური სკოლაც არსებობს.

ბატონი შალვა მეგობრობდა საქართველოს პატრიარქთან კალისტრატე ცინცაძესთან. ერთ ღამეს პატრიარქს შალვა ნუცუბიძისთვის უთქვამს: — როგორ დაამშვენებდი სიონის ამბოხს თქვენი ქადაგებებითო. მაშინ შალვას სინანული უპასუხია: — პატრიარქი თუ არა, ეპისკოპოსი მაინც უნდა ვყოფილიყავიო. ზიზიას, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს კალისტრატე ცინცაძეს ბატონი შალვასთვის უჩუქებია, ასეთი წარწერა აქვს: „ორთა ხუცესთა ნამიერსა და სიბრძნისა მოყვარესა ჯურღმულსა ამას სიბრძნისასა მიუძღვის ხუცესთა უხუცესი“.



მე-10 ბვირდია

ორთა ხუცესთა ნაშვირი შალვა ნუცუბიძე გახლდათ, რომელსაც დედ-მამის მხრიდან ორივე ბაბუა მღვდელი ჰყავდა.

შალვა ნუცუბიძემ მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა მიუძღვნა სრულყოფილებისკენ სვლას, რამეთუ ფილოსოფია არის მოძრაობა სრულყოფილებისკენ, ჭეშმარიტებისკენ, ღვთისკენ... ხშირად ცდილობდნენ შალვა ნუცუბიძის შეჩერებას, მაგრამ მის „ყალბეზრად დამდგარ გონებას“ ვერაფერი დააკლეს. 1968 წლის ოქტომბრის ბოლო დღეებში მან კიდევ ერთხელ შეაბიჯა 93-ე აუდიტორიაში და წარმოთქვა: „ჩვენ, რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ... (პაუზა) როგორც გულს, ისე გაბარებთ უნივერსიტეტს“ და გავიდა უნივერსიტეტიდან. მჯერა, რომ მისი სული ჩვენ ყველას ზეციური საქართველოდან დაგვნათის, განსაკუთრებით კი უნივერსიტეტს.

რა იქნებოდა დღეს ქართული კულტურა, რომ არ ყოფილიყო შალვა ნუცუბიძე?

ბურამ თივაშაძე, აკადემიკოსი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი:

— ბატონ შალვაზე საუბარი ყველა ქართველისთვის და არა მარტო ქართველისთვის დიდი პატივია. ადამიანის ღირებულება მარტივად რომ წარმოვიდგინოთ, ალბათ, უპრიანია, საკითხი ასე დავსვათ: რა იქნებოდა დღეს ქართული კულტურა, რომ არ ყოფილიყო შალვა ნუცუბიძე? მაშინ ჩვენ არ გვექნებოდა ყველაზე უფრო სრული, ქართულ ენაზე დაწერილი ფილოსოფიური სისტემა ალეთოლოგიურ რეალისტურ საფუძველზე; ჩვენ არ გვექნებოდა ევროპული ფილოსოფიის განვითარების ხაზის ახალი ვარიანტი, რომელიც მაშინ გავრცელებული შეხედულებების მიხედვით მიდიოდა ლაიბნიციდან, გადაიდა კანტზე, შემდეგ ცნობილ გერმანულ ფილოსოფოსებზე და მთავრდებოდა ნეოკანტიანელებით. ჩვენ არ გვექნებოდა ნუცუბიძის მოძღვრება მცდარი დებულების ჭეშმარიტების შესახებ, რომელიც საოცრად თანამედროვეა. თანამედროვეა აზროვნება, რომელიც დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აინშტაინის და რასელის ცნობილი მანიფესტით და ნიცშეს ახალი ინტერპრეტაციით, რომელიც გვეუბნება, რომ საპირისპიროთა ურთიერთგამომრიცხავ მხარეთა გარდა არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი საერთო საფუძველი, რომ მცდარ დებულებასაც აქვს თავისი ჭეშმარიტება — ეს დიალოგის საუკეთესო დასაბუთება იყო, რამეთუ დიალოგიური აზროვნება თანამედროვე აზროვნების ძირითადი საფუძველია.

რომ არ ყოფილიყო შალვა ნუცუბიძე, არ გვექნებოდა ქართული ფილოსოფიის ისტორია, არ გვექნებოდა მისი შესანიშნავი თარგმანები, არ იქნებოდა ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში გადასული ფრაზა: „თურმე ერთხელ ნუცუბიძემ თქვა...“ და კიდევ სხვა ბევრი რამ...

ბატონი შალვა შემოქმედი იყო ყველგან, შემოქმედი იყო ლაიფციგში, როცა თავის ალეთოლოგიის პრინციპებს აყალიბებდა; შემოქმედი იყო 1917 წელს სახელმწიფოსათმბროში, როცა საქართველოს ინტერესებს იცავდა; შემოქმედი იყო იმ თავის ფუნდამენტურ ნაშრომზე მუშაობისას, რომელიც გერმანიაში გამოვიდა და რომელზეც 10-ზე მეტი რეცენზია დაიწერა ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად... შემოქმედი იყო ქართული ფილოსოფიური ისტორიის შექმნისას. მხოლოდ მას ჰქონდა უნარი, იმ პერიოდის დიქტატურის რეჟიმში მეცნიერებისთვის სასარგებლო საქმე გაეკეთებინა: ვგულისხმობ ალმოსავლური რენესანსის თეორიას, რომელიც მაშინდელმა მთავრობამ ევროპოცენტრიზმის საპირისპირო თეორიად შეაფასა. სინამდვილეში შალვა ნუცუბიძე ასაბუთებდა, რომ რენესანსული არსი ემყარება ნეოპლატონიზმს. ქართული ნეოპლატონიზმი გაცილებით ადრე დაადაგა იმ აზრს, რომ ეს საერთო მსოფლიო აზროვნების ძირითადი შარავნა და მან საქართველო ევროპული აზროვნების განვითარებას დაუბრუნა.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონი შალვა 80 წლის ასაკში გარდაიცვალა, მისთვის სიცოცხლეში იუბილე არ გადაუხდიათ, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ „იუბილე“ მისი ნივთების განხილვა იყო. ეწყობოდა საკავშირო კონფერენციებიც, სადაც მისი დებულებების განხილვა ხდებოდა. მე, როგორც ბატონი შალვას სტუდენტი, მათზე დასწრების ბედნიერება მქონდა. იგი გაჩაღებული კამათში გამარჯვებული გამოდიოდა მიუხედავად იმისა, რომ სხდომები ცეკას მდივნებსა თუ განყოფილების

გამგებებს მიჰყავდათ. აქ ერთი საოცარი ასპექტი მინდა გავახსენოთ: დიქტატურის პერიოდში ბატონ შალვას ყველაზე დიდი დამცველი — იოსებ სტალინი ჰყავდა. მიუხედავად ამისა, იგი ოფიციალურად მაინც ყოველმხრივ შევიწროვებს განიცდიდა. როდესაც იგი რაიმე ახალ ნივთს დანერდა, მთელი პარტიული ფუნქციონერები საკუთარ ვალად მიიჩნევდნენ, რომ ეს ნივთი გაეკრიტიკებინათ. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ბატონ შალვას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში პარტიული ფუნქციონერების განათლებაში.

ორი თეორია მსოფლიო მეცნიერების სამსჯავროზე

ელგუჯა ხინთიბიძე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი:

— ამ აუდიტორიას არ სჭირდება ლექციის ნაკითხვა იმის თაობაზე, თუ ვინ არის შალვა ნუცუბიძე, მაგრამ აქ არიან ჩვენი სტუდენტობის გარკვეული ნაწილი, და მათ გასაგონად მრავალგზის უნდა ითქვას, რომ შალვა ნუცუბიძე არის ის პიროვნება, რომელმაც ქართულ სამყაროს, ქართულ ფენომენს (ამჯერად მხოლოდ ქართულზე ვლაპარაკობ), ძალიან დიდი ღვაწლი დასდო. ჩვენი თაობისა და შემდგომი თაობისათვისაც ხშირად დაუსვამთ კითხვას, თუ რა არის მე-20 საუკუნის საქართველოსთვის ყველაზე დიდი მოვლენა? ამ კითხვას ასე ვუპასუხებდი: ეს იყო ქართული უნივერსიტეტის შექმნა და ამით ქართული ნიჭის, ქართული აზრის, ქართული მეცნიერების სიდიადის გამოხატვა, გამოხატვა და ამ ყოველივეს მსოფლიოსთვის ჩვენება. მსოფლიომ აღიარა, რომ თუ არ დაამუშავებ კორნელი კეკელიძის შრომები ბიზანტინისტიკაში, ბიზანტინისტი ვერ იქნები. აი, ამის დიდი მონაწილე იყო შალვა ნუცუბიძეც. ორჯერ „გავიდა“ ქართული ფენომენისა და ქართული სამყაროსთვის მნიშვნელოვანი აზრი მსოფლიო მეცნიერების სამსჯავროზე და ამ ორივე თეორიის ავტორი შალვა ნუცუბიძე გახლდათ. ეს ეხება დიონისე არეოპაგელის ვინაობის საკითხს და ალმოსავლურ რენესანსს. ორივე თეორიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

„რუსთაველა გამომართვა ალმოსავლეთს და მისცა დასაბუთება“

რისმაზ მორდუჩიანი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი:

— სამწუხაროდ, სულ უფრო და უფრო მცირდება მათი რიცხვი, ვინც მოესწრო შალვა ნუცუბიძეს. მე ერთ-ერთი წარმომადგენელი ვარ იმ უკანასკნელი თაობისა, რომელსაც ახსოვს ბატონი შალვა. ქართულ მეცნიერებაში, ალბათ, ცოტა გვეგულდება ისეთი ადამიანი, რომელსაც შეეძლო ქართული კულტურის, ქართული სულიერების ფაქტები მსოფლიო ორბიტაზე გაეტანა და იგი მსოფლიო კულტურის ფაქტორად ექცია — ეს შალვა ნუცუბიძემ გააკეთა. მისი მჭერმჭეველების შესახებ ლეგენდებიც კი დადიოდა. მისი ცხოვრება სამშობლოს ცხოვრებას ჰგავდა: იყო დიდი აღზევებისა და დევნის, რეპრესიების პერიოდები.

მქონდა ბედნიერება, მენახა ბატონი შალვას მიმართ მისი უახლოესი მეგობრების დამოკიდებულება. ბატონ სიმონ ყაუხჩიშვილთან, ჩემს ხელმძღვანელთან, არაერთგზის მქონია საუბარი ბატონ შალვაზე და ყოველთვის მოცუბდა ის, თუ როგორი მონივნებით საუბრობდა მეგობარი მეგობარზე, როგორ აფასებდა მის ნიჭს. მახსოვს, როდესაც პირველი კორპუსის ფოიეში შოთა რუსთაველის ბარელიეფი იხსნებოდა, დაირხა ხმები, რომ ბატონი შალვა აპირებდა სიტყვით გამოვლას. უნივერსიტეტს მოაწყდა უამრავი ხალხი. მაინტერესებდა, რას იტყოდა იგი ისეთს, რაც საზოგადოების ალტაცებას გამოიწვევდა. დღესაც მახსოვს ის პათოსი... უნდა მოგახსენოთ, რომ ეს იყო მართლაც ერთ-ერთი ბრწყინვალე სიტყვა. მან თქვა: „რუსთაველმა გამოართვა ალმოსავლეთს და მისცა დასაბუთება... და რომ არა რუსთაველი, ძნელი წარმოსადგენია, როგორ წარმოართვებოდა დასაბუთების განვითარების გზა“. მაშინ ამ დებულებასთან დაკავშირებით კამათის სურვილი არავის გასჩენია. ამ სიტყვებმა მოხიზლა მთელი აუდიტორია, რადგან ეს საოცარი მიგნება იყო. მინდა გითხრა, რომ ჩვენთვის ბატონი შალვა იყო ადამიანი, რომელმაც ლექციისა თუ მოხსენების კითხვა უმაღლესი ხელოვნების დონემდე აიყვანა. მისი ლექციის მოსასმენად მოდიოდნენ არა მარტო შემცენებითი კმაყოფილების, არამედ ესთეტიკური კმაყოფილების მისაღებადაც — ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

შალვა ნუცუბიძე თავისი თეორიებით ქართველ ხალხს ეროვნული სიამაყის განცდის საფუძველს აძლევს

აკაკი ყულიაშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი:

— მოგეხსენებათ, რომ ისტორია საკვანძო პერიოდში წარმოშობს ხოლმე ისეთ ფიგურებს, რომელთაც უზარმაზარი როლი ეკისრებათ კულტურის განვითარებაში. გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართულ კულტურას მოეწონა ასეთი პიროვნება შალვა ნუცუბიძის სახით. ალბათ, არ მოიძებნება მეორე ადამიანი ქართულ კულტურაში, რომელმაც ისე აამაღლა ქართველების ეროვნული სიამაყე და ცნობიერება, როგორც ეს შალვა ნუცუბიძემ თავისი კონცეფციებით მოახერხა. იმ ფაქტით, რომ პეტრე იბერი ბატონმა შალვამ ევროპული აზროვნების მესაძირკვლედ ჩათვალა, ქართველ ერს ეროვნული სიამაყის გრძობა აუმაღლა. მთელი ევროპული რენესანსი არეოპაგელის კორპუსს ემყარება. არეოპაგელის კორპუსის ავტორი თუ ქართველია, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველებმა უზარმაზარი წვლილი შეიტანეს ევროპული კულტურის აღორძინების საქმეში. გარდა ამისა, შალვა ნუცუბიძემ ქართული რენესანსის ისტორიაზე იმ პერიოდში საუბრობს, როდესაც ქართველი ერი კოლონიური და დაჩაგრული ერი იყო. იგი თავისი თეორიებით ქართველ ხალხს ეროვნული სიამაყის განცდის საფუძველს აძლევს. დღეს ასე თავანულად თუ ვესაუბრებით მსოფლიოს, ეს ჩვენი კულტურული ფასეულობებიდან გამომდინარეა და მასში უდიდესი წვლილი ბატონ შალვას მიუძღვის.

ხიარული დიქტატურის წინააღმდეგ

მამა ზურაბი, დიაკვანი, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის უფროსი:

— როგორც სასულიერო პირს, გარკვეული შინაგანი განწყობა მაქვს ბატონი შალვას მიმართ. იგი მართლაც უდიდესი პიროვნება იყო. მან საკმაოდ რთულ პერიოდში იმოღვაწა, მაშინ ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ აზროვნებისთვის ხელი შეეშალათ, რადგან აზროვნება დიქტატურის მტერია. ვისაც ლოგიკური აზროვნების უნარი გააჩნია, ვერანაირად მიიღებს იმ იდეოლოგიურ კლიშეებს, იმ სტერეოტიპებს, რასაც თავს ახვევს ამგვარი რეჟიმი. შალვა ნუცუბიძე გახლდათ ის პიროვნება, რომელიც ადამიანებს იმპულსს აძლევდა, რათა ისინი ამოუარდნილიყვნენ ამ სტერეოტიპებიდან. დღევანდელ სხდომაზე არაერთხელ ითქვა იმის შესახებ, რომ მისი ლექციები, მართლაც, მოვლენა იყო. ჩემს ოჯახში მშობლებისგან მესმოდა, რომ ისინი სტუდენტობის პერიოდში ხშირად ესწრებოდნენ



ბატონი შალვას ლექციებს, მიუხედავად იმისა, რომ ჰუმანიტარი არც ერთი მათგანი არ იყო.

ჩვენ, ეკლესიის წარმომადგენლები, კარგად ვიზრებთ იმას, რომ იმ პერიოდში არსებული რეჟიმი გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა ადამიანებზე, ყველაზე დიდი მოაზროვნეც კი ბოლომდე ვერ ამბობდნენ სათქმელს. მაგალითად, არეოპაგელთან დაკავშირებული საკითხი შეიძლება ისე გავიზაროთ, რომ ეს იყო ერთგვარი ხერხი, საშუალება იმისა, რომ წმიდა დიონისე არეოპაგელის ნაშრომების კვლევას გასაქანი მისცემოდა იმ არგუმენტის მოშველიებით, რომ ის შეიძლებოდა ყოფილიყო ქართველი.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ის გარემოება, რომ ბატონი შალვას მეუღლე საოცრად მორწმუნე ადამიანი გახლდათ, რაც მაშინ ძალიან იშვიათი იყო. აი, ეს სულიერკეთება იყო მაშინ ნუცუბიძის ოჯახში, რაც ბევრისთვის მაგალითისა და სტიმულის მიმცემი გახდა.

„მე ვწყვეტ, მაგრამ არ ვამთავრებ“

ნატალია ორლოვსკაია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, შალვა ნუცუბიძის ასპირანტი:

— ვისაუბრებ ბატონ შალვაზე, როგორც ადამიანზე. ბატონი შალვა წლების მანძილზე დაკავშირებული იყო დასავლეთ ევროპის ფაკულტეტთან, რადგან მას აუკრძალეს ლექციების კითხვა ფილოსოფიაში.

იგი იყო დასავლეთ ევროპის ლიტერატურის კათედრის გამგე. თავისი ერუდიციითა და ევროპული ენების ცოდნით მან დიდი საქმე გააკეთა ჩვენი განყოფილებისთვის. მის კათედრაზე გაიზარდა დასავლეთ ევროპის სპეციალისტების პირველი თაობა.

ერთხელ ბატონმა შალვამ მითხრა, მკერდში რკინა-ბეტონის კედელი ავაგე, რათა უსიამოვნო ამბებმა გულამდე არ მიაღწიონო. მართლაც, ეს მისთვის საჭირო იყო, რადგან ცხოვრებაში ბევრი უსიამოვნება შეხვდა. მახსოვს, როგორ წარიმართა მისი ნივთი — „რუსთაველი და ალმოსავლური რენესანსი“ განხილვა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში. მიმოხილვა ორი დღის მანძილზე გაგრძელდა, გამოვიდა ბევრი ორატორი, მათგან ზოგიერთის გამოვლაც ძალიან აგრესიული იყო. ველოდებოდით ბატონი შალვას საბასუხო სიტყვას. მან მშვიდად დაიწყო საუბარი, დასვა საკითხები, მაგრამ განსაზღვრულ დროში ვერ ჩაეტია, ითხოვა დროის გაგრძელება, მაგრამ უთხრეს: დაამთავრეო. მაშინ ბატონმა შალვამ ამ სიტყვებით დაასრულა სათქმელი: „მე ვწყვეტ, მაგრამ არ ვამთავრებ“. მართლაც, მას თავისი იდეებისთვის ბრძოლა არ შეუნწყვეტია და გამომრჯვა კიდევც.

ბატონი შალვა ძალიან ყურადღებიანი იყო ახალგაზრდების მიმართ. მოვიყვან საკუთარ მავალით: უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე დავამთავრე, მაგრამ ასპირანტურაში სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით სირთულე შემიქმნა. დეკანატი რეკომენდაციას არ მძღვედა. მივმართე ნუცუბიძეს, მან მითხრა: — რა კარგ დროს მოხვედით, სწორედ ახლა არის დამატებითი გამოცდები ასპირანტურაში, ხვალვე მიდით განცხადებით პირდაპირ პრორექტორთანო. პრორექტორმა უარით გამოამისტუმრა: — ამდენი სპეციალისტი რად გვინდა, ასპირანტები უკვე გყავსო. მეც სათანადო განწყობილებით მივდიოდი სახლისკენ... მეტიკიშვილის ქუჩაზე მხედება შალვა ნუცუბიძე. ყოველთვის ვფიქრობ, რომ ადამიანის ცხოვრებაში არის მომენტები, თითქოს შემთხ-

ვევით, რომელიც სინამდვილეში საბედისწეროა. აი, ჩემთვის ეს შეხვედრა აღმოჩნდა საბედისწერო. როცა მან მკითხა, რა ქენითო, ვუპასუხე, რომ უარით გამოამისტუმრეს. ნავიდეო უკანო, — მომმართა და მივბრუნდით უნივერსიტეტში. ბატონი შალვა პრორექტორთან შედის, გარეთ გულის ფანცქალით ველოდები. მესმის ხმამაღალი ლაპარაკი, ცოტა ხნის შემდეგ ალბს კარებს და მეუბნება: — შეიტანეთ თქვენი განცხადება, პრორექტორი დაადებს რეზოლუციას და ხვალ მიხვალთ გამოცდაზეო.



# უნივერსიტეტი ცდილობს პროფესორის სამომხმარებლო კალათის ავსებას... და არა მხოლოდ საახალწლოდ




ვინ შეიძენს საახალწლოდ 200 ლარიან გოჭსა და 70 ლარიან ინდაურს? — ნაღდი მიყვარს ამ ეტაპზე იურიდიული ფაკულტეტის პროფესორთა შორის უნდა ვეძებოთ, რადგან იმათ ხელფასი 3000 ლარია. ხელფასების მომატება სხვა ფაკულტეტებზეც იგეგმება, მაგრამ ამ ახალ წელს ყველა პროფესორის სამომხმარებლო კალათა ვერ აივსება.

იმ ფონზე, როცა ქვეყანაში არც თუ ისე სახარბიელო ფინანსური მდგომარეობაა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცდილობს, აკადემიურ პერსონალს წარმატებული სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისთვის ყველა პირობა შეუქმნას. უნივერსიტეტის პროფესორის სახელფასო ფონდი მიმდინარე წელს კატეგორიებისა და რანგის მიხედვით რამდენადმე გაიზარდა. მომავალი წლისთვის კვლავ იგეგმება პროფესორთა ანაზღაურების მომატება, რაც პროფესორის სამომხმარებლო კალათას მნიშვნელოვნად დაამძიმებს.

როგორი ახალი წელი ექნებათ უნივერსიტეტის პროფესორებს? შეძლებენ თუ არა ისინი მრავალფეროვანი საახალწლო სუფრის გაშლას? ამ საკითხებზე უნივერსიტეტის პროფესორთა ნაწილს ვაგვსაუბრებთ.

## მანია ტორაძე



ელგუჯა სინ-თიბიძე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:  
— როგორ ივსება პროფესორის სამომხმარებლო კალათა და რამდენად ყოფნის პროფესორს თავისი

### ხელფასი?

— იმის გამო, რომ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სხვადასხვა ანაზღაურებაა, ძნელი სათქმელია, რამდენად აძლევს ხელფასი პროფესორს სამომხმარებლო კალათის შევსების საშუალებას. თუ ჩვენი უნივერსიტეტის მაგალითით ვიმსჯელებთ, ამ წლის დასაწყისში ჩატარდა ვიშნაკობა, შეჯამდა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და სხვა სახის საქმიანობა, რის შემდეგაც მათ ხელფასები გარკვეული რაოდენობით მოემატათ. გაზრდილი ხელფასი უკვე სრულიად საკმარისი იყო კალათის შესავსებად, მაგრამ ეს უნდა იყოს მეტ-ნაკლებად ყველა პროფესორისთვის და არა შერჩევით, 4-5 პროფესორისთვის.

— თუ ახერხებთ ახალი წლისთვის შეიძინოთ გოჭი, ინდაური...

— ეს ჩვენი ოჯახის საიდუმლოა. ამას მიხედვით, თუ ახალ წელს მესტუმრებთ.



რისმამ ბორდუ-ზინანი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:  
— ბატონო რის-მამ, თქვენი აზრით, არის თუ არა პროფესორის ხელფასი საკმარისი იმისთვის, რომ ნორმალურად ცხოვრება შეძლოს?

— ვფიქრობ, უნივერსიტეტის პირობებში ერთმანეთისგან უნდა გაემიჯნოს ე.წ. მომატებული ხელფასი და ის ხელფასი, რაც სტანდარტულია. რაც შეეხება მომატებულ ხელფასს, განსაკუთრებით, ვისაც რეიტინგის გამო 100%-ით მოემატა, მგონია, რომ ასე თუ ისე, ნორმალურ ხელფასად უნდა ჩავთვალოთ, თუმცა, თუ შევადარებთ სხვა ხელფასებს, ვერ ვიტყვით, რომ პროფესორი ყურადღების ცენტრშია.

— შეძლებთ თუ არა ახალი წლისთვის შეიძინოთ ის პროდუქტი, რომლითაც გსურთ დაამშვენოთ თქვენი საახალწლო მაგიდა?

— საბედნიეროდ, მეცნიერებათა აკადემიის წევრი ვარ და ჩემი ორი ხელფასის კომბინაციით, რასაკვირველია, შევძლებ, რათა შევიძინო ის მინიმუმი, რაც მინდა. თუმცა, ჯერ კიდევ არ ვიცი, რა ფასები იქნება ბაზარზე.

— თქვენი აზრით, მეცნიერება ნინა პერიოდთან შედარებით დაფასდა?

— აკადემიაში ხელფასებმა არსებითად მოიმატა. რაც შეეხება უნივერსიტეტს, თუ გვინდა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტი გვექონდეს, პროფესორის მატერიალური კეთილდღეობა სახელმწიფო პოლიტიკა უნდა იყოს და არა ერთი კონკრეტული უმაღლესი სასწავლებლის გადასახვევი პრობლემა. სახელმწიფო უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს ხელფასები, რომელსაც ადგენს მთავრობა და ეს უნდა იყოს ის რაოდენობა, რომ პროფესორს შეეძლოს ღირსეულად ცხოვრება. ასე იყო, ყოველ შემთხვევაში, დიდი ხნის განმავლობაში და ვფიქრობ, რომ ამ პრინციპს უნდა დავუბრუნდეთ. არ შეიძლება პროფესორებს შორის ხელფასი გარაუკიდებელი შეფარების ობიექტად ვაქციოთ. შეჯობება ეს არის ის პერიოდი, როდესაც პროფესორი კონკურსში იღებს მონაწილეობას. თუ ის არჩეულია, ამ შეიძლება, ყოველწლიურად ამოწმებდნენ არას საქმიანობს. ამან შეიძლება უაზრო ხას-

იათი მიიღოს და ხალხმა დაიწყოს რაც შეიძლება მეტ კონფერენციაში მონაწილეობის მიღება იმისთვის, რომ მეტი შეფასება დაიმსახუროს. მაგალითად, ხომ წარმოდგენილია წლის განმავლობაში 40-50 კონფერენციაში მონაწილეობა? შეიძლება ადამიანი მოხსენებებს არ წერს იმ ერთ კონკრეტულ წელს, მაგრამ ჩართულია ძალიან დიდ პროექტში, რომელიც სამი წლის მერე მისცემს შედეგს. ასე რომ, ვფიქრობ, ძალიან ბევრი რამაა გადასახვედი პროფესორის დამსახურების შესავსებად.



მასტან ლიჩა-ლი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:  
— თქვენი აზრით, რამდენად არის დაფასებული დღეს პროფესორის შრომა?

— ვხედავ მცდელობას, რომ მისი შრომა ჯეროვნად შეფასდეს. თუმცა ის ანაზღაურება, რაც დღეს პროფესორს აქვს, ნაკლებად შეესაბამება რეალურ მოთხოვნებს.

— იურიდიულ ფაკულტეტზე განხორციელებული რეფორმის შედეგად პროფესორის ხელფასი 3 000 ლარამდე გაიზარდა. საკმარისი იქნება ეს თანხა საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად?

— რა თქმა უნდა, ეს თანხა საკმარისი იქნება იმისათვის, რომ პროფესორები მოხიბვნილები ვიყოთ და სასწავლო თუ სამეცნიერო პროცესი სრულყოფილად წარმართოთ. ამ შემთხვევაში ეს უმთავრესია. ჩვენ მაქსიმალური პირობები უნდა გვექონდეს იმისათვის, რომ პედაგოგიური მოვალეობა პირნათლად შევასრულოთ. მაღალი ანაზღაურების შემთხვევაში კი კონცენტრირებულები ვიქნებით სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვაზე.

— სწორად ამბობენ, რომ მეცნიერისთვის მატერიალური კეთილდღეობა მეორეხარისხოვანია, რომ ფულადი დაინტერესება მისთვის ნაკლებად მიმზიდველია, თქვენ როგორ ფიქრობთ?

— აქ ფულზე კი არა, მინიმალური პირობების შექმნასა და უზრუნველყოფაზე საუბარი. ჩვენ კარგად ვაქცევიან თსუ-ის ფინანსური მდგომარეობა და არც არაფერს მეგულებს, ვინც აქტიურ პროტესტს გამოთქვამს ანაზღაურების გამო. ბოლო სამი წლის განმავლობაში თსუ-ის ხელმძღვანელობისგან არქეოლოგიური ექსპედიციების ჩასატარებლად მაქსიმალური ფინანსური მხარდაჭერა გვექონდა. ახლა რაც კეთდება თსუ-ის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, არასოდეს გაკეთებულა მისი არსებობის მანძილზე.



იბაბო კაჭკაჭი-ნიშვილი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:  
— რამდენად აკმაყოფილებს თსუ-ის პროფესორის ფინანსური მდგომარეობა მინიმალური მოთხოვნებს?

— ცენტრალური სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ერთ ზრდასრულ მამაკაცზე მინიმალური სამომხმარებლო კალათის ფინანსური მოცულობა თვეში დაახლოებით 120 ლარია. საქართველოში მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამ საარსებო მინიმუმს ქვემოთ ცხოვრობს და სიღარიბის მასშტაბები დიდია — 40 პროცენტი მინც. თუ პროფესორ-მასწავლებლების ხელფასს ამ ნიშნულს შევადარებთ და ქვეყანაში არსებულ ფონს გავითვალისწინებთ, უნივერსიტეტის

აკადემიური პერსონალის ხელფასი კარგი მაჩვენებელია. ამიტომ, გააჩნია, რას ავიღებთ ათვლის წერტილად. მეორე მხრივ, თუ პროფესორ-მასწავლებელთა საქართველოში არსებულ ხელფასს ევროპულ სტანდარტებს შევადარებთ, რასაკვირველია, ის მნიშვნელოვნად ჩამორჩება ამ სტანდარტს.

ყველაფრის მიუხედავად, უნივერსიტეტი ცდილობს, პროფესორს ღირსეული ანაზღაურება მისცეს. მოგეხსენებათ, რომ უნივერსიტეტში სხვადასხვა სახელფასო სისტემის აპრობირება მოხდა. ერთი იყო სახელფასო დანამატის სისტემა, რომლითაც პროფესორს გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით ეძლეოდა ხელფასი. ეს მექანიზმი ბოლო ერთი წელი მოქმედებდა უნივერსიტეტში. ეს იყო ეფექტური მექანიზმი — კრიტერიუმები ცალსახად იყო ჩამოყალიბებული და გაანალიზებული, თითოეულ კრიტერიუმს მინიჭებული იქნა იმის მიხედვით, განიხილავს ის უნივერსიტეტის მოვლენა გახლავთ.

ახლა შემოდის პროფესორთა კატეგორიებად დახარისხების ახალი სისტემა. იქნება A, B და C კატეგორიები. ეს კატეგორიები ითვალისწინებს პროფესორის ფინანსურ ნახალისებას იმის მიხედვით, განიხილავს ის უნივერსიტეტს როგორც თავისი საქმიანობის ძირითად ადგილად, თუ აქ მოღვაწეობა მისთვის შეთავაზებადია სხვა საქმიანობასთან. თუ ის თავის კვალიფიკაციას მთლიანად ახმარს უნივერსიტეტს, ფინანსურადაც ჯილდოვდება. ესეც, რასაკვირველია, პოზიტიური მოვლენაა, რაც პროფესორის ხელფასს ღირსეულ საზღვრებში აქცევს.

ამ ახალი მექანიზმების დახმარებით პროფესორის სამომხმარებლო კალათა უკვე მრავალფეროვანია. მან ბევრი რამის უფლება შეიძლება მისცეს თავს, თუ ოჯახის სხვა წევრიც ფინანსურად დაეხმარება.



მთერ ხარაბი-პილი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი, მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი:  
— როგორ ივსება დღეს პროფესორის სამომხმარებლო კალათა? მსოფლიო

ეკონომიკური კრიზისი რამდენად მისწვდა თითოეულის ჯიბეს?

— სამომხმარებლო კალათის შემადგენლობა და ღირებულება განვითარების სხვადასხვა დონის ქვეყნებში განსხვავებულია. მისი საშუალებით განისაზღვრება სამომხმარებლო ფასების ინდექსი, რომლითაც შევადარებთ ვიშნაკობის ცხოვრების გაძვირებისა თუ გაიაფების შესახებ. ძირითადად, ცხოვრების დონე კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიაა. იგი ასახავს ადამიანის მატერიალური, სოციალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხს.

ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი კატეგორიაა მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, ერთი მუშაკის ნომინალური და რეალური შემოსავალი, ინფლაციის დონე, დასაქმების დონე და ა.შ. ხოლო ცხოვრების ხარისხს განსაზღვრავს სოციალური ხანგრძლივობა, განათლების ხელმისაწვდომობა, ინოვაციები და სხვა.

პროფესორის სამომხმარებლო კალათა არსებითად არ განსხვავდება ქალაქის ტიპური ოჯახის სამომხმარებლო კალათის ღირებულებისგან. უფრო მეტიც, განათლების სისტემაში გასატარებელ რეფორმებში განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ადამიანური კაპიტალის განვითარება. მხედველობაში გვაქვს დამატებითი სახსრების საჭიროება კვალიფიკაციის ასამაღლებლად, თანამედროვე ლიტერატურის შესაძენად, მცირე კვლევების ჩასატარებლად და სხვა. ყოველივე ეს კიდევ უფრო აძვირებს პროფესორის ისედაც მცირე ღირებულების სამომხმარებლო კალათას.

— რა უნდა გაკეთდეს პროფესორების მოსავლარებლად?

— ჩვენ კარგად გვესმის, რომ მოკლევადიან პერიოდში სამომხმარებლო კალათის მნიშვნელოვანი ზრდა შეუძლებელია. ისიც ცნობილია, რომ ცხოვრების ხარისხის ამაღლება ვერ მოხერხდება მდგრადი

ეკონომიკური ზრდის გარეშე, მაგრამ ამისათვის არც ეპიზოდური ღონისძიებების გატარებაა საკმარისი. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციის თანახმად ყოველი ადამიანი აქვს ისეთი ცხოვრების უფლება, რომელიც აუცილებელია მისი და მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად მაინც. ასევე აქვს უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობისა ან საარსებო მინიმუმის სხვა სახით დაკარგვის შემთხვევაში.

თითოეული ჩვენთაგანის კეთილდღეობის ამაღლება მოითხოვს გრძელვადიან კომპლექსურ მიდგომას, დროში განვიწი ხელფასების ზრდისა და ნახალისების სისტემის შექმნას. იმპულსური ღონისძიებები მხოლოდ დროებით კეთილდღეობას ქმნის და პერსპექტივაში ვერ უზრუნველყოფს მდგრადი ცოდნის შექმნასა და სტუდენტებისათვის გადაცემას. სახელფასო სისტემის მონერსტივობა ერთად აუცილებელია ფიქრი პროფესორის შესაბამის სოციალური გარემოს უზრუნველყოფაზე. პროფესორმა თავი დაცულად უნდა იგრძნოს როგორც ხელფასების მხრივ, ასევე ჯანმრთელობის შენარჩუნების ისეთი მოდელის შეთავაზებით, რომელიც სამედიცინო მომსახურების თავისუფალ მინოდებაზე იქნება დაფუძნებული.

პროფესორთა ზოგჯერ სამართლიან, ზოგჯერ კი უსამართლო პრეტენზიებს, ალბათ, წერტილს დასუფავებს ის რეფორმა, რომელიც 2009 წლისთვის იგეგმება. ახალი სახელფასო სისტემა ყველა ფაკულტეტზე დაინერგება, სწორედ ამას აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა, რომელსაც შეკითხვით მივმართეთ.

გიორგი ხუბუა, თსუ-ის რექტორი, პროფესორი:

— ბატონო, გიორგი, რამდენად ივსება პროფესორის სამომხმარებლო კალათა იმ ხელფასიდან გამომდინარე, რაც მათ უნივერსიტეტში აქვთ, თუ გვაქვს შესაბამისი პირობები პროფესორებისთვის?

— ჩვენ ნაწილობრივ 2008 წელს განვახორციელეთ გარკვეული რეფორმა ამ მიმართულებით, 2009 წელს კი დავიწყებთ სახელფასო სისტემის სრულ, რადიკალურ რეფორმას. ახალი სისტემის მთავარი მიზანი გახლავთ, რომ ხელფასი პროფესორის დემოტივაციას არ აწარმოებს და კარგად უნდა უწყობდეს ხელს. ამიტომ პროფესორის ხელფასი უნდა იყოს იმ კვალიფიკაციისა და შრომის ადეკვატური, რასთანაც უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა დაკავშირებულია. შარშან ეს უკვე განხორციელდა იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც სრული პროფესორის ხელფასი 3000 ლარია. საავსუდოდ, მომავალში ის კიდევ გაიზარდება.

2009 წელს უკვე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი გადავა ანაზღაურების ახალი სისტემაზე და სრული პროფესორის მინიმალური ხელფასი 2000 ლარი იქნება. დაახლოებით ამ ოდენობით განისაზღვრება ხელფასები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზეც. დანარჩენი ფაკულტეტებთან ჯერ კიდევ ვმუშაობთ. მომავალში უნივერსიტეტში ხელფასები დიფერენცირებული იქნება ფაკულტეტების და პროფესორის მიხედვით.

ეს ანაზღაურება, ვფიქრობ, არამც თუ სამომხმარებლო კალათას დააკმაყოფილებს, არამედ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტების პროფესორის ანაზღაურების დონობას გაუტოლდება. იმედი მაქვს, რომ 2009 წელს ახალი სახელფასო სისტემა ყველა ფაკულტეტზე დაინერგება.





# დავით ბაქრაძე: „დემოკრატიისკენ არ მივინსწრაფვით უცხოელების წინაშე კეკლუცობის მიზნით“

26 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ წაიკითხა ლექცია თემაზე: „საქართველოს საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება და უახლესი გამოწვევები“.

მან ქრონოლოგიურად მიმოიხილა 2008 წელი, რომელსაც საქართველოსთვის ძალიან სერიოზული და დიდი გამოწვევების წელი უწოდა, როგორც შიდა პოლიტიკური, ასევე უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით.

## მანია ტორაძე

პარლამენტის თავმჯდომარემ გასული წლის მნიშვნელოვანი მოვლენების შეფასება საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებით დაიწყო და აღნიშნა, რომ იანვრის საპრეზიდენტო და მაისის საპარლამენტო არჩევნები, შიდაპოლიტიკური მდგრადობის თვალსაზრისით, ნამდვილად წინადადგმული ნაბიჯი იყო. მისი თქმით, 2007 წლის შემოდგომაზე ქვეყანაში დაწყებული პოლიტიკური კრიზისის დასაძლევად სწორი გზა გამოიკვლია. მაშინ ჩვენ ვამბობდით, რომ

„შირად გვესმის კითხვები – რატომ არ ჩავატრეთ საპარლამენტო არჩევნები შემოდგომაზე და რატომ ვამბობდით ის მაისში? თუ გადავხედავთ ხელისუფლების მამინდელ არგუმენტაციას, ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება ამ გადასახედიდან უკვე გამართლებულია. მაშინ ჩვენ ვამბობდით, რომ გაზაფხულზე ველოდებით კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას, რაც გაზრდიდა საქართველოსთან და კონფლიქტურ ზონებთან მიმართებაში რუსეთის აგრესიულობას; გაზაფხულზე უნდა ჩატარებულიყო ბუქარესტის სამიტი, რომლის შედეგებსაც, ასევე, შეიძლება ემოქმედო რუსულ პოლიტიკაზე საქართველოსთან მიმართებაში; გაზაფხულზეც ტარდებოდა რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნები და ჩვენ ვთლიდით, რომ ის შიდა დაპირისპირება, რაც ამ არჩევნებს მოჰყვა, იმოქმედებდა რუსეთის პოლიტიკაზე საქართველოს მიმართ. ანუ ჩვენ გვექონდა არგუმენტები, რომლითაც ვამბობდით, რომ სასურველი იყო ამ რთულ პერიოდს ქვეყანა შიდასაარჩევნო ბატალიონში ჩართული არ შეხვედროდა. თუმცა, რეალობამ სხვაგვარი მდგომარეობა მოიტანა და, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, იანვარში საპრეზიდენტო არჩევნები ჩავატარეთ და მაისში – საპარლამენტო. საბოლოოდ, ორივე არჩევნების შედეგად ქვეყანაში სერიოზული კრიზისის დაძლევა მოხერხდა – ქვეყანაში პოლიტიკურმა დაპირისპირებამ და პოლიტიკურ ძალთა შორის პოლარიზაციამ იკლო“, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარემ თავის გამოსვლაში დიდი ყურადღება დაუთმო დემოკრატიული პროცესების გაგრძელების აუცილებლობას და ხაზგასმით მიანიშნა,

რომ საქართველოსთვის დემოკრატია არ არის ფასადი და რომ დემოკრატიისკენ არ მივინსწრაფით უცხოელების წინაშე კეკლუცობის მიზნით.

„ჩვენ არ გვინდა, გვყავდეს მარგინალიზებული პოლიტიკური ძალები, ვინაიდან ძალა, რომელიც თავს იზოლირებულად მიიჩნევს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიდან, საშიშია. მას უწოდებთ „კამიკაძე მენტალიტეტს“ და რადგან დასაკარგი არაფერი აქვს, მზად არის, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ დივიდენდი დააგროვოს. ამიტომ ერთადერთი გზაა – ჩამოყალიბდეს ისეთი პოლიტიკური სისტემა, რომელშიც ყველაზე რადიკალური ძალაც კი თავის ადგილს იპოვოს. ასეთი სისტემის შესაქმნელად საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. თუმცა პარლამენტის ბიოკოტი ოპოზიციის მხრიდან შეცდომა გახლდათ, რადგან მან თავისი თავი ღირებულ პოლიტიკის გარეთ დააყენა“, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ლექციაზე განსაკუთრებით გაესვა ხაზი კოსოვოს საკითხს და ამ საკითხთან საქართველოს მიმართებას. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, თავისთავად კოსოვოს ფაქტორი საშიში არ უნდა ყოფილიყო, რადგან ესაა საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევის პრეცედენტი მიმდინარე ეთნიკური წმენდის შესაჩერებლად. საქართველოსთვის ეს ფაქტორი საშიში გახდა მას შემდეგ, რაც რეგიონმა ცენტრალური სახელმწიფოს თანხმობის გარეშე მიიღო დამოუკიდებლობა. როგორც დავით ბაქრაძემ განაცხადა, ამას სპეციფიკური მიზეზი ჰქონდა – გაერომ, რუსეთის მკვეთრი პოზიციის გამო, კოსოვოს შესახებ გადაწყვეტილება ვერ მიიღო და ეს პროცესი ცალმხრივი აღიარების მიმართულებით წავიდა, რაც ჩვენთვის საშიში იყო.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ყველაზე ცუდი ინტერპრეტაცია, რაც რუსეთის მხრიდან კოსოვოს საკითხს მოჰყვა, ესაა გავლენის სფეროების დაბრუნება. რადგან მან ბალკანეთში გავლენა დაკარგა, უნდა შეერჩია ტერიტორია, სადაც თვითნებური ქმედებებით სამაგიეროს გადაუხდოდა დასავლეთს, განსაკუთრებით კი ამერიკას. საქართველო ამისთვის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი იყო და მოჰყვა კიდევ ამ



პროცესს აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტი.

ბატონმა დავით ბაქრაძემ 2008 წლის კიდევ ერთი სერიოზული გამოწვევა უწოდა ბუქარესტის ნატოს სამიტი. „ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, როცა ბუქარესტის საბოლოო დოკუმენტში დაფიქსირდა, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი, თუმცა ვერ მივიღეთ ვერც კანდიდატის სტატუსი და ვერც სამოქმედო გეგმა, ანუ ტექნიკური მექანიზმი განვერიანებისთვის. სხვა შემთხვევებში ქვეყნები განვერიანებისთვის გავდიოდნენ მთელ ამ ტექნიკურ პროცესს და ბოლო მომენტამდე ვერ იღებდნენ გარანტიას, რომ ნატოს წევრი გახდებოდნენ. ჩვენს შემთხვევაში პირიქით მოხდა – ჩვენ გვაჩვენეს პროცესის დასასრული, ანუ მოგვცეს გარანტია, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი, მაგრამ არ მოგვცეს იმის საშუალება, რომ გავგეგმავდით გზა ახალი ტექნიკური ინსტრუმენტით – MAP-ით, რომელიც მართლაც ტექნიკური ინსტრუმენტი იყო მანამ, სანამ საკითხი საქართველოსა და უკრაინას არ შეეხო. ეს მოხდა ნატოში არსებული უფუნქციონირებელი დაპირისპირების გამო მომხრე და მონაწილედ ქვეყნებს შორის“, – განაცხადა მან.

სპეკტიკურად განწყობილთა არგუმენტები პარლამენტის თავმჯდომარემ რამდენიმე მიმართულებით დააჯგუფა: 1. რადგან რუსეთი ღიად აფიქსირებდა, რომ საქართველოსა და უკრაინის ნატოში მიღება იქნებოდა ინტეგრირებული პრობლემების დასაწყისი ნატო-რუსეთის ურთიერთობაში, მათ დასვეს კითხვა, უღირდათ თუ არა ამ კონფრონტაციას წასვლა? საქმე ისაა, რომ საქართველო და უკრაინა, განსხვავებით ბალტიის სახელმწიფოებისგან, არ არიან საერთო ევროპული მენტალიტეტის ნაწილე-

ბი. ამიტომ საქართველო ევროპისთვის არ არის ის ქვეყანა, რომლისთვისაც კონფრონტაციაზე წასვლა ღირდა. რაც შეეხება რუსეთს, პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ეს სახელმწიფო ევროპისთვის სხვა ფაქტორია და მასთან დამოკიდებულებაში სამი კომპონენტი თამაშობს დიდ როლს: ბუნებრივი აირი, გასაღების დიდი ბაზარი და სერიოზული სავაჭრო ურთიერთობები დასავლეთ გერმანიასთან, რის გამოც გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი გერმანული სამრეწველო ლობის გავლენის ქვეშაა მოქცეული. 2. მონაწილედ ქვეყნების აზრით, საქართველოს ნატოში განვერიანება კონფლიქტების ზონების არსებობის გამო შესაძლოა შედეგები რისკი იყოს, რადგან ამ ზონებში სიტუაციის გართულების შემთხვევაში ნატოს ამ კონფლიქტში ჩარევა მოუწევს. 3. მისი საკითხი: მზად არიან თუ არა საქართველო და უკრაინა ნატოში გასანვერიანებლად?

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ბოლო კითხვაზე მარტივი პასუხი არსებობს: ბუნებრივია, არც საქართველო და არც უკრაინა ნატოში განვერიანებისთვის მზად არ არიან, მაგრამ ჩვენ გვინდა MAP-ი, ანუ ახალი ჩარჩო, რომელიც მოგვეზარება რეფორმების გაგრძელებაში.

მიუხედავად წინააღმდეგობისა, ბუქარესტის სამიტი საქართველოს მოკავშირეებმა მოახერხეს, საბოლოო დოკუმენტში ჩაენერათ, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი, რომ MAP-ი არ არის ერთადერთი ინსტრუმენტი გასანვერიანებლად და რომ ეს შეიძლება მოხდეს ნატო-საქართველოსა და ნატო-უკრაინის კომისიების დახმარებით.

ლექციაზე, ასევე, დაწვრილებით იქნა განხილული გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ის ნაბიჯები, რომლებსაც საქართველო მძიმე შედეგების თავიდან ასაცილებლად დგამს. „იმედი მაქვს, იმ საერთაშორისო დახმარებებით, რომელიც მივიღეთ, კრიზისის დაძვრვას მოვახერხებთ. ამ მიმართებით ორი ჯგუფი გამოიკვეთა: ქვეყნები, რომლებიც ღრმად შევლენ ამ კრიზისში მოუქმელი ეკონომიკური პოლიტიკის გამო; მაგალითად, რუსეთი და ქვეყნები, რომლებიც პირველი გამოვლენ ამ კრიზისიდან, რადგან მათ აქვთ განვითარებული დივერსიფიკირებული და მოქნილი ეკონომიკა. ჩვენი ამოცანაა, მივყვეთ იმ ქვეყნებს, რომელიც მალე დაძვრვას კრიზისს“, – განაცხადა მან.

ლექციის დასასრულს პარლამენტის თავმჯდომარემ ამომწურავი პასუხები გასცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების შეკითხვებს.

# CERN-სა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დელეგაციის მიერ საერთაშორისო კვლევის ცენტრში (CERN) იმყოფებოდა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე და პროფესორი ვალერიან გობრონიძე. ვიზიტის მიზანი იყო CERN-სა და საქართველოს შორის უკვე არსებული ხელშეკრულების განახლება.

2-6 დეკემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დელეგაცია ოფიციალური მინიშნებით შვეიცარიაში, ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (CERN) იმყოფებოდა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე და პროფესორი ვალერიან გობრონიძე. ვიზიტის მიზანი იყო CERN-სა და საქართველოს შორის უკვე არსებული ხელშეკრულების განახლება.

შეგახსენებთ, რომ CERN-ი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ატომური ამარქარებელია, რომელიც 5 სხვადასხვა ექსპერიმენტს აერთიანებს და მინის ზედაპირიდან 100 მეტრის სიღრმეში მდებარეობს. ამ ექსპერიმენტის ყველაზე დიდი რგოლის ამოქმედება 2008 წლისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ ექსპერიმენტი ტექნიკური პრობლემების გამო 2009 წლის ივნისისთვის გადაიტანეს.

ერთ-ერთი დეტექტორის — ATLAS-ის შექმნაში ქართველი მეცნიერების დიდი წვლილია. როგორც ჩვენთან საუბარში ნოდარ სურგულაძემ განაცხადა, ქართველების პრესტიჟი და ნონა იმდენად მაღალია, რომ დელეგაციას დახურულ გვირაბში ჩასვლის ნება დართეს. „ატლასის“ დეტექტორი არის 15 ათას ტონიანი, 37 მეტრი სიგრძის და 22 მეტრის სიმაღლის ხელსაწყო. ამ დეტექტორის გამართვაზე 3500 კილომეტრის სადენიანი დახარჯული, ხოლო მინისქვეშა პაილინგო, რათა ეს 700 ტონიანი კონსტრუქცია ჩაეჭანათ, საგანგებო ამნე შექმნეს“, – აღნიშნა მან ჩვენთან საუბარში.

ხელშეკრულება, რომელიც ხელახლა გაფორმდა CERN-სა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის, არის იმის დადასტურება, რომ ეს ექსპერიმენტი საქართველოსთვის მნიშვნელოვანია და მხარეები სამეცნიერო და პრაქტიკულ თანამშრომლობას ორმხრივ საფუძ-

ვით დაფარავს. ასევე, გვინდა შევქმნათ საგრანტო ფონდი, რათა სტიმული მივცეთ ქართველი მეცნიერების იმ საგრანტო თემების შემუშავებას, რომელიც პირდაპირ ექსპერიმენტთან იქნება დაკავშირებული“, – აღნიშნა ნოდარ სურგულაძემ.

ვიზიტისას აღნიშნა იმის თაობაზეც, რომ შეიძლება შექმნას CERN-ის ერთ-ერთი უფრედ ამიერკავკასიის რეგიონში, რომელიც ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი მეცნიერების კვლევებს გააერთიანებს. ამ უფრედის მართვა თბილისიდან განხორციელდება. ამგვარი გაერთიანებული საჭირო ექსპერიმენტის მონაცემთა გადამუშავებისთვის. ერთი ჯგუფი, თუნდაც ერთი ქვეყანა, ამ მონაცემებს ვერ დაამუშავებს. საჭიროა ქსელური პრინციპი, რათა მონაცემები სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა რგოლებში გაიზავნოს. სწორედ ასეთი რგოლის შექმნა მოიაზრება თბილისშიც.

ხელშეკრულების ძირითადი შემსრულებელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მის ბაზაზე არსებული მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის ინსტიტუტის ნარმომადგენლები. ნიშანდობლივია, რომ უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა დელეგაციასთან ერთად მონეული სტუმრის რანგით ესწრებოდა ხელშეკრულების გაფორმებას. „ძალიან მნიშვნელოვანია და მინდა ვთქვა: რომ არა ბატონი გიორგი ხუბუას ასეთი მხარდაჭერა მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის ინსტიტუტის მეცნიერებისადმი, ამ ადამი-



# მიუნხენის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტთან თანამშრომლობის პერსპექტივები

6-7 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა მიუნხენში გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტს სტუმრობდა. ვიზიტი მიმდინარეობდა იყო იმდენად, რამდენადც სასწავლო პროგრამების მოდერნიზაციის კუთხით ამ უნივერსიტეტთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობის პერსპექტივები გამოიკვეთა. რით იყო საინტერესო მიუნხენის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შეხვედრები და რა ღონისძიებები დაიგეგმა?

## ნიმო აკაპულია

გიორგი ხუბუა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი:

— შეხვედრა საინტერესო იყო იმ თვალსაზრისით, რომ გამოიკვეთა მიუნხენის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტთან თანამშრომლობის პერსპექტივები, რაც ითვალისწინებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების მოდერნიზაციის პროცესში მათ მონაწილეობას. ამ უნივერსიტეტთან თანამშრომლობა საინტერესოა მათი მდიდარი ბაზის გამოყენების თვალსაზრისითაც.

ჩვენ გვინდა მოქმედი პროგრამების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად შეცვლა, რათა ისინი მაქსიმალურად იყვნენ ორიენტირებული დასაქმებაზე, პოტენციური დამსაქმებლის მოთხოვნებზე. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენთან მოქმედი სასწავლო პროგრამების სრულყოფის თვალსაზრისით უფრო მეტის გაკეთება მოგვიწევს სწორედ რომ გამოყენებითი ასპექტის თვალსაზრისით. სასწავლო პროგრამა აუცილებელია იყოს გონივრული სინთეზი თეორიული და გამოყენებითი მიმართულებებისა. თუმცა, არ არსებობს თეორიული მიმართულება, რომელსაც არ აქვს ასევე პრაქტიკული დანიშნულება, ამიტომაც არის ნათქვამი: სწორი თეორია ყველაზე პრაქტიკულიაო. ჩვენი სასწავლო პროგრამების სრულყოფის პროცესში გამოყენებითი ასპექტების წინ წამოწევა — ეს არის პრიორიტეტული ამოცანა. ამ მხრივ მიუნხენის გამოყენებითი მეც-

ნიერებების უნივერსიტეტს ძალიან დიდი გამოცდილება აქვს.

რამდენიმე დღის წინ ჩვენ გვექნა შეხვედრა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, რომლებთანაც განვიხილეთ სასწავლო პროგრამების მოდერნიზაციის საკითხი — ეს ეხება ელექტრონულ ინჟინერიას, საინფორმაციო ტექნოლოგიებს... და უკვე მივალნიეთ შეთანხმებას, რომ მიუნხენის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი ამ მიმართულებით ჩვენთან აქტიურად ითანამშრომლებს. ისინი ელოდებიან კონკრეტულ წინადადებებს, კონკრეტულ პროექტებს... შეიძლება შევიშუალოთ ერთობლივი პროგრამებიც, რომელიც მომავალში ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭებასაც ითვალისწინებს.

ძალიან მნიშვნელოვანია ტურიზმის სფეროში ამ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის პერსპექტივები. ამ მიმართულებით მათ სპეციალური პროგრამა აქვთ. უკვე მივალნიეთ შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ 2010 წელს საქართველოში გაიმართება საზაფხულო სკოლა ტურიზმში. მასში მონაწილეობას მიიღებს, დაახლოებით, 200 უცხოელი სტუდენტი, როგორც მიუნხენის უნივერსიტეტიდან, ასევე, სხვა ევროპული უნივერსიტეტიდანაც. 2009 წლის გაზაფხულზე მიუნხენიდან ჩამოვა დელეგაცია, რომელიც დაიწყებს მოსამზადებელ სამუშაოებს 2010 წელს დაგეგმილი საზაფხულო სკოლისთვის. მათ აინტერესებთ, თუ რამდენად იძლევა ქართული ტურიზტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობა იმის საშუალებას, რომ ეს ღონისძიება მაღალ დონეზე გაიმართოს.



# ვის უნდა ომი და ვის — მშვიდობა

საუბრები გისენის უნივერსიტეტში „საქართველოს საღამოზე“

9 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა გისენის უნივერსიტეტის მიწვევით დაესწრო ამ უნივერსიტეტის ინიციატივით გამართულ ღონისძიებას — „საქართველოს საღამო“. საინტერესო საუბრებისთვის შესანიშნავ გარემოს ქმნიდა ის ფაქტორი, რომ გერმანული საზოგადოების წარმომადგენლები საქართველოს შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მიღების სურვილით იყვნენ განმსჭვალულნი — ეს იყო დიდი იმპულსი ქართველი სტუმრებისთვის, რომლებმაც თავიანთ მოხსენებებში ის საქართველო წარმოაჩინეს, რომელსაც არასდროს სურდა ომი და რომელიც მუდამ მზად იყო მშვიდობიანი მოლაპარაკებებისთვის. ამ თემებზე სასაუბროდ გერმანული საზოგადოების წარმომადგენლები, ალბათ, რეალური ინფორმაციის დეფიციტმაც განაწყო.

რით იყო მნიშვნელოვანი „საქართველოს საღამო“? — თავის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს თსუ-ის რექტორი, ბატონი გიორგი ხუბუა:

— მინდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ ამ საღამოს მონაწილეთა რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, რაც თავისთავად ადასტურებს გერმანული საზოგადოების მხრიდან საქართველოს მიმართ დიდ ინტერესს. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ პოლიტიკური მოღვაწენი, მედიის, ასევე, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები... საღამო, როგორც მოგეხსენებათ, გისენის უნივერსიტეტის მიერ იყო ორგანიზებული. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გისენის უნივერსიტეტის რექტორი, ამავდროულად, გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის (DAAD) პრეზიდენტი გახლავთ. ეს ორგანიზაცია სერიოზულ დახმარებას გვინებს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამების განხორციელებაში. მინდა დიდი მადლობა მოვასხენო პროფესორ ლორენც კინგსა და ქალბატონ ელისო კინგს, რომელთა უშუალო ინიციატივით შედგა ეს საღამო და რომელთა ძალისხმევითაც ამ ღონისძიებამ დიდი რეზონანსი შეიძინა.

საღამოზე საქართველოს მიმართ არაჩვეულებრივი განწყობა იგრძნობოდა: ნაიკითხეს საინტერესო მოხსენებები საქართველოს ისტორიის, კულტურის, საქართველოში გისენის უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული პროექტების, სამეცნიერო კვლევების, სამომავლო პერსპექტივების შესახებ. შინაარსობრივად ეს იყო ძალიან საინტერესო და მაღალი სამეცნიერო ღონის ღონისძიება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გერმანული მხარე გაგებით ეკიდება იმ პრობლემებს, იმ სირთულეებს, იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც დღეს საქართველო დგას, განსაკუთრებით, აგვისტოში განხორციელებული რუსული ინტერვენციის შემდეგ. ამ თემაზე ძალიან გულახდილი საუბრები იყო. მე ნავიკითხე მოხსენება: „ავტონომია, როგორც ეთნიკური კონფლიქტების გადაწყვეტის საშუალება“ და შევეცადე — წარმოემჩინა ქართული მხარის ის პოზიცია,

რომ იგი ყოველთვის სთავაზობდა სოხუმს და ცხინვალს კონფლიქტის მონესრიგების მშვიდობიან გზას, რომ საქართველო მუდამ მზად იყო მათთვის მაქსიმალურად ფართო ავტონომიის მინიჭების თაობაზე სალაპარაკოდ. გერმანული საზოგადოება დიდად დაინტერესდა, გაუჩნდა სურვილი, რომ რაც შეიძლება მეტი სცოდნოდა ქართული მხარის სამშვიდობო ინიციატივების შესახებ, რადგან, სამწუხაროდ, ბოლო დროინდელ გერმანულ პრესაში გაჩნდა ისეთი წერილებიც, სადაც საქართველოს პოზიცია დამახინჯებულია ინტერპრეტირებული, მათ შორის, აგვისტოს მოვლენებიც. ანუ, ჩემი გამოსვლის მთავარი იდეა იყო აუდიტორიის დარწმუნება იმაში, რომ საქართველო დიპლომატიის მზადაა, რომ ქართული მხარე მუდამ იყო მშვიდობიანი მოლაპარაკებების დაწყების ინიციატორი. მათ შორის ცნობილია პრეზიდენტის ინიციატივა კონფლიქტური რეგიონებისთვის ავტონომიურობის მინიჭების ფორმის შესახებ. მხოლოდ ერთადერთი საკითხი არ შეიძლება იყოს განხილვის თემა — ეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობაა. დანარჩენ საკითხზე თბილისი ყოველთვის მზად იყო კონფლიქტურ რეგონებთან დიპლომატიისთვის.

ფიქრობ, დამსწრე საზოგადოება დარწმუნდა, რომ ქართველებს ომი არ გვსურს, რომ ეს იყო პროვოცირებული კონფლიქტი. რაც მთავარია, შევეცადეთ გერმანული საზოგადოებისთვის ძალიან ნათლად გვეთქვა, რომ სწორედ რუსეთი უშლიდა ხელს დიპლომატიის წარმოებას ქართველებსა და აფხაზებს შორის და რომ ეს არის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი იმისა, რომ ეს კონფლიქტი დღემდე გადაუჭრელი რჩება. დამსწრე საზოგადოებას ავუსხენით, რომ მხოლოდ ევროპელების უფრო აქტიური მონაწილეობა და კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია არის ერთადერთი უალტერნატივო გზა ამ კონფლიქტის მონესრიგების თვალსაზრისით.

# თსუ-ში „გაეროს აუდიტორია“ გაიხსნა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობასა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთობები, რომელიც გაეროს ქმედითუნარიანობას ხელს უწყობს.

15 დეკემბერს თსუ-ში გაიხსნა „გაეროს აუდიტორია“, რომლის მიზანია გაეროს შესახებ საზოგადოების ინფორმირება, რაც არა მარტო გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს, არამედ ხელს შეუწყობს სტუდენტებისთვის გაეროს შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვებას.

## მაია ტორაძე

აუდიტორიის გახსნას დაესწრნენ გაეროს მუდმივმოქმედი კოორდინატორი რობერტ უოთკინსი და თსუ-ის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, რომელმაც თავის გამოსვლაში მადლობა გადაუხადა გაეროს საქართველოს წარმომადგენლობას და პირადად ბატონ რობერტ უოთკინსს განეული დახმარებისთვის. „ჩვენ ჩაფიქრებული გვაქვს, რომ ამ აუდიტორიის თითოეული სანტიმეტრი აქ შემომსვლელ სტუდენტსაც აცნობდეს გაეროს შექმნისა და განვითარების ისტორიას, ინფორმაციას აწვდიდეს იმ ღონისძიებების, პროექტებისა და პერსპექტივების შესახებ, რაც საქართველოს, როგორც გაეროს წევრ ქვეყანას, აქვს. ამ მხრივ, ეს აუდიტორია ორიენტირებული უნდა იყოს დანარჩენ მსოფლიოსთან ინტეგრაციაზე, მუდმივი კულტურული და სამეცნიერო კავშირების გააქტიურებაზე, როგორც ეს დამახასიათებელია გაეროსთვის, როგორც უ-

ირველესი საერთაშორისო ორგანიზაციისთვის.

სიმბოლურია, რომ გაეროს პირველი აუდიტორია პირველ ქართულ უნივერსიტეტში გაიხსნა. ჩვენ გვინდა, ეს სივრცე გარდაიქმნას არა მარტო აუდიტორიად, სადაც სტუდენტები ლექციას მოისმენენ, არამედ ძლიერ საინფორმაციო ცენტრად“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

გაეროს მუდმივმოქმედი კოორდინატორმა საქართველოში, ბატონმა რობერტ უოთკინსმა აღნიშნა, რომ გაეროს სააგენტოები დაინტერესებულნი არიან, წელიწადში შეიტანონ საქართველოს განათლების სისტემის განვითარებაში. „ჩვენ გვინდოდა, უნივერსიტეტში, განსაკუთრებით, იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლისთვის კარგი პირობები შეგვექმნა. ეს აუდიტორია საშუალებას მოგვცემს, ჩავატაროთ საერთაშორისო სემინარები და ვორკ-შოპები საინტერესო თემებზე, რომლებშიც ჩაერთვებიან როგორც გაეროს წარმომადგენლები, ასევე თსუ-ის სტუდენტები და იურიდიული

ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები“, — განაცხადა რობერტ უოთკინსმა ჩვენთან საუბარში.

შეხვედრაზე, ასევე, აღინიშნა, რომ უახლოეს ხანში ბატონი რობერტ უოთკინსი უნი-

ვერსიტეტს საჯარო ლექციის წასაკითხად ესტუმრება. მისივე მხარდაჭერით დაგეგმილია გაეროს მალაჩინოსნების საჯარო ლექციები თსუ-ის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.





# „ქართული გეგმა“ ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად

პროგრამა, რომელიც არ იქნება „ჩემი“, „შენი“ და არც ერთი მთავრობის საკუთრება... პროგრამა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე უნდა შექმნილიყო, მაგრამ აქამდე ეს ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო. იგი ახლა იქმნება და როგორც იდეის ავტორები გვპირდებიან, ქვეყანა ეკონომიკური კრიზისიდან გამოვა. ამ პროგრამას „ქართული გეგმა“ ჰქვია, რომელმაც საზოგადოების დანტერესება უკვე გამოიწვია.

## შურთსია ბაროშვილი

12 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში „ქართული გეგმის“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც პარლამენტის წევრები, ანალიტიკოსები, დამოუკიდებელი ექსპერტები, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები დაესწრნენ.

ამ უპრეცედენტო პროექტის შექმნის იდეა პარლამენტარ გიორგი გოგუაძეს ეკუთვნის, რომელიც პროფესორული კადრებით დაკომპლექტებულ გუნდთან ერთად საზოგადოებას სთავაზობს კონსენსუსზე დაფუძნებული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავებას.

პროექტის შექმნის იდეას 23 ნომბერს, გიორგიის დღეს ჩაეყარა საფუძველი. გიორგი გოგუაძის ინფორმაციით, მან თავისი ჩანაფიქრი პირველად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს გაუზიარა და მისგან ლოცვა-კურთხევაც მიიღო.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, „ქართული გეგმა“ ორიენტირებულია საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტების განსაზღვრასა და წამყვანი დარგების განვითარების მიმართულებების ჩამოყალიბებაზე. გეგმის მიზანია, საქართველოში ისეთი გარემოს შექმნა, სადაც თითოეულ მოქალაქეს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზების საშუალება ექნება. აქედან გამომდინარე, გეგმა ზოგადი და მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისა არ იქნება. მასში მოცემულია თითოეული დარგის განვითარების კონკრეტული მიზნები, ამოცანები, პერსპექტივები და შედეგების მისაღწევად საჭირო მოქმედებების დეტალური ანალიზი — ეს გრძელვადიანი სტრატეგიაა, რასაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ნების განმავლობაში დაეფუძნება.

გეგმის ძირითადი მიმართულებები გუნდის მუშაობის პროცესში გამოიკვეთება. თუმცა, როგორც ექსპერტებმა განაცხადეს, ზოგიერთი პრიორიტეტი, რაც გუნდის მიერ უკვე განისაზღვრა: განათლება, ჯანდაცვა, დასაქმება და სოციალური სფეროები, „ქართული გეგმის“ საყრდენი ფასეულობებია.

როგორც გუნდის წევრებმა პრეზენტაციაზე განაცხადეს, „ქართული გეგმა“ საყოველთაო ხასიათს მიიღებს და ყველას, ვისაც საქართველოს ეკონომიკის განვითარების რაციონალური კონცეფცია და კონკრეტული მოსაზრება აქვს, ამ პროგრამაში მონაწილეობის საშუალება მიეცემა.

„ქართული გეგმა“ ქართველი ხალხის, საქართველოს თითოეული მოქალაქის საკუთრება იქნება. გეგმით სარგებლობა კი ნებისმიერ მთავრობას შეეძლება. ჩვენ შეგვიძლია ყოველგვარი ამბიციების გარეშე გადავცეთ იგი სახელმწიფოს. დარწმუნებული ვარ, რომ გეგმის შემუშავების კუთხით ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრი დაინტერესდება. მჯერა, რომ ბევრი გულშემატკივარი გვეყოლება, რადგან სწორედ ეკონომიკურ საკითხებზე მიღებული კონსენსუსი შეიძლება იქცეს ქვეყანაში არსებული სიტუაციის განმუხტვის წინაპირობად. მოგესვენებათ, რომ ჯანსაღი ეკონომიკის პირობებში სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობის აღბათობაც ნაკლებია. „ქართული გეგმა“ საზოგადოებრივი ერთიანობის ერთგვარი სახელმძღვანელო უნდა გახდეს“, — განაცხადა გიორგი გოგუაძემ.

მან საზოგადოების წინაშე დეტალურად წარმოადგინა საქართველოს ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირების სამომავლო იდეა. მისი აზრით, მართალია, ამ ტიპის პროგრამებსა თუ პროექტებზე საქართველოს მთავრობაც მუშაობს, მაგრამ საჭიროა შეიქმნას გრძელვადიანი, კიდევ უფრო ეფექტური ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა.



„ჩვენ შეგვიძლია, ამ გეგმის განხორციელების შემდეგ გარკვეული სიზუსტით ვთქვათ, თუ როგორი იქნება მომდევნო 10-12 წელი საქართველოსთვის. დიდი იმედი გვაქვს, რომ უფრო მეტი პროფესიონალი გამოგვეხმარება. ვითანამშრომლებთ მთავრობის შესაბამის სტრუქტურებთანაც“, — აღნიშნა გოგუაძემ.

სტუდენტებისთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო გეგმის იმ ნაწილის გაცნობა, რომელიც განათლებას და ამ სფეროში დასაქმებას შეეხებოდა.

„სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩვენი სტუმრობა შემთხვევითი არ არის. კარგად ვიცით, რა მისია ჰქონდა უნივერსიტეტს დაარსებისთანავე. ტრადიციულად, ყველა მნიშვნელოვანი ინიციატივას აქ ეყრებოდა საფუძველი. ჩვენი მიზანია, რომ ის პოტენციალი, რაც უნივერსიტეტშია, მაქსიმალურად გამოვიყენოთ. ამ გეგმის მიხედვით, ნათლად დავინახავთ, რომელ დარგში რამდენი კვალიფიცირებული კადრია საჭირო. ჩვენ ახალგაზრდებს გავუწევთ რეკომენდაციებს, რათა მათ განათლება საზღვარგარეთ მიიღონ“, — აღნიშნა გიორგი გოგუაძემ ახალგაზრდებთან საუბრისას.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ ცნობილი ეკონომისტები: ნოდარ ჯავახიშვილი, მიხეილ ჯიბუტი, ავთანდილ სილაგაძე და სხვები.

ნოდარ ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ აუცილებელია შეიქმნას ქვეყნის განვითარების

სრულყოფილი კონცეფცია და ამ კონცეფციას დაფუძნებული დეტალურად განვირეო პროგრამა.

„ახლა კონკრეტული საქმეა საჭირო, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი თვლის, რომ ქვეყანა ლოზუნგებით აშენდება. იმედი მაქვს, რომ ეს პროგრამა შედეგს გამოიღებს, თუკი ეს იქნება საყოველთაო კონსენსუსით შეჯერებული პროგრამა. ჩვენი ინიციატივა საქართველოს მოსახლეობის მთელი ინტელექტუალური პოტენციალის ჩართვას ითვალისწინებს. ეს საყოველთაოდ აღიარებული პროგრამა გახდება, რომლის განხორციელება სწორი გზა იქნება ქვეყნის წინსვლისთვის. შესაძლოა, პროგრამა გახდეს ძირითადი კრიტერიუმი ამ მიმართულებით ხელისუფლების მოქმედების შეფასებისას არჩევნების დროს.“

პროგრამაში განვირეო იქნება, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ მოქალაქეთა კეთილდღეობა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც რომ არ დაწყებულიყო, პროგრამის ამუშავება მინც აქტუალური იქნებოდა“, — განაცხადა ნოდარ ჯავახიშვილმა.

„ქართული გეგმის“ ჯგუფის წევრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა მივსალა და სტუმრებს მადლობა გადაუხადა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია პირველად უნივერსიტეტიდან გახმოვანდა.

„ჩვენთვის დიდი პატივია, რომ ამ პროგრამის პრეზენტაცია სწორედ უნივერსიტეტში გაიმართა. ის იდეები და მიზნები, რომელიც პროექტის იდეის ავტორებმა — პოლიტიკოსებმა და ექსპერტებმა გაგვაცნეს, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისთვის და ახალგაზრდებისთვისაც ძალიან საინტერესოა. ის ფაქტი, რომ ასეთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება იგეგმება, ქართული საზოგადოებისთვის და ქართული სახელმწიფოსთვისაც სასიამოვნო სიახლეა“, — აღნიშნა გიორგი ხუბუამ.

შეხვედრაზე არაერთხელ ითქვა, რომ „ქართული გეგმის“ იდეა ყველა პოლიტიკურ თუ პარტიულ პოზიციაზე მაღლა უნდა დადგეს, რადგან დროა, ყველამ ერთად განსაზღვროს, როგორ უნდა დააღწიოს თავი საქართველომ ეკონომიკურ კრიზისს.

## უნივერსიტეტი NATO-ს სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი გახდება

18 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში NATO-ს პროგრამის — „მეცნიერება მშვიდობისთვის“ ფარგლებში ქსელური ინფრასტრუქტურის პროექტით (NATO-NIG №983210) გათვალისწინებული სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი (პროექტის ხელმძღვანელი გიორგი ლვედაშვილი) გაიხსნა.

### მანა ტორაძე

როგორც თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ გიორგი ლვედაშვილმა აღნიშნა, სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მიზანია სამეცნიერო კვლევებისა და საუნივერსიტეტო განათლების ინტეგრაცია. „ამ მხრივ, ცენტრის სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობა მიმართული იქნება კონცეპტუალური მსოფლმხედველობის მქონე ახალი ტიპის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადებასა და მათი შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებაზე. ჩვენი დახმარებით ისინი მეცნიერული ამოცანების მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით გადაწყვეტას შეძლებენ. ჩვენ ხელს შევუწყობთ თანამედროვე საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო ქსელებთან კავშირს, სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერებისთვის დამოუკიდებელი სამუშაო პირობების შექმნას, დისტანციური და ელექტრონული სწავლების დაწესებას. ცენტრის შექმნის მიზანია იმავითვე იყო ახალგაზრდა თაობისთვის სამეცნიერო კარიერის პრესტიჟის ამაღლება. ამ ცენტრიდან, მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან პარტნიორობით ახალგაზრდა სპეციალისტებს შეეძლება მეცნიერ-მკვლევართა მხარდაჭერის პროგრამების განხორციელება (სტიპენდია, სწავლება, სამეცნიერო გაცვლები სტუდენტებისა და დოქტორანტების მონაწილეობით, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, ერთობლივი გრანტები და სტიპენდიები, წამყ-



ვანი სპეციალისტების მოწვევა ლექცია-სემინარების ჩატარების მიზნით, სხვადასხვა სახის საუნივერსიტეტო, რეგიონული ოლიმპიადებისა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება). ამ ცენტრის მეშვეობით თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს გამოიყენებს უნივერსიტეტის ყველა სამეცნიერო მიმართულება, ჩატარდება ტრენინგები.“

გიორგი ლვედაშვილმა აღნიშნა, რომ ამ პროექტის მიხედვით ახალგაზრდა მეცნიერებისთვის დაგეგმილია კურსები სხვადასხვა სახის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე ფიზიკაში, ქიმიაში, მათემატიკაში და სხვა სამეცნიერო მიმართულებებში. ეს ხელს შეუწყობს მეცნიერებს სწრაფად და ეფექტურად მიიღონ საჭირო ინფორმაცია და საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებას მიაღწიონ. ამავე პროექტის ფარგლებში შეიქმნება და ამოქმედდება სამეცნიერო პორტალი, რომლის მიზანია უნივერსიტეტი მოქმედი სამეც-

ნიერო ჯგუფების ნაშრომების და საქმიანობის გამოფენა, რათა უცხოელებისთვის ცნობილი გახდეს ქართველი მეცნიერების მუშაობის შედეგები. ასეთი სახით შესაძლებელი იქნება პარტნიორობის დამყარება უცხოელ მეცნიერებთან. ასევე, შეიქმნება გადასამზადებელი პროგრამები, რომელიც გამოსადეგი იქნება როგორც უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის, ასევე ნებისმიერი დანტერესებული სტუდენტისათვის.

სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის გახსნაზე თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა იაგორ კალანდაძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ დასაფასებელია დეპარტამენტის წარმომადგენლების ძალისხმევა ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის გააქტიურებისათვის. მათი მონაწილეობა უკვე იძლევა იმის გარანტიას, რომ ცენტრი მთელი დატვირთვით იმუშავებს დასახული მიზნის მისაღწევად.

უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი ხუბუამ თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ რაც შეიძლება მეტი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის თუ ლაბორატორიის მისაღებად ახალგაზრდა მეცნიერთა ასეთი აქტიურობა ყველასთვის მისაბაძი უნდა იყოს. „მიღებული პრაქტიკაა, რომ ძირითადი სამეცნიერო კვლევები და გრანტები უნივერსიტეტში პროფესორს მოაქვს. ამიტომ დასაფასებელია იმ მეცნიერების ღვაწლი, ვინც ასეთი ფორმით აქტიურობს. სხვაგვარად უნივერსიტეტს გაუჭირდება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად წარმართოს სასწავლო პროცესი. უნივერსიტეტში უნდა ამუშავდეს გრანტის მიღებისა და ტექნიკის მოზიდვის ყველა რეზერვი. ამ შემთხვევაში NATO-ს პროგრამის — „მეცნიერება მშვიდობისთვის“ გრანტის მოპოვება არის ევროინტეგრაციისკენ მიმავალი ქართული პოლიტიკის აღიარება და დასტური იმისა, რომ ნატო არ არის მხოლოდ სამხედრო ბლოკი და ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სამეცნიერო-კვლევით სტანდარტებს. ჩვენ გვინდა დასავლეთის სამეცნიერო-კვლევითი სფეროს აქტიური წევრები ვიყოთ და ასეთი პროექტები დიდ დახმარებას გავვიწევს“. — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის გახსნას ესწრებოდნენ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლები: ევროკავშირის პროგრამების კოორდინაციის სამსახურის უფროსი რომან კაკულია და ნატოსთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი სანდრო ბაქრაძე, რომელმაც აღნიშნა: „ყველამ ვიცით, რომ ნატოს გენერალური მდივანი საქართველოში ვიზიტისას ყოველთვის სტუმრობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. აქ ნატოსა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელების ხელშეწყობით რამდენიმე სერიოზული პროექტი ხორციელდება. ამ ცენტრის გახსნა იმის მაგალითია, თუ რამდენად დიდ ყურადღებას უთმობს ნატო საქართველოში ამგვარი პროექტების განხორციელებას“, — განაცხადა სანდრო ბაქრაძემ.

სასწავლო-სამეცნიერო ცენტრს კოორდინაციას თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი გაუწევს.



# დაკვიტა რედაქციებიდან: როგორ არ უნდა იყოს ჟურნალისტი

ვინმემ რომ გამოთვალოს, რომელი სპეციალისტის ადამიანების მიმართ გაისმის საქართველოში ყველაზე მეტი საყვედური, ჟურნალისტები, საჯაროდ, ერთ-ერთი მონინავე პოზიციის დაიკავენ. არაპროფესიონალიზმი, საკითხის სიღრმისეულად გაშუქების დეფიციტი, ლექსიკის სიღარიბე, ჟურნალისტური ეთიკის დაბალი დონე და პროფესიული უნარ-ჩვევების არცოდნა მხოლოდ ნაწილია იმ პრობლემებისა, რომელიც, მედიაორგანიზაციების მფლობელების აზრით, ქართულ ჟურნალისტიკაში ყველაზე მეტად იგრძნობა. ამ ფონზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშე დადგა საკითხი — სწავლების რა მეთოდები უნდა შეირჩეს ჟურნალისტიკის მიმართულე-ბებზე, რომ ბაკალავრის დიპლომის მქონე ჟურნალისტები პრაქტიკული საქმიანო-ბისთვის მომზადებული აღმოჩნდნენ.

## მანია ტორაძე

პრობლემა აქტუალურია და მისი გადაწყვეტის გზები ერთად უნდა ეძებონ უმაღლეს-მა სასწავლებლებმა და მედიაორგანიზაციებ-მა. ჟურნალისტი პროფესია, რომელსაც უმაღლესი სასწავლებელი უშვებს, მედია-ორგანიზაციამ კი კონკრეტულად უნდა ჩამო-აყალიბოს — როგორი სპეციალისტი სჭირდებ-და რას ითხოვს უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულისგან, რათა სასწავლო პროგრამები ჟურნალისტური შრომის ბაზრის მოთხოვნებს მაქსიმალურად დაუახლოვდეს.

ეს საკითხები განიხილავს 20 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სო-ციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულე-ბის პროფესორ-მასწავლებელთა და მედიაორ-განიზაციების წარმომადგენელთა შეხვე-დრაზე, რომლის ორგანიზატორი თსუ-ის ჟურ-ნალისტიკის მიმართულე-ბის პროფესორი მარინე ვეკუა იყო. დისკუსიის თემა გახლდათ „ჟურნალისტური განათლება — უნივერ-სიტეტიდან რედაქციამდე“.

შეხვედრას ესწრებოდნენ კავკასიის მე-და სკოლის დირექტორი ლიკა ჩახუნაშვილი, ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის სატელევიზიო ჟურნალისტიკის უმაღლესი პროფესიული სასწავლო პროგრამის სატე-ლევიზიო ცენტრის დირექტორი ზურაბ ომხ-ნელი, ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმა-ციო სამსახურის უფროსი მანანა მანჯგალაძე, ტელეკომპანია „კავკასიის“ თოქ-შოუ „ბარი-ერის“ წამყვანი ალექსანდრე ელისაშვილი, გაზეთ „Georgian messanjer“-ის რედაქტორი ზაზა გაჩეჩილაძე, გაზეთ „თბილისის უნივერ-სიტეტის“ რედაქტორი ნინო კაკულია, ასევე გაზეთ „Georgian Times“-სა და რადიო „ფორ-ტუნას“ წარმომადგენლები.

შეხვედრაზე უმაღლესი სასწავლებლებ-ის წარმომადგენლებმა აუდიტორიას გააცნეს სწავლების მეთოდები ბაკალავრიატსა და უმაღლეს პროფესიულ სკოლებში. გამოიკვე-თა, რომ პრობლემები, რომელიც დღეს ქართული ჟურნალისტიკის წინაშე დგას, თეორიისა და პრაქტიკის შეუსაბამობიდან გამომდინარეობს.

ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა არის უმაღლესი პროფესიული სკოლები, რომ-ლებიც ორიენტირებული სწორედ პრაქტი-კოსების აღზრდაზე არიან. ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის სატელევიზიო ჟურნალისტიკის უმაღლესი პროფესიული სასწავლო პროგრამის სატელევიზიო ცენტრის დირექტორმა ზურაბ ომხნელმა დანერი-ლებით მიმოიხილა სწავლების ამ მეთოდის დადებითი მხარეები და განაცხადა, რომ უმაღლესი სასწავლებლებში საბაკალავრო პროგრამები ისე უნდა აიგოს, რომ ახალგაზრ-დას სურვილი გაუჩნდეს, პრაქტიკული ჩვევებ-ბის ათვისების შემდეგ ბაკალავრის დიპლომ-იც მიიღოს. „უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ ახალგაზრდამ ჩვენი ტიპის სასწავლებლის დასრულების შემდეგ ტელეეკრანზე გამოჩე-ნის ამბიციის დაიკმაყოფილა და რომელიმე ტელევიზიაში მოხვდა, შესაძლოა, ბაკალავრი-ატში აღარც მოვიდეს. ამიტომ უნდა გაკეთ-დეს სასწავლო პროგრამების ისეთი მომხი-ბლავი ბმა, რომ მას გაუჩნდეს სურვილი — მეტი ისწავლოს. ეს მისცემს საშუალებას, არა მარ-ტო ამბის ამსახველი და დამკვირვებელი, არამედ ანალიტიკოსიც იყოს.“

რატომ, რომ ევროპაში ჟურნალისტები უმეტესწილად უკვე სხვა პროფესიის მქონე ადამიანები ხდებიან? ამ მხრივ ჯიპამ გვაჯო-ბა. მან გააკეთა სკოლა, რომლის საბაკალა-ვრო პროგრამაზე დასრულებული სპეციალი-სტები მიდიან. ანუ მე ვარ ბოფიზიკოსი, ვატყობ, რომ მაქვს წერის უნარი, ამიტომ მოკლე დროში — სულ ორ წელში ვსწავლობ ჟურნალისტურ მეთოდებს და ხერხებს და ვხდები ექსპერტი.

ჩემი აზრით, ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამებს გადახედვა უნდა. სტუდენტი, რომელიც ჩემი სასწავლებლიდან გამოვა და ბაკალავრიატში სწავლის სურვილი გაუჩნდებ-და და ექნება დაგროვებული 180 კრედიტი, მას ეს კრედიტები უნდა ჩაეთვალოს, რომ სავ-ნების თანხედრა არ მოხდეს. დარჩენილი 60 კრედიტი კი უნდა შეივსოს სტუდენტისთვის

საინტერესო საგნებით, — განაცხადა ზურაბ ომხნელმა.

გაზეთ „Georgian messanjer“-ის რედაქ-ტორმა ზაზა გაჩეჩილაძემ დააკონკრეტა მოთხოვნები, რომელსაც ის გაზეთში დასაქმების მსურველ ჟურნალისტებს უყ-ენებს: 1) პროფესიული მომზადება; 2) ჟურ-ნალისტური პასუხისმგებლობა და 3) მეტ-ყველება და სტილი; „ჟურნალისტიკის პროფე-სიონალიზმთან მიმართებაში აქ წარმოდგე-ნილ სამივე უმაღლესი განათლების დაწესე-ბულებას სხვადასხვა მიდგომა გაქვთ. ჩემ-



თვის, როგორც რედაქტორისთვის მომგები-ანია და სიამოვნებით ვთანამშრომლობ ჟურ-ნალისტებთან, რომელთაც მიღებული აქვთ სერიოზული პროფესიული მომზადება რომე-ლიმე სხვა სპეციალობაში, ვთქვათ, ეკონომი-კაში, პოლიტოლოგიაში ან სხვა მიმართულე-ბაში. მეორე საკითხი, რაც მე მაინტერესებს, ესაა ჟურნალისტური მოქალაქეობრივი, მორ-ალური, ზნეობრივი და ეთიკური პასუხისმგე-ბლობის საკითხი, რომელსაც სასწავლო პრო-გრამებში ძალიან დიდი ყურადღება უნდა და-ეთმოს, რადგან ხშირ შემთხვევაში ეს დაკავ-შირებულია სახელმწიფო პოლიტიკასთან, უსაფრთხოებასთან, გნებავთ საიდუმლოე-ბასთან, ადამიანურ მორალთან და ზნე-ობასთან. ჟურნალისტიკა უნდა იცოდეს, რომ

ყველა საკითხის გაშუქების მიღმა დგას ად-ამიანი, რომელმაც შეიძლება რაღაც ჩაიდინა და გავაკრიტიკოთ, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ზნეობრიობის უგულვებელყოფის ხარჯზე. მესამე პრობლემა, რასაც ხშირად ვაწყდებით, გაუმართავი ენა და მეტყველე-ბაა. ძალიან ხშირად ისმის ეკრანიდან დამახ-ინჯებელი ქართული, ინგლისური და რუსუ-ლი კალკი, რომელსაც ამკვიდრებენ დიჯეე-ბი, დიქტორები, უბრალო რეპორტიორები და პოლიტიკოსებიც კი. თვალმისაცემია ლექ-სიკური მარაგის სიმწირე, — განაცხადა ზაზა გაჩეჩილაძემ.

მის გამოსვლას დაბაზში დისკუსია მო-ჰყვა. გამომვლელმა მიუთითეს, რომ უმაღ-ლესი სასწავლებელი არ არის ის ადგილი, სა-დაც სტუდენტს წერა-კითხვა უნდა ასწავლო, ამ პრობლემას თავისთავად დაწყებით გა-ნათლებასთან მივყავართ.

კავკასიის მედიის სკოლის დირექტორმა ლიკა ჩახუნაშვილმა სკოლას კიდევ მეტი მოთხოვნები წაუყენა და განაცხადა, რომ მა-შინ, როცა სკოლები 12-წლიან სწავლებაზე გადავიდნენ, კარგი იქნებოდა, ის ერთი წელი

ახერხებს თავის დამკვიდრებას. ტელეკომპა-ნია „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსმა მანანა მანჯგალაძემ მოიყვანა კონკრეტული მაგალითები, როცა ახალგაზრ-დას პრაქტიკული უნარ-ჩვევების არქონის გამო უჭირს მასალის მომზადება.

„მე მაქვს იმის მოთხოვნა, რომ ადამიანი, რომელიც საინფორმაციო გადაცემას წაიყვანს ან, უბრალოდ, ეკრანზე ჩანს, დამაჯერებელი იყოს. როდესაც „იმედში“ ახალი გუნდი მივი-და, დამხვდა პრაქტიკანტების 50-კაციანი ჯგუფი. წარმოადგინეთ, აქედან მხოლოდ 3 კაცის დატოვება-არდატოვებაზე არის საუბარი, რადგან ბევრი მათგანი გადაღებაზე მიდის, მაგრამ იქიდან ამბავი ვერ მოაქვს. გვიხდება გადამონმება — ან სხვა ჟურნალისტს ვურეკავთ, ან სააგენტოებიდან მოდის ინ-ფორმაცია და იქიდან ვაკეთებთ ახალ ამბავს. ამ ახალგაზრდების მთელი ინტერესი ტელე-კომპანიის სასაბუღალტრო დასახლებაში...“ — გან-აცხადა მან.

ამავე საკითხზე მოსაზრება გამოთქვა ტელეკომპანია „კავკასიის“ წარმომადგენელ-მა ალექსანდრე ელისაშვილმა. მან გან-საკუთრებით გამოკვეთა ჟურნალისტური პა-სუხისმგებლობისა და კონიუნქტურობის პრობლემა. „ცოტა ხნის წინ პირველად მქონ-და სტუდენტებთან ურთიერთობა და პირვე-ლი, რამაც გამოგნა, ეს უპასუხისმგებლობა იყო. მათ პრესის მიმოხილვა გააკეთეს ისე, რომ გაზეთი არ წაუკითხავთ. კითხვაზე, რა-ტომ გადმოიტანეს პრესის მიმოხილვაში „ინ-ტერპრესნიუსის“ ახალი ამბები, მიპასუხეს, გაზეთი ხელში არ ჩავგივარდაო.“

კიდევ ერთ პრობლემაზე მინდა გავამახ-ვილო ყურადღება. ესაა ჟურნალისტებში ყვე-ლაზე მიუღებელი თვისება — თავაშვებული ტუტუცობა. როგორც ჩანს, მათ ვიღაც მოძღვრავს — კარიდან თუ არ შევიშვებენ, ფანჯრიდან უნდა შეხვიდეთო. თხოვნა შექნე-ბა აკადემიურ პერსონალთან — ეგება ეს მოჭარბებული ტუტუცობის სქემა დაამსხვრი-ოთ.

ასევე გამოგნებელია ამ ახალგაზრდების კონიუნქტურულობის განცდა. მაგალითს მოიყვან — დავალებდ მივეციტ სამ-სამი მნიშვნელოვანი ახალი ამბის გაშუქება. წარ-მოიდგინეთ, რომ მათ მიერ მონოდებულ ახალ ამბებში სააკაშვილის გვარი საერთოდ არ ფიგ-ურირება, მიუხედავად იმისა, რომ მან იმ დღეებში მნიშვნელოვანი განცხადებები გაა-კეთა. მერე გამოტყდნენ, რომ ვინაიდან „მაე-სტროში“ მოვიდნენ, ესე იგი, სააკაშვილის ხსენება არ შეიძლებოდა. სამაგიეროდ, ყვე-ლას ეწერა მამუკა ლლონტოან ინტერვიუ, რადგან ლლონტი „მაესტროს“ ხელმძღვ-ანელობს“, — განაცხადა ალექსანდრე ელისაშ-ვილმა.

თსუ-ის პროფესორმა მარინე ვეკუამ მე-დიაორგანიზაციების წარმომადგენლებს მას-ტერ-კლასების ჩატარების თხოვნით მიმარ-თა და განაცხადა, რომ სასურველია, მედი-აორგანიზაციები აქტიურად ჩაერთონ სტუ-დენტებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების პროცესში. ზურაბ ომხნელის აზრით, კარგი იქნება, თუ ამ საკითხზე ერ-თობლივი კომუნიკე მომზადდება და მედი-აორგანიზაციები სტუდენტებს სტაჟირებაზე სასწავლებლების რეკომენდაციით მიღებენ, რადგან თეორიული კურსის წარმატებით და-ძღვევის შემდეგ წამყვან მედიაორგანიზაცია-ში პრაქტიკის გავლა მათთვის ნახალისება იქნება.

შეხვედრის ორგანიზატორმა, პროფესორ-მა მარინა ვეკუამ უნივერსიტეტის პრო-ფესორასა და მედიაორგანიზაციების შორის შეხვედრას წარმატებული უნოდა და განაცხ-ადა, რომ ამგვარ შეხვედრებს სისტემატური ხასიათი მიეცემა. „ჩემი სტუდენტებიდან მოყოლებული, სულ იდგა დღეემა, რომ პრაქ-ტიკა და თეორია დაშორებულია. ვცდილობ ამ სიცარიელის ამოვსებას და სასწავლო პრო-გრამებისა და პრაქტიკის დაახლოებას. ეს შეხ-ვედრა პირველია, მაგრამ საკმაოდ სერიოზუ-ლი გადწყვეტილებები მივიღეთ: მომავალში უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი მი-მართულებების აკადემიური წრეები ერთმა-ნეთს უფრო მჭიდროდ დაეუკავშირდებიან და სასწავლო პროგრამებს განვიხილავთ, რათა თითოეულ სასწავლებელს სრულყოფილი ჟურნალისტური განათლების გაცემის საშუ-ალება ჰქონდეს.“

ასევე საინტერესოა, რომ პრაქტიკაზე ორი-ენტრებული და მონადინებული IV კურსის სტუდენტები წინასაბუღალტრო პრაქტიკას ამ მედიაორგანიზაციებში გაიყვანა, ეს იქნება პრაქტიკა — კონკრეტული დავალებით, კონკრეტული ხელმძღვანელით და ასე შემდეგ. ამ შეხვედრაზე დავადგინეთ, რომ მომავ-ლი სემესტრიდან ჩვენს მიმართულე-ბაზე მას-ტერ-კლასების ციკლი გაიხსნება“, — განაცხ-ადა მარინე ვეკუამ ჩვენთან საუბარში.



# ეკოლოგიური აბრეხის წინააღმდეგ ბრძოლაში უნივერსიტეტი ერთვება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გიორგი ხაჩიძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 16 დეკემბერს ეწვია. მინისტრმა თსუ-ის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში გამართულ შეხვედრაზე პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

## ნათო მობლაძე

გიორგი ხაჩიძემ მათ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად განადგურებული ტყის მასივების აღდგენისა და, ზოგადად, დაბინძურებული გარემოს დასუფთავების პროცესში მონაწილეობა შესთავაზა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან უნივერსიტეტის თანამშრომლობა თსუ-ში მოღვაწე შესაბამისი სპეციალისტების მიერ კონკრეტული პროექტების მინოდებაში გამოიხატება, რაც ითვალისწინებს გარემოს დასუფთავების პროცესში მონაწილეობას, სამინისტროს კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფასა და მოსახლეობის მხრიდან ტყის გაჩვენის შესაჩერებლად ერთობლივი კამპანიის წამოწყებას.

„ძირითადად მენეჯმენტის პრობლემა გვაქვს. ყველა უმაღლეს სასწავლებელში განვაცხადებ, რომ ყველა პროფესიონალისთვის ჩვენი სამინისტროს კარი ღიაა. ჩვენ გვჭირდება განათლებული, მშრომელი, ჭკვიანი ადამიანები, რომლებსაც გადაწყვეტილების მიღების უნარი აქვთ. ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემაა, მაგრამ, ამავ დროს, პროფესიონალი კადრების დეფიციტია“, – განუცხადა მინისტრმა სტუდენტებს.

შეხვედრაზე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა გიორგი ხაჩიძეს გარემოს დაცვის კუთხით არსებული პრობლემების მოსაგვარებლად კონკრეტული წინადადებები შესთავაზეს. თსუ-ის პროფესორმა თენგიზ

ურუშაძემ მინისტრს ქალაქ გორთან რუსული აგრესიის შედეგად გადამწვარი ტყის მასივის აღდგენაში თსუ-ის სტუდენტების დახმარების იდეა მიანოდა. გადამწვარ ტყის მასივის აღდგენა გაზაფხულზე დაიწყება და აღდგენილი ტყის შემოგარენი უნივერსიტეტის სახელობის გახდება. გიორგი ხაჩიძემ თსუ-ის დახმარება აღუთქვა ბაქო-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის გასწვრივ ეკოლოგიური ბანაკის მოწყობაში. პროექტი თბილისის, ბაქოს, ყარსის და ახალქალაქის სახელმწიფო უნივერსიტეტების მიერ ხორციელდება. მინისტრთან შეხვედრაზე ითქვა, რომ ეკოლოგიური ბანაკის მოწყობის ერთ-ერთი მხარდამჭერი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროც გახდება.

მოგესხენებათ, ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა ტყის მასობრივი გაჩვენაა. გათბობის მიზნით ხეების ჭრას მოსახლეობა, ძირითადად, ზამთრის დასაწყისში იწყებს. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ინფორმაციით, იმისათვის, რომ მოსახლეობა ზამთარში შემთხვევით დაკაყოფილდეს, ყოველწლიურად 6 000 კუბური მეტრი შემა საჭირო, რაც, ბუნებრივად, ხე-ტყის მასობრივ განადგურებას იწვევს. გიორგი ხაჩიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს დაწვრილებით გააცნო ტყის გადარჩენის პროგრამა, რომელიც შემოსის სხვა რამდენიმე სახეობის საწვავი მასალით ჩანაცვლებას ითვალისწინებს. მინისტრმა შეხვედრაზე ისაუბრა წინასაახალწლოდ ნაძვის ხე-

ების მოჭრის პრობლემაზეც. მან განაცხადა, რომ ყოველ ახალ წელს მოსახლეობა თითქმის იმავე რაოდენობის ნაძვს ჭრის, რა რაოდენობის ხე-ტყეც რუსული ინტერვენციის დროს განადგურდა.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან კონკრეტული მიმართულებით თანამშრომლობის სურვილი თსუ-ის რამდენიმე პროფესორ-მასწავლებელმა გამოთქვა. თბილისის ეკოლოგიური სისუფთავის საკითხის განხილვა დისკუსიაში გადაიზარდა. უნივერსიტეტის პროფესორმა, ქიმიკოსმა რამაზ გახოკიძემ საქართველოში იმპორტირებული ბენზინისა და სამშენებლო კომპანიების მიერ გამოყენებული სამშენებლო მასალების ხარისხზე ისაუბრა. მისი თქმით, საზღვარგარეთ ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებების შემცველი სამშენებლო მასალები გამოიყენება, ამიტომ საქართველოში შემოსული მასალების ხარისხიანობა ეჭვქვეშ დგება და მისი ვარგისიანობის გადამოწმება აუცილებელია. რამაზ გახოკიძემ მინისტრს მდინარე მტკვრის დასუფთავების კონკრეტული გეგმაც შესთავაზა.

მინისტრთან შეხვედრაზე განხილვის ერთ-ერთი აქტუალური თემა თბილისში ჰაერის დაბინძურების პრობლემა იყო. სპეციალისტებმა ჟანგბადის ნაკლებობის გამოწვევები ძირითად მიზეზად ავტომობილების გამონაბოლქვი დაასახლეს, რომელიც მანქანის გაუმართაობის შემთხვევაში ორმაგად მავნებელი ხდება. არსებობს გარკვეული ეკოლოგიური საფრთხეები, რომლებსაც, ჯერჯერობით, ვერ ვუმკლავდებით. ჰაერის დაბინძურების საკითხი ძალიან მნიშვნელოვანი და სასიცოცხლო საკითხია. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ზუსტად ასეთი პრობლემების მოგვარებისას სჭირდება საზოგადოების მოკავშირეობა. თუ



ყოველი მძლავრი საკუთარი ავტომობილის ტექნიკურად გამართვაზე იზრუნებს, პრობლემის მნიშვნელოვანი ნაწილი მოგვარდება“, – განაცხადა გიორგი ხაჩიძემ.

შეხვედრის დასასრულს მინისტრმა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები სამინისტროში გარემოს დასუფთავების პროექტების განსახილველად მიიწვია.

თსუ-სა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს თანამშრომლობის შედეგად სტუდენტები სამინისტროში სტაჟირების გავლის გარდა, საგარეუდოდ, სტიპენდიებსაც მიიღებენ. მინისტრის განცხადებით, თუ სტუდენტები დაკისრებულ მოვალეობებს წარმატებით გაართმევენ თავს, მათ სამინისტროში მუშაობის გაგრძელების საშუალებაც მიეცემა.

# თსუ-ში საპატრიარქოსთან ურთიერთობის ახალგაზრდული ცენტრი დაარსდა

1 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „საპატრიარქოსთან ურთიერთობის ახალგაზრდული ცენტრის“ პრეზენტაცია გაიმართა. ორგანიზაცია უნივერსიტეტის სტუდენტების ინიციატივით, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობისა და საქართველოს საპატრიარქოს მხარდაჭერით დაფუძნდა. სტუდენტებმა „საპატრიარქოსთან ურთიერთობის ცენტრი“ ახალგაზრდებში სულიერების დეფიციტის შევსების მიზნით ჩამოაყალიბეს.

## ნათო მობლაძე

„საპატრიარქოსთან ურთიერთობის ახალგაზრდული ცენტრის“ ხელმძღვანელობის გეგმების განხორციელების შემთხვევაში თსუ-ში სტუდენტური ცხოვრება გაცილებით მეტ ინტერესს შეიძენს. უნივერსიტეტში სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები გაიმართება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველა მათგანი რელიგიური ხასიათისა იქნება. ახალგაზრდების სულიერი ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ისტორიული ძეგლებისა და სამონასტრო კომპლექსების მოსაზრებულად ექსკურსიებიც მოეწყობა. სტუდენტების რელიგიური ცოდნის გასამდიდრებლად კი სპეციალური კონფერენციები გაიმართება, სადაც მონაწილეობის მისაღებად სასულიერო პირებიც იქნებიან მონაწილეები.

„საპატრიარქოსთან ურთიერთობის ახალგაზრდული ცენტრის“ პრეზენტაციაზე ცენტრის სამო-

მავლო გეგმებსა და ახალგაზრდებში რელიგიურობის განმტკიცების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. „ჩვენი მიზანია, რომ ცენტრის ფილიალი ყველა უმაღლეს სასწავლებელში გაიხსნას და რაც შეიძლება მეტი სტუდენტი ჩაერთოს რელიგიურ ცხოვრებაში“, – აღნიშნა ცენტრის თავმჯდომარემ დავით რეკვივამ.

თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუაძემ ახალგაზრდებს „საპატრიარქოსთან ურთიერთობის ახალგაზრდული ცენტრის“ დაარსება მიულოცა. მან უნივერსიტეტის ბაზაზე მსგავსი ორგანიზაციების შექმნა იმის დასტურად მიიჩნია, რომ უნივერსიტეტი სტუდენტებისთვის განათლების მიცემის გარდა, საუკეთესო პიროვნებებად ჩამოყალიბებაზეც ზრუნავს. „საპატრიარქოსთან ურთიერთობის ახალგაზრდულ ცენტრს“ ფინანსურად თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა უზრუნველყოფს. ორგანიზაციის ოფისიც უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსში, სტუდენტური თვითმმარ-

თველობის კუთვნილ აუდიტორიაში განთავსდება. ახალგაზრდული ცენტრი სხვა უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილ ორგანიზაციებთანაც გეგმავს თანამშრომლობას. მათ უკვე აქვთ კავშირი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის ცენტრთან.

ახალი სტუდენტური ორგანიზაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აგვისტოს მოვლენების დროს დალუპული უნივერსიტეტის ლირსეული სტუდენტის, ახალგაზრდა პოეტის შალვა გაბუნიას პოეზიის საღამოს გამართვას გეგმავს. საღამო მის ხსოვნას მიძღვრება.

„ცენტრმა“ პირველი ღონისძიება 14 დეკემბერს გამართა. სტუდენტებმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის აღსაყდრებიდან ოცდამეათეობითე წლის იუბილზე საზეიმო მსვლელობით აღნიშნეს.



# უნივერსიტეტის მეოთხე კორპუსში წიგნის მაღაზია გაიხსნა

19 დეკემბერს „ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესის“ წარმომადგენელი, კომპანია „ინგლისური წიგნის“ აღმასრულებელი დირექტორი ლისა ბრაუნს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თანამშრომლობის მიზნით ეწვია და უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ გიორგი ხუბუაძეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს გულნაზ გალდავასა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს შოთა მინდელს შეხვდა.

## შურთხია გაროშვილი

ცნობილი ინგლისელი ბიზნესმენმა ლისა ბრაუნმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ჯერ კიდევ 2008 წლის თებერვალში გააფორმა მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს მისი კომპანიისა და უნივერსიტეტის ორმხრივ თანამშრომლობას საგანმანათლებლო საქმეში.

მემორანდუმში აღნიშნულია, რომ კომპანია „ინგლისური წიგნი“ ვალდებულია იღებს უზრუნველყოფის უნივერსიტეტი შესაბამისი სახელმძღვანელოებით და სამეცნიერო ლიტერატურით.

19 დეკემბერს გამართულ შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ახალი ხელშეკრულება, რომელიც აღნიშნული მემორანდუმის მე-3 მუხლის საფუძველზე დაიდო, ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანია. როგორც ქალბატონმა ლისა ბრაუნმა განაცხადა, კომპანია „ინგლისური წიგნი“ ხელშეკრულების ფარგლებში აპირებს უნივერსიტეტში წიგნის მაღაზიის გახსნას.

მისი ინფორმაციით, უნივერსიტეტის მეოთხე კორპუსში წიგნის მაღაზიის გარდა რესურს-ცენტრი და სასემინარო ოთახიც განთავსდება.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ კომპანიის მიერ წამოყენებული იდეა მოიწონა. როგორც საუბრის დროს ქალბატონმა გულნაზ გალდავამ აღნიშნა, ეს იქნება შინაარსობრივად ახალი „წიგნის სახლი“, რომელიც სტუდენტებს მოიზიდავს. აღსანიშნავია, რომ ლისა ბრაუნს მსგავსი წიგნის მაღაზიები გახსნილი აქვს სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის, სერბეთის უნივერსიტეტში, რომელთანაც იგი უკვე თოთხმეტი წელია თანამშრომლობს.

„ჩემი სურვილია, ქართველი სტუდენტებისთვისაც შექმნა სრულიად განსხვავებული გარემო. სტუდენტს შეეძლება ფასდაკლებით შეიძინოს ის წიგნი, რომელიც ერთი წლის მანძილზე არ გაყიდება. სასემინარო ოთახში მოეწყობა ახალი წიგნების პრეზენტაციები, შეხვედრები ცნობილ მწერლებთან თუ სახელმძღვანელოების ავტორებთან, ჩატარდება სხვა საინტერესო ღონისძიებები.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს თანამშრომლობა ორივე მხარისთვის ნაყოფიერი იქნება“, – აღნიშნა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან საუბარში ლისა ბრაუნმა.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ წიგნის მაღაზიისთვის გამოყოფილი ფართის გარემონტება უახლოეს პერიოდში დაიწყება. ასე რომ, ქართველი სტუდენტები სულ მალე სხვა ატმოსფეროში შეძლებენ მათთვის სასურველი წიგნის შეძენას.



მე-8 გვერდიდან

ჩვენ, ჯერ კიდევ ვერ ვგრძობთ, რა ბედნიერები ვიქნებით ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც ახლად გარემონტებულ შენობაში შევაბიჯებთ.

### ვაპირებთ საუნივერსიტეტო წიგნის მალაზიის გახსნას

თამარ პარალიძე, უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორი:

— რით იყო მნიშვნელოვანი ეს წელი უნივერსიტეტის გამომცემლობისთვის?

— გამომცემლობისთვის 2008 წელი მართლაც მნიშვნელოვანი იყო, რადგან ეს გახლდათ ჩვენი სრულფასოვანი ფუნქციონირების პირველი წელი, როცა ნელ-ნელა დაიწყო ხორცის შესხმა იმ პროექტებმა, რომელიც მანამდე მხოლოდ იდეის დონეზე არსებობდა. ჩვენ უამრავი ახალი წიგნი გვაქვს და კიდევ ბევრ ახალ გამოცემას ვგეგმავთ. მგონია, რომ მოსამზადებელი პერიოდი წარმატებით დასრულდა — გამომცემლობა შედგა. ახლა ახალ ეტაპზე გადავდივართ, როცა უკვე არსებული და სამომავლო გამოცემების დისტრიბუციასა და წარდგენაზე უნდა ვიზრუნოთ.



— რას გეგმავთ ახალი წლიდან?

— რუტინულ, კარგად აწყობილ საგამომცემლო საქმიანობას. გარდა ამისა, ვაპირებთ საუნივერსიტეტო წიგნის მალაზიის გახსნას... უნივერსიტეტი თანამედროვე, კომფორტული, კარგად მოწყობილი მალაზიის გახსნას აპირებს, რომელიც ბევრი ჩვენი თანამოქალაქისთვის უთუოდ საყვარელ ადგილად იქცევა.

— რაიმე განსაკუთრებული ტრადიცია თუ გაქვთ ახალი წლის შესახებ?

— არა. უბრალოდ, მიყვარს, როცა სტუმრები მოდიან და ვცდილობ, რომ ახალი წლის საღამოს სახლი სავსე იყოს მეგობრებით.

— წლის გამოცემად რას დაასახელებდით?

— ჩემთვის ძნელია ამის თქმა, თუმცა, უდიდესი სიამოვნებით ვიმუშავებ უნივერსიტეტის საიუბილეო გამოცემაზე. იმ არაჩვეულებრივი ადამიანებისგან, რომლებიც ჩვენს უნივერსიტეტს ქმნიდნენ, დღესაც უზარმაზარი ძალა, სიყვარული და ენერჯეტიკა მოდიოდა.

— თქვენი აზრით, ვინ იქნება ყველაზე კარგი მეკვლე უნივერსიტეტისთვის?

— მეკვლედ ვისურვებდი ილია ჭავჭავაძეს — კეთილს, ჭკვიანს, მოუსვენარს, დროის წინმსწრებს, პროექტებითა და ინოვაციებით სავსეს, ცოტა დამცინავსა და ცოტაც სევდიანს...

### უნივერსიტეტს ლტოლვილთა და განსახლების, უნივერსიტეტიდან დროებით გადაადგილებულ პირთა „მინისტრი“ ჰყავს

მურმან ცარციძე, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:

— ბატონო მურმან, აგვისტოს მოვლენების დროს თქვენ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ფიგურა ბრძანდებით — ლამის უნივერსიტეტის ლტოლვილთა და განსახლების „მინისტრი“ კი იყავით, რადგან თქვენს მხრებზე გადაიარა უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ლტოლვილთა დაბინავების საქმად რთულმა პროცესმა. ესმარებით ასევე უნივერსიტეტიდან დროებით გადაადგილებულ პირებს „გადაბარებში“. ალბათ ეს წელი

თქვენთვის საკმაოდ დიდი დატვირთვის წელი იყო...

— ეს წელი ჩემთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ უნივერსიტეტში ძალიან მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება დაიწყო. თსუ-ის ისტორია, ფაქტობრივად, ახლიდან იწერება. თსუ-ის I კორპუსის, ამ არქიტექტურული საგანმანათლებლო და კულ-



ტურული ძეგლის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. აქ განთავსებული დეპარტამენტები და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი სხვა კორპუსებში გადავანაწილეთ. I კორპუსის რემონტი ნულევანის სართულიდან დაიწყო. საჭირო გახდა შენობიდან ინვენტარის გატანა, ამას თან დაერთო აგვისტოს მოვლენებიც.

აგვისტოს ომის შემდეგ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ლტოლვილების დაბინავებისთვის საკმაოდ მძიმე, შრომატევადი სამუშაოების ჩატარება მოგვიხდა. შენობა შეძლებისდაგვარად გავარემონტეთ. ძირითადად სამუშაოებმა, მართლაც, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის კისერზე გადაიარა.

— თქვენი აზრით, ვინ იქნება უნივერსიტეტისთვის ყველაზე კარგი თოვლის ბაბუა?

— ჩემი აზრით, მამუკა აბესაძე.

— როგორ ხვდებით ახალ წელს?

— ძირითადად მარტო მიწვეს ახალი წლის შეხვედრა, შემდეგ ოჯახის წევრებიც მიერთდებიან.

— რაიმე საახალწლო კურიოზს ხომ ვერ გაიხსენებდით?

— საახალწლო სუფრასთან კურიოზი მართლაც შემემთხვა, როცა მასპინძელმა სტუმრებს ჩემი თავი წარუდგინა: გაიცანით, ეს ჩემი ასპირანტი მეგობარიაო. უცებ ერთ მშვენიერ ქალბატონს სიცილი აუტყდა. სიმათლეთ გითხრათ, მეწყინა და როცა ბახუსი მომერია, გაბედე და იმ ქალბატონს სიცილის მიზეზი ვკითხე. მას გაელიმა და მითხრა: ამ ფაქტმა ერთი ანგვლოტი გამახსენაო: ერთი ასპირანტი მიყრუებულ სოფელში მოხვდა. ერთ ქოხს მიადგა და ახალგაზრდა დიასახლისის ღამის გათევა სთხოვა, თან დაუმატა: ქალბატონო, უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩაგაგდოთ, მე ასპირანტი ვარ, დავჯდები და წიგნს წავიკითხავო. დილით ასპირანტი ქათმების კრიახმა გააღვიძა, გარეთ გამოვიდა და დაინახა, რომ დიასახლისის მათ საკენკს უყრიდა. ქალბატონო, ამდენ ქათმებში რა ცოტა მამალი გყლიათო, — უთხრა ასპირანტმა. ამ ქათმებში ნამდვილი მამალი ერთია, დანარჩენი ასპირანტიაო! — უპასუხა დიასახლისმა. ის ანგვლოტი გახსენებია ამ ქალბატონს და იმდროს გასცინებია. მე კი მთელი საღამო მოწყენილი ვიჯექი...

### დიალოგის სასიძო უნივერსიტეტი

გიორგი ქურდიანი, საფინანსო დეპარტამენტის შესყიდვების განყოფილების უფროსი:

— თქვენ რესპონდენტად იმ ნიშნით ამოგარჩიეთ, რომ რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, უნივერსიტეტის წიაღსა თუ მის ფარ-



გლებს გარეთ ექვთ საცოლეს, რისთვისაც კონკურსი კი გაქვთ გამოცხადებული...

— მიმდინარეობს შერჩევის პროცესი, რამდენიმე შესაფერისი კანდიდატურაც არსებობს. მომავალ წელს, გპირდებით, რომ აუცილებლად დავოჯახდები.

— როგორც შესყიდვების განყოფილების უფროსს, ყველაზე ხშირად ვინ განუხვებთ ფინანსური მხარდაჭერისთვის?

— ყველაზე ხშირად მოგვმართავენ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მაცა სეხნიაშვილი და საგარეო საქმეთა დეპარტამენტის უფროსი მაია მენთეშაშვილი, რომელთაც შეძლებისდაგვარად ვეხმარებით.

— თქვენი აზრით, ვინ იქნება უნივერსიტეტისთვის ყველაზე კარგი მეკვლე?

— მგონია, რომ მეკვლის როლისთვის რომან ხარბედა საუკეთესო ვარიანტია, რადგან ის ყველას მიმართ კეთილგანწყობილია და ყველას უყვარს...

— თანაც ბევრი ფული აქვს?

— არა, კარგი გული აქვს და ეს საფინანსოს უფროსისთვის კარგი მახასიათებელია, რადგან მის ხელშია ფინანსები.

### მორტიანსა და ჭიკაძემოგდებულს უნივერსიტეტში ნამდვილად არ ვამოვუშვებ

თამაზ ნიკლაშვილი, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი:

— საინტერესოა, ვისგან იცავთ უნივერსიტეტს?

— ხშირად ამბობენ, რა დაცვა სჭირდება უნივერსიტეტს, აქ ხომ განათლებული, კულტურული ხალხი მუშაობსო. ჩვენ მძიმე,



გაჭირვებისა და უბედურების წლები გამოვიარეთ. იყო ქურდობისა და ყაჩაღობის ფაქტები და ეს არც უნივერსიტეტს აცდა. იკარგებოდა ტექნიკური ინვენტარი. უნივერსიტეტს დიდი ჯიხნა აქვს... დაცვა სჭირდება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, დასაცავია პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების უსაფრთხოებაც.

— თქვენ უნივერსიტეტში შემოსულ თითქმის ყველა ადამიანს ხედავთ. დღეს თუ იხდის ვინმე ქუდს, როდესაც აქ შემოაბიჯებს?

— უფრო ხანშიშესული ადამიანები... ახალგაზრდებისთვის ეს არასდროს შემინინახავს, რაც, ალბათ, გულდასანწყევტია. მორტიანსა და ჭიკაძემოგდებულს მე უნივერსიტეტში ნამდვილად არ შემოვუშვებ... ახალგაზრდობას პატრიოტიზმის განცდაც შესუსტებული აქვს... თსუ პირველი ქართული უნივერსიტეტია, რომელიც ყოველთვის დარჩება ქართველი კაცის განსაკუთრებული პატივისცემისა და მონივნების ტაძრად.

— თქვენი აზრით, რით იყო გასული წელი განსაკუთრებული?

— ეს წელი ჩვენი ქვეყნისთვის საკმაოდ მძიმე და ტკივილიანი იყო, რაც აგვისტოს თვეში მომხდარმა მოვლენებმა განაპირობა. მთელი ჩვენი კოლექტივი აქ ვათენებდით და ვაღამებდით... უნივერსიტეტის ღირსებას ვიცავდით...

კარგი იმით იყო, რომ როგორც იქნა, ჩემს მშობლიურ ხეობას, გუდამაყარს მიხედვს. ზრუნვისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და პარლამენტარ ნუგზარ ნიკლაურს, რომლებმაც გულსხმიანად გამოიჩინეს და პირველად, 30 წლის განმავლობაში, მთელი ხეობაში საავტომობილო გზა გააკეთეს.

— ახალი წლის შესახებ რაიმე განსაკუთრებული ტრადიცია თუ გაქვთ?

— ახალ წელს, ბოლო ათი წელია, ტრადიციულად, უნივერსიტეტში ვხვდებით. მერე ოჯახში მივდივარ და აქედან უნივერსიტეტის მადლი მიმაქვს... ღამის 12 საათზე თანამშრომლებთან ერთად

უნივერსიტეტის ფოიეში, სიმბოლურად, შამპანურით დავლოცებთ და ჩვენი ქვეყნის მშვიდობასა და კეთილდღეობას ვისურვებთ.

— ვინ იქნებოდა უნივერსიტეტისთვის ყველაზე სასურველი მეკვლე?

— ჩემი აზრით, ჩვენი რექტორი გიორგი ხუბუა. აქ მუშაობა ყველასთვის საპატიოა, რექტორი კი უნივერსიტეტის სიმბოლოა. იგი დიდი ინტელექტის კაცია, სულიერების დამცველი და სამართლიანი — გუდაამყრელი კაცი ამას ძალიან დიდ პატივს ვცემ.

— რაიმე საახალწლო კურიოზს ხომ ვერ გაიხსენებდით?

— ერთხელ, ახალწლამდე „იმედის“ ტელევიზიის უფროსის ტეხვაძის მიხედვით, კიბეებზე იმიტირებული მიტინგი გადაიღეს გასართობი გადაცემისთვის, სადაც მომიტინგეები სკანდირებდნენ „გივი! გივი!“ — ეს სიუჟეტი ახალი წლის ღამეს გავიდა ეთერში. ღამის პირველი ნახევარზე ერთ-ერთი პროექტორი გულგახეთქილი მოვარდა: რა ხდება, რა მიტინგიაო? ჩვენ ავუხსენით, რომ ეს გადაცემა ნოემბერში ჩაინერა და საახალწლო ხუმრობა იყო, რაზედაც ბევრი ვიცინეთ.

ერთხელ კიდევ, სტუდენტებმა ახალი წლის შეხვედრა უნივერსიტეტში მოინდომეს. დიდი ნაძვის ხე მოიტანეს და ფერადი ნათურებით მორთეს. ღამის თორმეტ საათზე, როდესაც ნათურები აანთეს, ყველა ნათურა ერთად გასკდა და ატყდა დიდი ბახა-ბუხი. ვინ სად გარბოდა, ვერ გაიგებდით...

ყველას გილოცავთ ახალ წელს, გისურვებთ მშვიდობასა და ბედნიერებას! ყველა სალოცავის მადლი შეგვწოთ! ისე გამრავლდეს ქართველი ერი, როგორც თოვლის ფანტელი ჩვენი სამშობლოს მთებზე...

### პრეზიდენტი ბარაკ ობამა რომ მოვიდეს აქ, მათარი იქნება!

ზაზა ნაძაძე, ავტოფარების უფროსი:

— რას აკეთებს თქვენი სამსახური უნივერსიტეტში?

— ჩვენ გვყავს მანქანები, რომლითაც უნივერსიტეტის წარმომადგენლების უსაფრთხოდ გადაადგილებას უზრუნველყოფთ.

— საჯარო წესებს თუ არღვევენ თქვენი მძღოლები?

— ქალაქის საავტომობილო გზებიდღეს ძალიან გადატვირთულია, რაც გარკვეულ შეფერხებას უქმნის მოძრაობას, ამიტომ საჯარო წესებს უმნიშვნელოდ ყველა მძღოლი არღვევს. განსაკუთრებით მაშინ, როცა განსახლებული დრო აქვს. ანუ ჩვენ, იმდენი რაოდენობის მანქანები არ გვყავს, რომ თითოეულს საათობით მოვემსახუროთ. გათვლილი გვაქვს ყოველი წუთი. პატარა-პატარა დარღვევებზე კი თვალები უნდა დაგხუჭოთ.



— როგორ ხვდებით ახალ წელს?

— როგორც ყველა ქართველი, ოჯახთან ერთად.

— ვინ იქნება უნივერსიტეტისთვის ყველაზე კარგი თოვლის ბაბუა?

— ამერიკის ახალი პრეზიდენტი ბარაკ ობამა რომ მოვიდეს აქ, მაგარი იქნება!

— მეკვლე?

— მეც მაგარი ფეხი მაქვს, რომ იცოდეთ.

— რაიმე კურიოზს ხომ არ გაიხსენებდით საახალწლოდ?

— მეტროში მგზავრობის ძალიან მეშინია, მაგრამ, ერთხელ, იძულებული გავხდი ამ ტრანსპორტით მესარგებლა. სუნთქვამეკრული ისე ვიყავი ჩაფრენილი ხელის მოსაკიდებელ სვეტს, რომ ვაგონში ყველა გაოცებული მიყურებდა.

— მგზავრობის დროს თქვენი მძღოლები საინტერესო ამბებს არ იგებენ ხოლმე უნივერსიტეტზე?

— რაც მართლაც საინტერესოა, იმაზე ყველა დუმს, სხვა რაიმე კი ჩვენ არ გვაინტერესებს.

მასალები მოამზადეს:  
თამარ მარუაშვილმა; ნინო კაპულიამ;  
მაია ტორაძემ და მანანა ჯურხაძემ



საბასალწლო ნაძვის ხის მორთვის ტრადიცია მეჩვიდმეტე საუკუნის გერმანიაში წარმოიშვა. მანამდე ნაძვის ხისგან მხოლოდ საბასალწლო სათამაშოებს ამზადებდნენ.

ავსტრალიაში ახალ წელს პირველ იანვარს ზეიმობენ, მაგრამ ამ დროს ისეთი პაპანაქება სიცხეა, რომ საჩუქრებს საბანაო კოსტუმებში გამოწყობილი თოვლის ბაბუები არიგებენ.

ინდონეზიაში ახალი წელი ოქტომბერში დგება. მოსახლეობა ლამაზად ირთვება და ერთმანეთს მიტყეობს სთხოვს იმ უსიამოვნებებისთვის, რაც წინა წელს ერთმანეთს მიაყენეს.

ბირმაში ახალი წელი აპრილში შემოდის, ეს კი აქ ყველაზე ცხელი პერიოდია. მთელი კვირა გრძელდება სახალხო ფესტივალი – ტინჯანი, რომლის დროსაც მოსახლეობა ერთმანეთს ვედროებით ცივ წყალს ასხამს.

ესპანეთს გარკვეული თარიღი არ გააჩნიათ. ისინი მოუთმენლად ელიან პირველი თოვლის მოსვლას, რადგან ახალი წელი სწორედ პირველ თოვლთან ერთად მობრძანდება.

ჩინეთში ახალ წელს დიდი ფიერვერკით აღნიშნავენ. ახალი ტექნოლოგიების დანერგვამდე, ამ მიზნისთვის ბამბუკის ღერებს იყენებდნენ, რომელიც წვის დროს ხმაურით სკდება. ჩინური ახალი წელი კიდევ ერთი კარგი ტრადიციული აღნიშვნაა: ახალი წლის პირველ დღეებში ყველას კატეგორიულად ეკრძალება ლანძღვა-გინება.

იტალიაში ახალი წლის ღამეს სახლის კედლებს ახლოს არ უნდა გაეკარო, რადგან ფანჯრებიდან შეიძლება სრულიად მოულოდნელად გამოფრინდეს ნივთები – ქილები, სკამები, ტანსაცმელი ან სულაც ვეებერთელა კარადა, რადგან იტალიელებს მიაჩნიათ, რომ ახალი წლის ღამეს, რაც მტკვრელმანებს

ბა ხე ნიმ-ნიმის ფოთოლს მიერთმევს, რომელიც წარმოუდგენლად მწარეა, მაგრამ სამაგიეროდ ტკბილ ცხობრებას პირდება.

ირანში ახალ წელს 21 მარტს ეგებებიან და მას ნავრუზი – ახალი დღე ჰქვია. ნავრუზი ეროვნული დღესასწაულია, 2500 წლის ისტორია აქვს და გაზაფხულის შემობრძანებას ნიშნავს. ამ დღეს მაგიდაზე იდება ხილით, ბოსტნულითა და ხორბლით სავსე შვიდი თეფში, პატარა ჯამში მცურავი ოქროს თევზი, სარკე და მოხატული კვერცხები. რიტუალს სახელად ჰაფტ-სინ ანუ შვიდი „ს“ ჰქვია (თეფშზე დადებული ყველა პროდუქტის სახელი „ს“ ასოთი იწყება) და იგი ირანში ახალი წლის ისეთივე სიმბოლოა, როგორც ნაძვის ხე ქრისტიანულ სამყაროში.

ინგლისში უძველესი ტრადიციის მიხედვით, როგორც კი საათი რეკვას იწყებს, სახლის უკანა კარს ადებენ, რათა ძველი წელი გააცილონ. უკანასკნელი ჩამორეკვის დროს კი ახალი წლის მისაგებებლად წინა კარისკენ მივლიან.

ავსტრიაში მიაჩნიათ, რომ ბედნიერების მოსაპოვებლად ახალი წლის ღამეს აუცილებლად ღორის თავი უნდა მიირთვან.

უნბრეთში საათი თორმეტს ჩამოკრავს თუ არა, ყველა სასტვენში ან საბავშვო საღამურში უბერავს. ითვლება, რომ ამით ბოროტ სულებს აფრთხობენ და გზას სიხარულს და კეთილდღეობას უხსნიან. საბასალწლო სუფრა, ასევე, რიტუალურია. ლობიოსა და ბარდას სულის სიმტკიცე და ჯანმრთელობა მოაქვს, ვაშლებს სილამაზე და სიყვარული, კაკალი უბედურებისგან იცავს, ნიორი ავადმყოფობისგან, თაფლი კი, უბრალოდ ცხობრებას დაატკობს.

ბერმანიაში, როგორც კი საათი რეკვას იწყებს, დიდპატარაანად ყველა სკამზე, მაგიდაზე ან სავარძელზე ადის და საათის ბოლო ჩამოკრვისთანავე ახალ წელში „ხტება“.

რუმინეთში, ახალი წლის ღამეს, გაუთხოვარი ქალები ჭასთან მიდიან და სანთელს ანთებენ იმ ვარაუდით, რომ წყლის ზედაპირზე არეკლილი ალი საბედლოს სახეს წარმოაჩენს.

საბარძნეთში ახალი წელი წმიდა ბასილის დღეს ემთხვევა, ეს წმინდანი კი განსაკუთრებული სიკეთით გამოირჩეოდა. ბავშვები

წონ, რადგან თითო მარცვლი ახალი წლის თითო თვეს ესადაგება.

სკანდინავიაში ახალი წლის პირველ წუთებში მაგიდის ქვეშ ძვრებიან და ღრუბუნიან. ითვლება, რომ ასე ბოროტ სულებს, ავადმყოფობას და უიღბლობას აძევებენ.

ვიეტნამში ახალი წელი „ახალგაზრდების დღესასწაულად“ მიაჩნიათ. ამ დღეს აუცილებელია წინაპრების ხსოვნას პატივი მიაგო, ყოველგვარი ჩხუბი და უსიამოვნება დაივიწყო და ყველას მიუტევო.

მონღოლეთში ახალი წლის პირველ დღეს ნამდვილი სახალხო სეირნობა იმართება. ყველაზე დიდ ცოდვად ამ დღეს ტყუილის თქმა ითვლება.

იაპონიაში ახალი წელი ერთ-ერთი უმთავრესი დღესასწაულია. მთელი ღამე არავის სძინავს, განთიადისას კი ყველა გარეთ გამოდის და მზის ამოსვლას ეგებება. მილოცვა და საჩუქრების გადაცემა სწორედ მზის პირველი სხივების გამოჩენის შემდეგ იწყება. უძველესი ტრადიციის თანახმად, ახალი წლის პირველ წამებში იაპონელმა აუცილებლად უნდა გაიცინოს და მაშინ ბედნიერება მთელი წელი მისი თანამგზავრი იქნება.

კუბაში ყველანაირ ჭურჭელს წყლით ავსებენ, თორმეტი საათის შემდეგ კი ამ წყალს ფანჯრებიდან ღვრიან და ამით ახალ წელს წყალივით სუფთა და ანკარა გზას ულოცავენ.

ბრაზილიაში ახალი წლის ღამეს ხალხი სანაპიროზე იკრიბება და გალობს. შორს მაცხოვრებლებიც კი ცდილობენ ამ დროს პლაჟზე მოვიდნენ და ზღვას მოსაკითხი მიართვან. უმეტეს შემთხვევაში ეს მოსაკითხი ხისგან გამოთლილი პატარა, ყვავილებით მორთული ნავეებია.

ნეპალში ახალ წელს მზის ამოსვლისას ეგებებიან. მთელი ღამე ნეპალელები კოცონებს ანთებენ და უსარგებლო ნივთებს წვავენ. მზის ამოსვლისთანავე ფერთა დღესასწაული იწყება და ქვეყანა ვეებერთელა ცისარტყელას ემსგავსება. მოსახლეობა სახესა და ხელებზე ორნამენტებს იხატავს და შუა ქუჩაში ცეკვავს და მღერის.

პანამაში შუალამისა ზარების რეკვას უამრავი მანქანის სიგნალი ერთვის. მთელი მოსახლეობა კი გაჰკვივის და, რაც ხელში მოხვდება,



ყველაფერს აბრაზუნებს. ითვლება, რომ ამ არნახული კაკაფონიით ახალ წელს „გულს უკეთებენ“ და შემობრძანებას უადვილებენ.


სანტა კლაუსი მოდიფიცირებული ფორმა სიტყვისა – შინტერკლასს, რაც წმიდა ნიკოლოზს ნიშნავს. თანამედროვე სანტა კლაუსის სახე, რომელიც ბავშვებთან ციგით მოქრის, ციგაში კი რვა ირემია შებმული, ამერიკელმა მწერალმა კლიმენტ კლარკ მურმა შექმნა. სწორედ მან დაწერა 1822 წელს ლექსი „შობამ შემოაბიჯა“ ანუ „სანტა კლაუსის ვიზიტი“, საიდანაც ამ ტრადიციამ აიღო სათავე. რაც შეეხება მის გარეგნულ იერს, ეს კარიკატურისტ ტომას ნაიტის დამსახურებაა. 1863 წლიდან მოყოლებული, პოპულარული ჟურნალის „Harper's“-ის ყდას, მთელი ოცდაათი წლის მანძილზე, სანტა კლაუსის სურათებით იგი აფორმებდა. სანტა კლაუსის ცნობილი ქილაგაბები და სადღესასწაულო სამოსი სწორედ მისი მოფიქრებულია.

საბასალწლო საჩუქრებს ყოველთვის სანტა კლაუსი ან თოვლის ბაბუა როდი არიგებს. შვედეთში, მაგალითად, საშობაო და საბასალწლო საჩუქრებით ბაბუა იულოტმტენენი და ჯუჯა იულ-ნისარი მოდიან. ფინეთში საჩუქრების დამტარებლად მწვანე ქურთუკი და წითელ ჩაჩში გამოწყობილი პერსონაჟი ითვლება, რომელსაც თან მთელი ამაღა – ჯუჯები და სახედარი იოლოპუკი ახლავს, თანაც საჩუქრებს სწორედ სახედარი არიგებს. იტალიაში კი შობა-ახალი წლის ღამეს კეთილი ეკორია ბეფანა მოფრინავს და ბავშვებს გულს სწორედ ის უხარებს.

მწერალი ო'ჰენრი პოპულარული სწორედ საშობაო დღესასწაულის წყალობით გახდა. მან მას სიდნეი ჰორტერი, უფრო სწორად კი, ნომერი 34627 ერქვა და ამერიკის ციხეში იჯდა. გარეთ, ოჯახში, პატარა ქალიშვილი ელოდებოდა, რომლისთვისაც საშობაო საჩუქრის მირთმევა ძალიან უნდოდა. პატიმარს ფული, რა თქმა უნდა, არ ჰქონდა, ამიტომ იღბალი მოსინჯა, მოთხრობა დაწერა, ერთ-ერთ ჟურნალში გააგზავნა და მოთხრობას ის სახელი მიაწერა, რაც თავში აზრად უცებ მოუვიდა – ო'ჰენრი. საბასალწლო სასწაულ-მაც არ დააყოვნა. მოთხრობა ჟურნალის საშობაო ნომერში დაიბეჭდა, ავტორმა პონორარი, მისმა პატარა გოგონამ საბასალწლო საჩუქარი, მსოფლიომ კი შესანიშნავი მწერალი „მიიღო“.

ცნობილი მსახიობი ჯეიმს ბელუში კარიერის დასაწყისში სანტა კლაუსად მუშაობდა. ერთხელ მას მართვის მოწმობა ჩამოართვეს, ბელუშს კი საჩუქრები ჰქონდა დასარიგებელი, ამიტომ გადაწყვიტა, ბედს მიხდობოდა და თავისი მოვალეობის შესასრულებლად მაინც გაემგზავრა. რა თქმა უნდა, პირველივე მოსახვევში გააჩერეს, გაჩხრიკეს და ხელბორკილიც დაადეს. გაოგნებული ბავშვები ქუჩაში ამ სცენას შიშით გაფართოებული თვალებით შესცქეროდნენ და მთელი ხმით ყვიროდნენ: „უშველეთ, სანტა კლაუსი დააპატიმრეს!“.

მასალა მოამზადა მანანა მინაქაძემ



მოიშორებენ, წელი უფრო ბარაქიანი იქნება.

ინდოეთში ახალი წლის აღსანიშნავი თითქმის რვა თარიღი აქვთ. ერთ-ერთს გუდი პავდა ჰქვია. ამ დღეს მთელი მოსახლეობა

ღამით ფეხსაცმელებს ბუხართან ტოვებენ იმ იმედით, რომ წმიდა ბასილი მათ საჩუქრებით აუვსებს.

ესპანეთში ახალი წლის ღამეს ყურძენს მიირთმევენ. სანამ საათი რეკავს, ზუსტად თორმეტი მარცვლის შეჭმა უნდა მოას-

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედაქციის წევრები:	ნოდარ ბელქანია, გია მარაბელი, ზაზა ფირალიძე, ვახტანგ გურული, ნინო ჩიხლაძე, ნანა ჭილაძე, ნოდარ ხადური, თემურ ნადარეიშვილი	მისამართი:	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11* (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
მთავარი საცციალისტი	მაია ტორაძე				
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე				
ფოტოკორექტორი	ლიკა პეტრიაშვილი				
კომპიუტ. უზრუნველყოფა	თამარ ქავთარაძე				